

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი  
Journal of Creative Union of Composers of Georgia



# მუსიკა

MUSIKA

4(25)  
2015

**1. S. Tsintsadze.**

“Miniature”. Performed by the Georgian State String Quartet;

**2. S. Prokofiev.** “The Concert for the Violin #1”,

part III. Performed by L. Isakadze; “The World Virtuosos”.

Conductor M. Tortilier; **3. Z. Paliashvili.** Kiazos’ aria from

the opera “Daisi”. Performed by E. Getsadze; **4. V.A. Motsart.**

“The concert for the Violin, e-moll”, Performed by G. Babuadze and

Y. Ukon; **5. V. Azarashvili.** “On the Dance Floor”; **6. K. Tsabadze.** “The

Concert for the Clarinet”. Performed by E. Brunner. Conductor A. Zuckerman;

**7. Dave Brubeck,** The Waltz Limp. Medea Paniashvili & Medea Altunashvili;

საქართველოს კომპოზიტორთა  
შემოქმედებითი კავშირის  
ჟურნალი

Journal of Creative  
Union of Composers  
of Georgia

მუსიკა **4**  
2015 (25)

**8. 9. 10. Klarjuli** “Gelino”. Performed by N. and O. Yavuz  
(Varshanidze); **Meskhuri** “Mumli Mukhasa”; **Meskhuri** “Shavlego”.

Performed by I. Aspanidze and D. Beridze; **11. V. Azarashvili.**

“Gashaireba”. Performed by R. and K. Meirabov;

**12. E. Fusco** “Dicitencello Vuile”. Performed by L. Atanelli;


**13. A. Sharvadze.** “Jikhvi Karapze Khtis”

(the song). Performed by R. Bardzimashvili;

REPRODUCTION  
disc  
DIGITAL AUDIO

All rights of the producer and the owner of the recorded work reserved. Public performance, broadcasting, hiring or rental of this recording prohibited

All rights of the producer and the owner of the recorded work reserved. Public performance, broadcasting, hiring or rental of this recording prohibited



სულხან ცინცაძე (1925-1991)

# მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

4 (25)•2015



ქურნალი გამოიცემა  
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773

ქრონიკა	
„მემორიალის თბილისი 2015“ .....	2
ეპოქალური სახეები	
გულბათ ტორაძე. სააკუნაძეს გასცემა .....	3
რუსუდან წურნუშია. სისაღვისა და ბენიალუბის ზღვაობა .....	6
თამარ წულუკიძე. სიმვარულით გარემოწული .....	8
ფესტივალი	
თამარ მუქერიძე	
„ღამის სერენადები“ უკვე თბილისი- ბათუმის ფესტივალი .....	14
საოქავსო არქივიდან	
ქეთევან ბაქრაძე. მემორიალურებით კავშირი .....	17
პარტული მუსიკა საზღვარგარეთ	
პარტული მუსიკის ერთგული მემორიალი .....	21
სსოვნა	
მაია ტაბლიაშვილი	
ფიფი ალაშინიანი - ფიფილ არტიფიცი- ჯინჯარაძის ნათელ სსოვნას .....	24
წლების გადასახადიდან	
გვანცა ლვინჯილია. პორტრეტი .....	28
„საქმი №...“	
მზია ჯაფარიძე	
„სიეთი რამ რამ მე მემორიალსა, არ უნდა განმეორდეს!“ .....	32
პარტული მუსიკოსები უცხოეთში	
ალექსი შანიძე	
პარტული სელონების ღირსეული ფასები .....	39
პორტრეტი	
ლალი კაკულია. ნათელი სიმი წარსულისა .....	46
პარტული კლასიკოსები	
თამარ ჩინჩალაძე-მარი	
ზაქარია ფალიაშვილის დაბადების დღე .....	52
გულბათ ტორაძე. ვახუშტის სიმღერები .....	53
რეპროდუქციები	
ქეთევან რაზმაძე	
სარეპროდუქციული საზღვარგარეთ .....	55
პარტული მუსიკა საზღვარგარეთ	
ბარამ ბარამიძე. „... და იმის მუსიკა!“ .....	58
სსოვნა ნათელი	
ციცილი ჯერვალიძე. ფიფი მახარაძის გახსენება .....	60
ფესტივალი	
მამუკა ნაცვალაძე	
თელავის საერთაშორისო მუსიკის ფესტივალი .....	61
თარიღი	
მეფა ფანიაშვილი .....	64
ფოლკლორი	
გიორგი კრავიშვილი. თემა განსაზღვრის .....	65
ახალი სახეები	
თამარ ბურჯანაძე. საფორტეპიანო ფუფი .....	67
გალაქტი	
თამარ მესხი-მოდებაძე. პარტული სელონების სასახლე .....	68
ახალი გამოცემები	
რევაზ თავაძე. არსებობა .....	72
მსოფლიო პარტული მუსიკა	
სესილი ხეველიანი. „ორფეოსის“ რეპლიკა .....	75
ესტრადა	
ნია ბახტაძე. როგორც გარემოწული .....	68
WWW .....	82
Summary .....	84

რედაქტორი: მიხეილ ოძელი  
თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე, თამარ წულუკიძე  
ლიტერატურა: ვახტანგ რურუქი, ვანო კიკნაძე  
ინფორმაციური მარგინალი: ქეთევან თუხარელი  
მისამართი: დავით აღმაშენებლის 123  
ტელ.: (+995 32) 295 41 64; ფაქსი: (+995 32) 296 86 78

# «პეპოდგომის თბილისი – 2015»



„პეპოდგომის თბილისი – 2015“. ვახტანგ კახიძე, ლეჟსო თორაძე

ჩვენი დედაქალაქის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“.


წელს იგი ოცდამესამედ გაიმართა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ფესტივალმა მსმენელ-მაყურებელი მიიზიდა მალალი რანგის ქართველი თუ უცხოელი შემსრულებლით. წლევიანდელი ფესტივალის გახსნაზე წარმოგვიდგა ამერიკაში მოღვაწე სახელგანთქმული ქართველი პიანისტი ალექსანდრე (ლეჟსო) თორაძე, რომელმაც შეასრულა პროკოფიევის კონცერტი №2.

ფესტივალის ღირსშესანიშნავ ფურცლებად მიიჩნევა დიდი ქართველი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტები, სადაც სულხან ცინცაძის სახელობის სიმებიანმა კვარტეტმა შეასრულა კომპოზიტორის განუმეორებელი მე-6 და მე-10 კვარტეტები; მეორე კონცერტი კი დაეთმო კინომუსიკას, აჟღერდა ვახტანგ კახიძის მიერ ს. ცინცაძის კინომუსიკის მოტივებზე შექმნილი სიუიტები.

წელს „შემოდგომის თბილისმა“ ყურადღება მიიპყრო საქართველოში მსოფლიო მუსიკალური კლასიკის ისეთი ნიმუშების პირველი შესრულებით, როგორცაა სტრაჟინსკის სიმფონია №1 და ბეთჰოვენის მესა დო-მაჟორი (დირიჟორი ვ. კახიძე, საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა, მთ. ქორმალისტერი არჩილ უშვერიძე, სოლისტები: სალომე ჯიქია (სოპრანო), ნანა ძიძიგური (მეცო-სოპრანო), ანზორ ხიდაშელი (ტენორი), გოჩა დათუსანი (ბანი). როგორც ყოველთვის, წელსაც ფესტივალზე მოწვეული იყვნენ მალალი რანგის შემსრულებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან: პიანისტები - რამზი იასა (ეგვიპტე) ოლივერ პული (დიდი ბრიტანეთი), დირიჟორები-ანდრეა ბონატა (იტალია), ზვინომირ ჰაკო (ხორვატია), ამის ტალმონი (ისრაელი). მათთან ერთად „შემოდგომის თბილისის“ ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ ადგილობრივი ძალები: პიანისტები: მარინა ნადირაძე, ირმა გივანი.

„შემოდგომის თბილისის“ მრავალფეროვან სპექტრს წელსაც შეადგენდა ფოლკლორული მუსიკისა (ანსამბლი „ბასიანი“) და ჯაზის (მონაწილეები – ვოკალური სექსტეტი: „The quintessence“, „Georgian six“, „Jazz Sextet of Georgia“, ვოკალური კვარტეტი – „Rour faces“) საღამოები.

ამ ბოლო ხანს არაერთგზის გაისმა სიტყვები, რომ წლევეანდელი წელი სულხან ცინცაძის წელია. ამას ადასტურებს კომპოზიტორის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: რადიოგადაცემები, საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალებზე „შემოდგომის თბილისი“ და „სახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ გამართული მონოგრაფიული კონცერტები, თელავის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალსა და კამერული ანსამბლების ფესტივალზე ცინცაძის მუსიკის აჟღერება, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ ჩატარებული კონცერტები, ხსოვნის საღამო, სამეცნიერო კონფერენცია.



# საუკუნეებს გასცდება

გულგათ სორაძე

23 აგვისტოს 90 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ კომპოზიტორსა და საზოგადო მოღვაწეს, სსრკ და საქართველოს სახალხო არტისტს, ზ.ფალიაშვილის, შ.რუსთაველის სახელობისა და სსრკ სახელმწიფო პრემიების ლაურეატს სულხან ცინცაძეს (1925–1991).

აქვე დავძენ, რომ სსრკ სახელმწიფო (სტალინური!) პრემია სულხანს მიენიჭა მაშინ, როდესაც იგი ჯერ კიდევ მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტი იყო (1950), რაც ერთადერთი, უპრეცედენტო შემთხვევა საბჭოთა კავშირის ამ უმაღლესი ჯილდოს არსებობის ისტორიაში!

ბატონმა სულხანმა დაგვიტოვა არა მარტო დიდებული შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომლის საუკეთესო ნაწილიც საუკუნეებს გასცდება, არამედ – დაუვინყარი მოგონებები შესანიშნავ პიროვნებაზე,

გულღია, კეთილ ადამიანზე, მეგობარსა და კოლეგაზე.

ჭეშმარიტად ოქროს ხანა იყო ჩვენი მუსიკალური კულტურისათვის 40–80-იანი წლები, როდესაც ერთდროულად მოღვაწეობდნენ ახალი ქართული მუსიკის კლასიკოსები შალვა მშველიძე და ანდრია ბალანჩივაძე, ალექსი მაჭავარიანი და ოთარ თაქთაქიშვილი, რევაზ ლალიძე და დავით თორაძე, არჩილ ჩიმაკაძე და სულხან ცინცაძე. იგი უმცროსი, მაგრამ ღირსეული წარმომადგენელი იყო ამ დიდებული კოჰორტისა, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებაში თავისი თვითმყოფი, ნოვატორული შემოქმედებით.

ყოველდღიური დაძაბული შრომით აღსავსე დიდი და შინაარსიანი გზა განვლო ბატონმა სულხანმა. მთელი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა გამსჭვალულია შინაგანი დინამიზმითა და მიზანსწრაფულობით, კომპოზიტორისათვის უცხოა პასიური ტვრეტის, მოდუნებულობისა თუ ინერტულობის ნიშნები, რაც მისი მუდმივი შემოქმედებითი სახეცვლითაც გამოიხატებოდა.

ს. ცინცაძის შემოქმედება ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აღიარება ჰპოვა სხვადასხვა ჟანრის მისმა მრავალმა ნაწარმოებმა, მაგრამ



სულხან შიქაშვილი, ვახტანგ ჭაჭიკიანი

ვირტუოზი ოსტატისა და დახვეწილი ესთეტიკური კულტურის მქონე ხელოვანის „რენომე“ მას, უპირველესად, სიმებიანმა კვარტეტებმა და საკვარტეტო პიესებმა შეუქმნეს. აი, მუსიკა, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს, მუსიკა, რომლითაც ქართული ხელოვნება ღირსეულად წარმდგარა და კვლავაც წარდგება ნებისმიერ, თვით უმაღლესი რანგის საერთაშორისო ფორუმზეც.

სიმპტომატურია, რომ მისი ელვარე საკომპოზიტორო დებიუტის — I და II კვარტეტები (1947–48) და „გედის სიმღერაც“ — XII კვარტეტი (1990), ამ მისთვის საყვარელ ჟანრთანაა დაკავშირებული.

4

მახსოვს, რა აღფრთოვანება გამოიწვია საზოგადოებისათვის მანამდე თითქმის უცნობი 22 წლის კომპოზიტორის გამარჯვებამ საქართველოს კომპო-

ზიტორთა კავშირის კონკურსზე. პრემირებული კვარტეტი ხომ ფაქტობრივად მისი პირველი ნაწარმოები იყო!

ამ გამარჯვებამ მიიყვანა ს.ცინცაძე მოსკოვის კონსერვატორიის საკომპოზიტორო ფაკულტეტზე და მალე, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, ახალგაზრდა კომპოზიტორს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა II კვარტეტისა და სამი საკვარტეტო მინიატიურის შექმნისათვის.

ამ დაუვინყარი წარმატების შემდეგ განვლილი გზა ყურადღებას იქცევს შემოქმედებითი ევოლუციის ორგანულობითა და თანმიმდევრობით. ასე მაგალითად, ვეებერთელა დისტანციაა, როგორც ქრონოლოგიური, ისე მხატვრული, ცინცაძის პირველ და ბოლო კვარტეტებს შორის, მაგრამ მათ აერთიანებს შემოქმედებითი განვითარების „გამჭოლი“ ხაზი, რომელზედაც მძივებივითაა ასხმული მისი თორმეტი კვარტეტი — ცინცაძის საკომპოზიტორო ოსტატობისა და მხატვრული ინდივიდუალობის ყველაზე კონცენტრირებული გამოხატულება. სწორედ კვარტეტები განსაზღვრავენ კომპოზიტორის შემოქმედებითი განვითარების ძირითად პერიოდებსა და უმთავრეს მხატვრულ ტენდენციებს.

ასე მაგალითად, ცინცაძის პირველი სამი კვარტეტი და საკვარტეტო მინიატიურები, რომლებიც მისი შემოქმედებითი ჩამოყალიბების პერიოდს ეკუთვნის, შეიძლება ერთ დიდ ციკლად გავაერთიანოთ. არსებითად, ისინი ერთ მხატვრულ და სტილისტურ სფეროს წარმოგვიდგენენ. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ამ კვარტეტების მუსიკა, რიტმები, ინტონაციები, ჰარმონიული საქცევები, ზოგჯერ თვით ტემპრული კოლორიტიც, დაბადებულ იყოს ქართული ხალხური სიმღერის წიაღში, რაც მათ განუმეორებელ სურნელს ანიჭებს.

მომდევნო პერიოდში (1950–60-იანი წლები) ს.ცინცაძე დაძაბულად მუშაობდა თავისი შემოქმედების მხატვრული სფეროს გაფართოებაზე და მუსიკალური სტილის გადახალისებაზე. იგი ეუფლება სხვადასხვა ჟანრს, თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკას. სხვათა შორის, პირველად თავის პრაქტიკაში მიმართავს კინომუსიკის ჟანრს — წერს მუსიკას

კინოფილმ „ჭრიტინასათვის“ და პირველივე ცდას ბრწყინვალე შედეგი მოჰყვება. მარინეს სიმღერას მგონი მთელი ჩვენი ახალგაზრდობა მღეროდა! არა-ნაკლები წარმატებით დაგვირგვინდა ცინცადის მომ-დევნო ნამუშევრებიც კინომუსიკის დარგში: „აბეზა-რა“, „ბაში-აჩუკი“, „თოჯინები იცინიან“, „ჯარისკაცის მამა“.

აი, კიდევ ერთი მრავალსახეობა ნიჭისა, რომელ-საც თანაბრად ხელენიფებოდა კამერული ლირიკის რადიონირებული ინტელექტუალური სამყაროც და ლალი ენერგიით აღსავსე სასიმღერო სტიქია!

მხატვრულმა ძიებებმა დასრულებული გამოხა-ტულება ჰპოვა IV კვარტეტში (1955), რომელიც მო-ფიქრებულია, როგორც დრამატული ნაწარმოები და თავიდანვე იტაცებს მსმენელს განვითარების მიზან-სწრაფულობით, ხალასი ექსპრესიით. 50-60-იანი წლების მიჯნაზე და მომდევნო ხანებშია შექმნილი ბალეტი „დემონი“, რომელიც 7 სეზონის მანძილზე იდგმებოდა ჩვენს საოპერო თეატრში, II და III სიმფო-ნიები, ინსტრუმენტული კონცერტების „ტრიადა“ და, კვლავ, კომპოზიტორის საყვარელი ჟანრი: V (1963) და განსაკუთრებით, VI (1966) კვარტეტი, რომელსაც საკავშირო, ხოლო შემდეგ საერთაშორისო აღიარება ხვდა წილად. მასში სტილისტურად დასრულებული და გამოკვეთილი სახით გამოვლინდა ის თვისებები, რომლებიც ნიშანდობლივია 60-იანი წლების ნაწარ-მოებებისათვის: დაძაბული დინამიკური პულსი, პო-ლიფონიურობით გამსჭვალული ფაქტურა, მუსიკა-ლური ენის სიმბაფრე, დრამატული და გროტესკული ელემენტების შეთავსება ნატიფ ლირიკასთან.

70-იან წლებში ს.ცინცაძე ბევრს მუშაობდა მუსი-კალური თეატრის ჟანრებში. მას წარმატება მო-უტანა ბალეტმა „რივარესმა“ (ე. ვონიჩის რომანის „კრაზანას“ მიხედვით), რომელიც მოსკოვში დაიდგა და მომთხოვნი მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. სპექტაკლი რამდენიმე სეზონის მანძილზე იდგმებო-და (წარმოდგენათა რიცხვი ორასს მიუახლოვდა) და კინოფიზიკა გადაიღეს.

და კიდევ, როგორც ადრე, მომდევნო ათწლე-ულშიც (80-იან წლებში) კომპოზიტორის უმაღლესი შემოქმედებითი მიღწევა კვარტეტის ჟანრთან არის

დაკავშირებული. მისი X კვარტეტი (1984) – დღეს ეს თამამად შეიძლება ითქვას, საერთაშორისო რანგი-სა და დონის ნაწარმოებია, მას უმაღლესი შეფასება მისცეს როგორც კამერული მუსიკის მოყვარულებმა მრავალ ქვეყანაში, ასევე მსოფლიოს გამოჩენილმა სპეციალისტებმა, მუსიკოს-პროფესიონალებმა. ამ ნაწარმოებში ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, მისი ტოტალური პოლიფონიური სტრუქტურა და, მეორე მხრივ, თითქოსდა მივიწყებული, შემოქმედებითი სი-ჭაბუკისეული მხატვრული სახეებისადმი დაბრუნება, ცხადია, თანამედროვე ტექნოლოგიურ დონეზე.

ბოლო წლების შემოქმედებითი მოღვაწეობის მწვერვალად კი უნდა მივიჩნიოთ „24 პრელუდია ვი-ოლინოსა და კამერული ორკესტრისათვის“ (1987), რომლის დაუვინყარი პრემიერაც შედგა ჩვენი უბად-ლო ლიანა ისაკაძის შესრულებით. ეს ნაწარმოები ს. ცინცაძის საუკეთესო კვარტეტების მხატვრულ დონე-ზეა და ამით ყველაფერია ნათქვამი. ეს არის უმაღ-ლესი საკომპოზიტორო ოსტატობისა და ზემთაგონე-ბის საოცარი ნაერთი, თანამედროვე ქართული მუსი-კის ერთ-ერთი საუკეთესო „სავიზიტო ბარათი“.

სულმოუთქმელად მუშაობა ს. ცინცაძის დამახა-სიათებელი თვისება იყო მისი მთელი შემოქმედები-თი გზის მანძილზე. უკვე მძიმედ დაავადებულმა შექმ-ნა თავისი ბოლო ორი კვარტეტი, ვოკალური ბალადა „მესაფლავე“ (გალაკტიონის ლექსზე), V სიმფონია, რომელთა პრემიერებიც მისთვის უკანასკნელ სიხა-რულად იქცა.

გამოჩენილი კომპოზიტორი თვალსაჩინო საზო-გადო მოღვაწეც გახლდათ. 1965-1984 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი იყო, აქვე უძღვებოდა საკრავთმცოდნეობის კლასს, მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა კომ-პოზიტორთა კავშირის კამერული მუსიკის სექციას, ხოლო 1984-1990 წლებში სათავეში ედგა ჩვენს სა-კომპოზიტორო ორგანიზაციას. მაღალი შემოქმედე-ბითი ავტორიტეტის მუსიკოსს ხშირად ინვევდნენ საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრად და თავ-მჯდომარედ.

სულხან ცინცაძის სახელი ოქროს ასოებითაა ჩა-წერილი ქართული მუსიკის მატრიანეში.

# სისადავისა და გენიალობის ზღვარზე...

რუსუდან ნურნუშია

უკანასკნელ ხანს ხშირად მახსენდება ბ-ნ გულბათ ტორაძის გამონათქვამი, რომლითაც იგი, ჩვეულებრივ თავის საჯარო გამოსვლებს იწყებს – ასაკი ჩემი უპირატესობააო. – ალბათ, მართლაც ასეა – ჩვენს თაობას ჰქონდა ბედნიერება, მოსწრებოდა ქართული მუსიკის არნახული აღმავლობის წლებს და ურთიერთობა ჰქონდა მის კლასიკოსებთან.

სულხან ცინცაძე ერთ-ერთი იმათაგანია, ვისთან ურთიერთობას დიდი სიხარული მოჰქონდა მისი პიროვნული ხიბლისა და პროფესიული ღირსებების გამო. ნარმოსადეგი და მუდამ ელეგანტური, იგი გაბრაზებულიც გვახსოვს და კეთილად მომღიმარიც. ბრამბოდა, როცა პროფესიისადმი უპასუხისმგებლობას იჩენდნენ, როცა ნიჭიერი ადამიანის სიზარმაცესა და არაპროფესიონალიზმს აწყდებოდა... მაგრამ ამ უნიჭიერესი ადამიანის კეთილშობილებასა და დიდბუნებოვნებას ყველაზე უკეთ გამოხატავდა უნარი, აღფრთოვანებულიყო კოლეგების წარმატებით. ერთხელ თავადაც გახლდით ასეთი გულწრფელი აღფრთოვანების მონაწილე: – 70-იანი წლების ბოლოს საკავშირო ყრილობაზე ვიყავით მოსკოვში, მთელი ქართული დელეგაცია სასტუმრო „მოსკოვში“ ცხოვრობდა. უფროს თაობას კარგად უნდა ახსოვდეს ის დიდი წარმატება, რომელიც ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტზე ბიძინა კვერნაძის ვოკალურ-სიმფონიურ პოემას, გია ყანჩელის მე-5 სიმფონიასა და სულხან ნასიძის „დალასი“ ხვდა წილად. ოვაციებს ბოლო არ უჩანდა, დარბაზი ფეხზე ამდგარი ესალმებოდა ავტორებს... ეს ნამდვილად ტრიუმფული წარმატება იყო. მეორე დღით, სასტუმროში მანანა კორძიასა და მე საუზმებზე

ბატონი სულხანი შემოგვიერთდა, რომელიც საოცრად აღგზნებული და ბედნიერი ჩანდა. ეს ჩვენ ჩვეულებრივ ამაღლ ჩავთვალეთ, რადგან წინა დღეს, კამერული მუსიკის კონცერტზე მისი ახალი კვარტეტიც დიდი წარმატებით შესრულდა. როცა წარმატება მივულოცეთ, აღმოჩნდა, რომ ბატონი სულხანის ასეთი ზეანუელი განწყობის მიზეზი, „მისი ბიჭების“ (თავისი მეგობრები – ბიძინა, სულხანი და გია იგულისხმა) და მათთან ერთად, მთელი ქართული სიმფონიური მუსიკის გამარჯვება იყო! შეუძლებელი იყო, არ გერწმუნა ამ ბავშვური უშუალობითა და განცდით წარმოთქმული სიტყვების გულწრფელობა, რომელშიც ნიჭიერი ადამიანის მიერ სხვისი ნიჭის დაფასების საოცარი ნიჭი გამოსტკვივდა...



ქართულ მუსიკაში სულხან ცინცაძის წვლილის განსასაზღვრად, გივი ორჯონიკიძის ერთ აფორისტულ გამოთქმას გავიხსენებ: – კულტურის არსი მატებაშია. – როგორც იგი წერს, – კულტურა, რომელიც დანტესაც იცნობს და შექსპირსაც, უფრო ფართო და მრავალფეროვანია, ვიდრე ის, რომელიც მხოლოდ დანტეს იცნობს. მათი მოღვაწეობის ღირებულება, ვინც კულტურის პროგრესს ახორციელებს, სწორედ ამ მატებით იზომება, ხოლო კულტურაში მატება იმის შემოტანით იზომება, რაც ადრე მისთვის დამახასიათებელი არ იყო. – თუ ამ პოზიციიდან შევადვასებთ სულხან ცინცაძის, როგორც შემოქმედის ღვაწლს, უნდა ვთქვათ, რომ მან განუსაზღვრელად დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის პროგრესში. მაგალითად, ოპერა „განდეგი-



ლი“ ქართული ექსპრესიონისტული დუო-ოპერის პირველი და ერთადერთი ნიმუშია; ბალეტები და სიმფონიები, განსაკუთრებით, მესამე სიმფონია ეროვნული მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრებია, მისი კინომუსიკა დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს და ხშირად ჟღერს ორიგინალური თუ ახლად არანჟირებული სახით...

მაგრამ, ცხადია, სრულიად განსაკუთრებულია მისი როლი კამერულ-ინსტრუმენტულ მუსიკაში – შეიძლება ითქვას, რომ სულხან ცინცაძემ თავისი კვარტეტებით შექმნა ახალი ქართული კამერული მუსიკის ფენომენი, რითაც გაამდიდრა არა მარტო ეროვნული მუსიკალური კულტურა და აქცია იგი ლოკალურიდან საერთაშორისო მასშტაბის მოვლენად, არამედ სრულიად ახალი ფერი შეჰმატა მსოფლიო მუსიკალურ კულტურასაც. ამაზე მეტყველებს მისი კამერული მუსიკის ჩანაწერების მოცულობაც ინტერნეტსივრცეში და სულ უფრო მზარდი ინტერესი მის მიმართ. სხვათა შორის, კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრისათვისაც არა ერთხელ მოუმართავთ თხოვნით, მიგვეწოდებინა კომპოზიტორის კამერული მუსიკის ნოტები...

განსაკუთრებით გამოვყოფდი მისი ნიჭიერების კიდევ ერთ, განსაკუთრებულ მხარეს, რომელმაც, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მუსიკას უსაზღვრო შესაძლებლობები აქვს და შეიძლება, ყველაზე უბრალო მუსიკალური იდეა გენიალურმა ინტუიციამ ნამდვილ მუსიკალურ შედეგად აქციოს – მხედველობაში მაქვს მისი მცირე საკვარტეტო ოპუსები, რომლებიც უფრო ექსპერიმენტებია, ვიდრე გაცნობიერებული საკომპოზიტორო აქტის შედეგად შექმნილი ოპუსები. ეს უფრო გვიან მოვიდა, მაგრამ ამ პირველსავე ოპუსებში გაცხადდა უსაზღვრო კომპოზიტორული ფანტაზია და გამომგონებლობა, ფორმის მკაფიოება, საკვარტეტო ფაქტურის გრძობა, როცა ყოველი საკრავი ანსამბლის შემადგენელი და, ამავე დროს, დამოუკიდებელია, როცა შტრიხების სიმდიდრე სიმებიან საკრავებს გასაოცარ ტემბრულ მრავალფეროვნებას სძენს და გამომსახველი ხერხების ერთგვარ „პოლიფონიას“ ქმნის...

1940-იან წლებში, საკვარტეტო მინიატიურებში, როგორც შემოქმედებით ლაბორატორიაში, უკვე გა-



მარცხნიდან: სულხან ცინცაძე, გიანა ჯანაშიანი, სულხან ნასიძე, რეჟან ლალიძე, არჩილ პარცხალიძე

მოვლინდა სულხან ცინცაძის კომპოზიტორული აზროვნების მონიფულობა, რაც სიმებიანი კვარტეტის ჟანრში მხოლოდ 1960-იანი წლებიდან, მე-5 კვარტეტიდან იჩენს თავს. მინიატიურებში, ყველაფერთან ერთად, საქმე გვაქვს ინდივიდუალური და ეროვნული სტილის შესაძლებლობების დამთხვევასთან. 60-იანი წლებიდან კი ეროვნული სტილის შესაძლებლობების გაფართოება გახდა ის აუცილებელი პირობა, რომელმაც შესაძლებელი გახადა, საზოგადოდ, მუსიკის და, კერძოდ, ს. ცინცაძის საკვარტეტო მუსიკის კონცეპტუალიზაცია.

40-იან წლებში კი სულხან ცინცაძის საკვარტეტო მინიატიურებმა სწორედ ის შემოიტანეს კამერულ-ინსტრუმენტულ მუსიკაში, რაც მასში მანამდე არ იყო: ხალხურის საკვარტეტო ჟანრისათვის სპეციფიკურ გამომსახველობაში გარდასახვა და მუსიკალური სახიერების ისეთი განუმეორებლობით აღბეჭდვა, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს. ეს „პატარა შედეგები“ (როგორც თავის დროზე მათ შ. ასლანიშვილიმა უწოდა), რომლებშიც სისადავე პარადოქსულად ვირტუოზულია, მათი ავტორის გენიალური მხატვრული მიგნებაა, რასაც მონიშნავს მსოფლიო საკონცერტო ესტრადებზე მათი შესრულების ყოველი ახალი ფაქტი.

სულხან ცინცაძის საიუბილეოდ შევხვდით იმ ადამიანებს, რომელთაც ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ კომპოზიტორთან: სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის წევრებს – ნოდარ ჟვანიასა და ოთარ ჩუბინიშვილს და სულხან ცინცაძის ვაჟს, კომპოზიტორ ირაკლი ცინცაძეს.

# სიყვარულით გარემოსული

თამარ წულუკიძე – სულხან ცინცაძის საიუბილეო თარიღი მართლაც რომ სათანადოდ აღინიშნება: მთელი რიგი კონცერტები, საიუბილეო საღამო, სამეცნიერო კონფერენცია. დიდი აზრობრივ-ემოციური დატვირთვა მიენიჭა თბილისის ფ. კახიძის სახ. მუსიკალური ცენტრის საერთაშორისო ფესტივალის „შემოდ-

ნოდარ ჟვანია – უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ვატო კახიძეს, რომელმაც ინიციატივა გამოიჩინა და ფესტივალში ჩართო ეს კონცერტი. თავიდან ძალიან ველავდით, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით, ვფიქრობდით, დარბაზი რამდენად შეივსებოდა, მერე როგორ გაიჟღერებდა, ხალხი როგორ მიიღებდა. თავიდანვე, როგორც დავინახეთ სავსე დარბაზი, ძალიან გვესიამოვნა. მე-6 კვარტეტი რომ დავინწყეთ, პირველივე უნისონიდან უკვე ვიგრძენით, რომ კარგად წავიდოდა საქმე. მე საერთოდ, მე-6 კვარტეტისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. ჩვენი კვარტეტი რომ შეიქმა და პირველი კონცერტი მივეცით, მაშინ შევასრულეთ ეს ნაწარმოები. ამ დროს ძალიან თანამედროვე და უჩვეულო ნაწარმოებად აღიქმებოდა. ცინცაძის ნაწარმოებთაგანაც, ბუნებრივია, პირველად ეს შევასრულეთ. ეს იყო 1967 წლის 14 მარტი. მაშინ ჩელოზე ბიჭიკო ბარნაბიშვილი უკრავდა. საერთოდ, თავიდან ბიჭიკომ შეგვკრიბა, ის გვხელმძღვანელობდა.



სულხან ცინცაძე, მსხისლავ როსტროპოვიჩი

ოთარ ჩუბინიშვილი – ჩვენ „შემოდგომის თბილისის“ ფარგლებში ჩატარებულ კონცერტში დიდი სიყვარული ჩავდეთ. მე მაინც განსაკუთრებული ნოსტალგია მე-10 კვარტეტზე მაქვს. ეს ბოლო ნაწარმოებია, რომლის შესრულებასაც თვითონ მოესწრო. მას შემდეგ ცოტა ხანს იცოცხლა. მაგალითად, მე-12 კვარტეტის ბოლო ნაწილი პირველად მის დაკრძალვაზე დაუკარით, იმ წუთებში ისეთი განცდა გვექონდა, სიტყვებით რომ ვერ გადმოსცემ. ამის შემდეგ გამოვიდა ბატონი ანტონ წულუკიძე და თქვა: – წინადადება მაქვს, ამ კვარტეტს სულხან ცინცაძის სახელი ეწოდოს

ნ. ჟ. – მე-12 კვარტეტი ჩვენ მის სიცოცხლეში არ

გომის თბილისის“ ფარგლებში გამართულ კონცერტს, სადაც ს. ცინცაძის სახ. სიმებიანმა კვარტეტმა შეასრულა მე-6 და მე-10 კვარტეტები. ეს იყო დროის გადასახედიდან ცინცაძის შემოქმედებასთან შეხება, აღქმა, აგრეთვე იმ დროის მოგონება, როდესაც ეს კვარტეტები სრულდებოდა პირველად. თქვენ რა განცდა გქონდათ იმ საღამოს?

დაგვიკრავს, იმიტომ, რომ რალაცაზე გაგვიბრაზდა და ტელევიზიის კვარტეტს დააკვრევინა.

**თ. ნ. – თქვენ რეპერტუარში გაქვთ ცინცადის ადრული ნაწარმოებები – მინიატიურები და გვიანდელი კვარტეტები, შეიძლება ითქვას განსხვავებული სტილისა და ხელწერის ნაწარმოებები. თქვენ აღქმაში ეს ერთი კომპოზიტორის ნაწარმოებებია თუ „ორის“ – ადრული და გვიანდელი ცინცადის?**

**ნ. ჟ. –** არა, მხოლოდ ერთის. ადრინდელ ნაწარმოებებში – მინიატიურებში უკვე ჩადებულია ეს ყვე-

**თ. ჩ. –** მართლაც, სულხანის ყველა ნაწარმოებს ატყვია ერთი ხელწერა, ათას კომპოზიტორში გამოარჩევ. საკვარტეტო ნაწარმოების ერთი მოსმენით ცხადი ხდება, რომ ავტორი ძალიან კარგი ვიოლონჩელისტი იყო, ყველგან ისე იაზრებს ჩელოს პარტიას. მისი ნაწარმოებები ჩელოსთვის, შაფრანის საყვარელი ნაწარმოებებიც იყო. შაფრანი კი, პირადად ჩემთვის, ნომერი პირველი ვიოლონჩელისტია, მის გვერდით ვერავის დაგაყენებ. თუ სხვა ვიოლონჩელისტები, ფაქტობრივად, ერთნაირი ბგერით უკრავენ,



„ეპოქალური სახეები – 2015“. ს. ცინცადის საინჟინერო კონსერტო. ს.ა.პ. სახელმწიფო კვარტეტი, მარცხნიდან: კონსტანტინე ვარაძე, თამაზ ბათიაშვილი, ოთარ ჩუბინიშვილი, ნოდარ ჟვანია.

ლაფერი, რაც შემდგომში გაიშალა და გადასხვაფერდა მასში – ეს დიდი ოსტატობა, ეროვნული საფუძველი, თბილისური კოლორიტი, დუდუკი და განსხვავებული ჟღერადობა, მე-10 კვარტეტში რომ ჩნდება უკვე სხვა დატვირთვით. მინიატიურების პირველი შემსრულებლები ჩვენ არ ვყოფილვართ, მაგრამ ისე გავითავისეთ, ჩვენი გახდა.

შაფრანის ბგერას ტემბრალურად ყველასგან გამოარჩევ. ისე, სიმართლე რომ ვთქვა, სულხანის ზოგი ნაწარმოები თავიდან არ მომწონებია, მაგრამ არ ვიცი, რა ძალა და მადლი ჰქონდა, გაუსვამდი ხემს და... აღტაცებული ვრჩებოდი. ამას ბევრი კომპოზიტორი ვერ დაიკვებინს. სულხანის ფანტაზია ტემბრალურობის მხრივ ხომ ამოუწურავია, მე ვერც ნაწარმოედ-

გინა ფლაყოლეტების ამგვარი აჟღერება. იგივე მე-10 კვარტეტში ჩელოთი ასეთი დუდუკების ხმოვანების შექმნა. მაგრამ ამას, ალბათ, ქართველის გარდა სხვა ვერ ააჟღერებს, ევროპელი დაუკრავს თავისი კლასიკური ჟღერადობით.

**ნ. ჟ.** — ჩვენც უკვე ისე ვუკრავთ, ჩვენებურად, განსაკუთრებით მინიატიურებს, რომ იმპროვიზირებას ვახდენთ. ოთარი, საერთოდ, ხანდახან ჩელოს ვიტარად გადააქცევს ხოლმე. ერთმანეთშიც ისე შეწყობილები ვართ, ყველა ხმა ერთად გვესმის. თუ ერთი იმპროვიზირებას იწყებს, ყველანი ავყვებით-ხოლმე.

ეს უკვე დროს მოაქვს. ერთად ყოფნის 50 წელი გვისრულდება. ეს ხანი ისე განვვლეთ, დღე და ღამის გასწორებაში, სხვანაირად ერთ ორგანიზმად ყოფნა არ გამოვა. ამის შემდეგ უკვე მუსიკირება ადვილია. სულხანსაც სწორედ ეს მოსწონდა ჩვენი — მუსიკირება.

**თ. ნ.** — რა როლს ასრულებდა ბატონი სულხანი მისი კვარტეტების მომზადების პროცესში?

**თ. ჩ.** — ჯერ წერის პროცესში სულ გვიჩვენებდა, ამონებდა, აზრს გვეკითხებოდა, შემდეგ ითვალისწინებდა. მაგალითად, მინიატიურების მეორე და მესამე ციკლი სულ ჩვენთან ურთიერთობისას დაწერა...

**ნ. ჟ.** — საერთოდ, ჩვენთან ერთად ქმნიდა ნაწარმოებებს. მერე ის მოგვწონდა, როცა გვისმენდა, არასოდეს თავის აზრს არ გვახვევდა, პირიქით, ჩვენგან გამომდინარე შეჭქონდა კორექტივები ნაწარმოებში.

**თ. ნ.** — სულხან ცინცაძესთან, როგორც კონსერვატორიის რექტორთანაც გქონდათ ურთიერთობა...

**ნ. ჟ.** — როგორც რექტორი ბრწყინვალე იყო. მკაცრიც იყო, სხვანაირად, აბა, რა გამოვიდოდა. მახსენდება, კვარტეტში რომ ვუკრავდი, ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, ვერ ვასწრებდი ყველაფერს ერთად, ამიტომ ლექციებს ვაცდენდი. ამისათვის დამსაჯეს და სტიპენდია დამიკავეს, სულხანის ბრძანებით. შემხვდა და ვუთხარი: — კი მაგრამ, სტიპენდიას რომ მიკავებდით, მე ამ დროს თქვენს კვარტეტს ვსწავლობდი-მეთქი... კი შეიცხადა, — უი, მართლა, მართლა...

**თ. ჩ.** — განუმეორებელი რექტორი იყო. მისი ყველას დიდი რიდი და ზოგჯერ შიშაც ჰქონდა. მეც

გავიხსენებ ერთ ეპიზოდს: კონსერვატორიის ახალგაზრდა პედაგოგი ვიყავი. მაშინ დეკანატები რექტორის კაბინეტის გვერდით იყო. შევედი დეკანატში, თამაზ გომელაური იყო ჩვენი დეკანი, შემოვიდა თეორეტიკოსების დეკანიც — ჯემალ ოიკაშვილი, რაღაც სატყეულ-სასმელი შემოიტანეს, გადაკეტეს კარები, და ასე ვთქვათ, პატარა ქეიფი გავაჩაღეთ. ცოტა ხანში გვესმის კარებზე კაკუნი და სულხანის ხმა: კი მაგრამ, რა ხდება აქ? — ჩვენ გავისუსეთ, ხმას არ ვიღებთ, სულხანი კი განაგრძობს კაკუნს, ბოლოს ერთმანეთს გადაუწურჩულეთ, — ხომ მაინც გაიგებს ვინ ვართ და რას ვშვრებით, ჯობია გავალოთ-თქო და გავაღეთ კარები ნირნამხდარებმა. სულხანმა მიმოიხედა და ცოტა არ იყოს, გაბრაზებული ტონით გვითხრა — არ გრცხვენიათ, უჩემოდ რომ ქეიფობთო!.. — ყველას სიცილი აგვიტყდა და გულზე მოგვეშვა.

**თ. ნ.** — კიდევ ბევრი გექნებათ მოსაგონარი პირადი ურთიერთობიდანაც.

**ნ. ჟ.** — ჩვენ ყველას გვახსენდება მასთან გატარებული დრო. რომ გაიგებდა სადმე მისი ნაწარმოები უნდა დაგვეკრა, თუნდაც ერთი მინიატიურა, აუცილებლად წამოგვეყვებოდა, სადაც არ უნდა წავსულიყავით. ასე შემოვიარეთ მთელი საქართველო. თან ჩვენ მომლხენი ხალხი ვიყავით და და იმასაც უყვარდა ჩვენთან დროის გატარება. დაუვინყარი იყო მასთან გატარებული დღეები, როდესაც სულხანს 50 წელი შეუსრულდა და ამასთან დაკავშირებით კონცერტებით მოვიარეთ მთელი საქართველო. ისეთი სიყვარულით ხვდებოდნენ სულხანს, როგორც ნამდვილ სახალხო ხელოვანს. ერთი კონცერტი მახსენდება, ზუსტად არ ვიცი, სამტრედიის იყო, თუ ზესტაფონში. გავსებულია მთელი დარბაზი, ნემსი არ ჩავარდება. პირველი ნაწარმოები უნდა შესრულდეს — მინიატიურები ტიბეტურ თემებზე. უნდა დავინყოთ, მაგრამ კოტიკა არ იწყებს (პირველი ვიოლინო კონსტანტინე ვარდელი — თ. ნ.), ვერ ვხვდებით რატომ, ბოლოს ვიოლინოს ხეში დაუკაკუნა და გასძახა სულხანს, რომელიც ამ დროს რაიკომის მდივანს ელაპარაკებოდა: — სულხან, ნაუ, ნაუ, პაუ! (ვითომ ტიბეტურად — თ. ნ.), — სულხანმაც გამოხედა, თავი დაუქნია და უპასუხა: —პაუ! — და კოტიკამაც დაიწყა...

**ო. ჩ.** — მე ისეთ რაღაცეებს ვიხსენებ, არ ვიცი, თუ ღირს თქვენს ჟურნალში დასაბეჭდად. ახალი ჩამოსული ვიყავი მოსკოვიდან, პატარა, 24 წლის ბიჭი. ნახალოვკაში ვცხოვრობდი სულხანის მეზობლად და ძალიან დავახლოვდით. თუ კი მასთან, ასე ვთქვათ, რაიმე მხიარულება იმართებოდა, აუცილებლად მეც იმყოფებოდა. ერთხელაც დამირეკა — მოდიო. სტუმრები ჰყოლია: პეტრე გრუზინსკი და ა. შ. გაჩაღდა ქეიფი, შაირობა. მეც შევბარხობდი, მომეხსნა კომპლექსი და რაც მოსკოვში „ჩასტუშკები“ ვისწავლე, ყველაფერი დავამღერე, თავისი ბილნსიტყვაობით. მეორე დღეს რომ გავიღვიძე, სირცხვილით ვინვოდი. საღამოს კი სულხანი მირეკავს: — იცოდე, იმ „ჩასტუშკებს“ თუ არ ჩამინერ, შენი ფეხი არ იქნება კონსერვატორიაშიო. — რა მექნა, ჩავუნერე. მერე კარგა ხანი გავიდა და მხვდება მისი მეუღლე — ლიანა და მეუბნება: — სულხანი ღამე ისე არ იძინებს, თუ შენი „ჩასტუშკები“ არ მოისმინაო. საერთოდ, უკეთილშობილესი ადამიანი იყო. პირადად ჩემზე დიდი ამაგი აქვს. მოსკოვიდან რომ ჩამოვედი, სულხანმა მიმიყვანა ამ კვარტეტში, — ოთარმა უნდა დაუკრას აქ ჩელოზეო. ამ დროს ბარნაბიშვილიც ძალიან ვაჟკაცურად მოიქცა.

**ნ. ჟ.** — ამის შემდეგ ბუდაპეშტში ვაინერის კონკურსზე რომ გავიმარჯვეთ, ამაშიც სულხანის დიდი წილი იყო. მანამდე ჩვენ, მართალია, კარგად ვუკრავდით, მაგრამ თავდაჯერება გვაკლდა. მოსკოვში ტურზე გასვლის წინ კი სულხანმა გვითხრა: — მე ბოროდინის კვარტეტის წევრს, დუბინსკის ვიცნობ და ვთხოვ, რეპეტიციაზე დავასწროთო. ასე დავუკავშირდით დუბინსკის, რომელმაც ძალიან დიდი დრო დაგვითმო, ბორჯომში ჩვენთან ერთად თვენახევარი გაჩერდა და გვაშბადებდა. ეს ყველაფერი კი სულხანისგან მოდიოდა.

**ო. ნ.** — თქვენ საზღვარგარეთაც ყოველთვის უკრავდით და უკრვთ ცინცაძეს, ალბათ, იქაურ მსმენელზეც შესაბამის შთაბეჭდილებას ახდენს.

**ნ. ჟ.** — საოცარი რეზონანსი ჰქონდა და აქვს. განსაკუთრებით მინიატიურებზეა ყოველთვის აჟიოტაჟი. არ მახსოვს სადმე დაგვეკრას და კონცერტის შემდეგ არ მოსულიყვნენ, არ ეთხოვათ პარტიების გადაღება. ამაზე ჰოროვიცი მახსენდება. ერთი პერიოდი ბისზე

სულ ერთი და იგივე პატარა ნაწარმოებებს უკრავდა. მერე თქვა: — შევწყვიტე ამ ნაწარმოებების შესრულება იმიტომ, რომ ყველა ამაზე მელაპარაკება და სხვა ყველაფერი ავინყდებათო.

**ო. ჩ.** — ცინცაძის მუსიკას ყველგან აღფრთოვანებით იღებენ. აქამდე საზღვარგარეთ ასეთი დამოკიდებულება იყო, რომ სსრკ-ს სივრცეში არის ორი დიდი კვარტეტისტი — შოსტაკოვიჩი და ცინცაძე. ამასწინათ ეთერ ანჯაფარიძე იყო ჩამოსული და თქვა, რომ ამერიკაში ითხოვენ ცინცაძის მე-6 კვარტეტის ნოტებსო. მაგრამ, შეუძლებელი შეიქნა ამის შოვნა და მე იძულებული ვიყავი ჩემი უკანასკნელი პარტიტურა გამეტანებინა. ფაქტობრივად, არ არსებობს ცინცაძის კვარტეტების გამოცემები და ეს დიდი პრობლემაა, დიდი სირცხვილია. ჩვენ უნდა გამოვცეთ მისი ნოტები, მოვუაროთ და ვიამაყოთ მისით. ამ კომპოზიტორის დაფასებაც ეს იქნება!

\*\*\*

**ო. ნ.** — ერთდროულად ძალიან საამაყოც და საპასუხისმგებლოც არის, იყო სულხან ცინცაძის შვილი, მით უმეტეს, როცა თავად კომპოზიტორი ხართ. პირველად როდის შეიცანით სულხან ცინცაძე, როგორც კომპოზიტორი?

**ირაკლი ცინცაძე** — ბუნდოვანი შთაბეჭდილება ჩამრჩა ადრეული ბავშვობიდან, ალაგ-ალაგ ცალკეული ფრაგმენტები. უკვე სერიოზულად აღვიჭვივ, როცა თვითონაც მოვმნიფდი როგორც მუსიკოსი.

**ო. ნ.** — ალბათ, მამის შემოქმედებითი პროცესის შემსწრეც ყოფილხართ...

**ი. ც.** — ესეც უფრო ადრეულ ბავშვობას უკავშირდება. მახსოვს, როცა ის მუშაობდა, იკეტებოდა სახლში მთელი დღეები. ისე ძალიან გულღია ადამიანი იყო, უყვარდა საზოგადოება, მეგობრების წრე. მაგრამ მუშაობისას მისთვის სხვა არაფერი არ არსებობდა. დაწყების წინ ისმენდა სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა სტილის კომპოზიტორების ნაწარმოებებს (სხვა კომპოზიტორები ხომ პირიქით, მუშაობის დაწყების წინ არაფერს არ ისმენენ, რომ გავლენის ქვეშ არ მოექცნენ). ამის შემდეგ იწყებდა თავად წერას. ერთი სასა-



სულხან ცინცაძე ვაჟივითან, ირაკლი ცინცაძესთან ერთად.

12

ცილო ეპიზოდს შემორჩა ჩემს და ჩემი ახლობლების მეხსიერებას: ის მუშაობდა, მე კი, 6-7 წლის ბავშვი შევედი ოთახში, რაღაც წავიღიღინე და მას ამ დროს

თურმე „გაჭედვის“ მომენტი ჰქონია — ჩემი ნამლერი ჩაუსვამს ნაწარმოებში. ბევრს ენეოდა და სხვათა შორის, ამბობდა, სივარეტის ბოლს რომ ვუყურებ, ჩემში შთავგონებას იწვევს და ამავე დროს მობილიზებასაც ვახდენო. — რა თქმა უნდა, ღვთისგან ჰქონდა მომადლებული ეს ყველაფერი.

**თ. ნ. — თუ ყოფილა ბატონი სულხანი თქვენი მოძღვრის, მასწავლებლის როლში?**

**ი. ც. —** პროფესიულ რჩევებს ყოველთვის მაძლევდა. განსაკუთრებით უყვარდა ფოლკლორთან შეხებაზე, ფოლკლორული მასალის გამოყენებაზე ყურადღების გამახვილება. ამბობდა, რომ ფოლკლორის ფიგურირება ნაწარმოებში აუცილებელია იმისთვის, რომ ეროვნული საფუძველი არსებობდეს. მაგრამ ხაზს უსვამდა, რომ ფოლკლორი აუცილებლად უნდა გამოიყენებოდეს ზომიერად. თუ ეს ზომიერება დაირღვა, მაშინ ნაწარმოები შინაარსობრივად წააგებს, ვინაიდან ნებისმიერი ნაწარმოები — ეს არის ავტორის სულიერი მონოლოგი და ფოლკლორიც ამ მონოლოგის ნაწილი თუ საფუძველი უნდა იყოს. ჩემს გერმანიაში წასვლამდე კიდევ გამიზიარა ფოლკლორზე მუშაობის თავისი პრინციპები, ოღონდ ერთი „რკინისებური“ პირობით — რომ მისთვის არაფრით არ მიმეზავა. რა თქმა უნდა, ზოგად რჩევებსაც მაძლევდა და დეტალებზეც მესაუბრებოდა. მაგალითად, ამბობდა, რომ პოლიფონიის გაძლიერება იძლევა მეტი ინდივიდუალიზაციის საშუალებას. თვითონაც თუკი ფოლკლორს იყენებდა ციტატის სახით, მაშინ მიმართავდა იმიტაციის ხერხს. საერთოდ აღნიშნავდა, რომ რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება მასალა — მელოდიის, ჰარმონიის, პოლიფონიის მხრივ, მით უფრო მოიგებს ნაწარმოები.

**თ. ნ. — თქვენთვის ცნობილია სულხან ცინცაძის ცხოვრების გზაც და შემოქმედებითი გზაც. თუ ხედავთ კავშირს მათ შორის?**

**ი. ც. —** რა თქმა უნდა, ორივე გზა უშუალო კავშირშია ერთმანეთთან. თავად სულხანის ცხოვრება საპირისპირო მოვლენებით იყო აღსავსე. დაიბადა გორში, ძალან ღარიბ ოჯახში. მამამისი — თეოდორე ცინცაძე ვეტერინარი იყო, 1937 წელს დახვრიტეს. სულხანი 12 წლის იყო, როცა თბილისში გადმოვიდა დედასთან და

ძმასთან ერთად. ცხოვრობდნენ ძნელაძეზე, იტალიურ ეზოში, პანანინა ოთახში. მერე გადის დრო, დგება სტუდენტობის პერიოდი და სრულიად განსხვავებულ გარემოში ხვდება. მოსკოვის კონსერვატორიის დერეფანში ყოველდღე ხედავს შოსტაკოვიჩს, პროკოფიევს – ტიტანებს. თუმცა მაშინაც ლუკმა-პური ენატრება. დედამისმა – ქალბატონმა ელენემ, იმ პერიოდში ოქროს კბილი ჩამოიხსნა, გაყიდა და ამით ერთი ყუთი მოხარშული რძე („ზგუშჩონკა“) იყიდა და გაუგზავნა სულხანს მოსკოვში. სულხანი და მასთან ერთად დანიელ შაფრანი ამ დროს ლამის შიმშილით კვდებოდნენ. შემდგომში სულხანი წერდა კიდევ, რომ ამ გამოგზავნილმა ამანათმა იხსნა ჩემი და შაფრანის სიცოცხლე. — მოსკოვის საერთო საცხოვრებელი ხომ იმ დროს მომავალ დიდ ხელოვანთა თავშესაფარი იყო. მარტო საქართველოდან რა ხალხი იყო: რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, გიზი ამირეჯიბი, გიგა ლორთქიფანიძე და ა. შ., ასე რომ, როცა ადამიანი იზრდება და ცხოვრობს სიღარიბეში, მერე კი ცვლილებები ხდება მის ცხოვრებაში, ეს შემოქმედებაზეც აისახება.

**თ. წ. — იგივე ეს ურთიერთობებიც ხომ აისახებოდა მის შემოქმედებაზე?**

ი. ც. — ცხადია, ადამიანი რომ გაიზრდოს, წინ წავიდეს, აუცილებელია შეხვედრები კოლეგებთან, ინფორმაციის მიღება, გაცემა, სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნებასთან შეხება. ეს ბოლო ხანი ჩვენთვის ინფორმაციის გაცვლა გაადვილდა ვირტუალური სივრცის მეშვეობით, მაგრამ შენელდა ცოცხალი ურთიერთობები. სულხანი კი უშუალოდ ხვდებოდა ბუმბერაზ ადამიანებს, იგივე შოსტაკოვიჩს, პროკოფიევს, მესიანსაც შეხვედრია. შჩედრინი მასზე უმცროსი იყო, შნიტკე, გუბაიდულინა მერე წამოვიდნენ. მერე ფსიქონალიზით ხომ დამტკიცებულია, რომ აკრძალვის შემთხვევაში ძლიერდება მიზიდულობის ველი, ენერგეტიკა. მაშინ ხომ აკრძალული იყო იმდროინდელ თანამედროვე მუსიკასთან ურთიერთობა. ინფორმაციას არალეგალურად, ძალიან რთულად მოიპოვებდნენ ხოლმე. მოტივაციაც უფრო ძლიერი იყო. ის კი არა და, მისმა პირველმა კვარტეტმა რომ გაიმარჯვა და სულხანი ჩამოვიდა თბილისში, კონფლიქტი მოუვიდა მთავრობასთან, ვინაიდან საყვედურს უცხადებდნენ,

უმტკიცებდნენ, რომ კვარტეტი არის ბურჟუაზიული ჟანრი. მერე მოსკოვიდან ჩამოვიდა ახსნა-განმარტება, რომ ეს არ არის სიმართლე. დასადასტურებლად ბოროდინის მაგალითი მოუყვანიათ.

**თ. წ. — როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ქვეყანას?**



გიგლა ფირცხალავა „მამოზრული მარში“, მარცხნიდან: ოთარ თაქთაქიშვილი, სულხან ცინცაძე, რეჟისორი ლალიძე.

**ნაში მიდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი, თქვენი აზრით, თუ აისახა ეს მის შემოქმედებაში.**

ი. ც. — საერთოდ, ძალიან მგრძობიარე ადამიანი იყო და ბუნებრივია, ყველანაირი მოვლენა მასზე მოქმედებდა. ამბობდა, რომ თავის დროზე ძალიან განიცადა 1968 წელს საბჭოთა ჯარმა რომ მოახდინა ჩეხეთის ოკუპაცია — ე. წ. „პრალის გაზაფხული“. იმასაც ხაზს უსვამდა, რომ შემოქმედებაშიც გამოვხატე ამ მოვლენაზე რეაქციაო. ცხადია, ამას მაშინ ხმამაღლა ვერ იტყოდა. ისევე როგორც, მაგალითად, მისი ორატორიის „ლენინის სიკვდილის“ შესახებ უთქვამს — როცა ვწერდი ლენინზე, ვფიქრობდი კენედიზე... ძალიან განიცადა 9 აპრილის მოვლენები, ბოლო დროს სულ აფიქრებდა ქვეყნის ბედი, ახალგაზრდობის ბედი, კონსერვატორიის, კომპოზიტორთა კავშირის მდგომარეობა. ბოლო დროს სულ უტრიალებდა კითხვა: — რა ელის მუსიკას საქართველოში?!

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“ წელს მეშვიდედ გაიმართა, თუმცა მისი ისტორია გაცილებით დიდი ხნის წინ დაიწყო. მსოფლიოში აღიარებული მევიოლინე ლიანა ისაკაძე ერთერთი პირველი გახლდათ, ვინც საქართველოში კლასიკური მუსიკის საფესტივალო ცხოვრებას სა-

ბაზსა თუ თეატრში იმართებოდა. წელს ეს პატივი ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელს ერგო.

წლების განმავლობაში ფესტივალისადმი დიდმა ინტერესმა განაპირობა თბილისში დასკვნითი კონცერტის დამატება. ეს ტრადიცია 2013 წლიდან დაი-

# „ღამის სერენადები“

## უკვე თბილისი-ბათუმის ფასივალია

თამარ მუხარია

თავე დაუდო. სწორედ მისი თაოსნობით 1982 წელს ბიჭვინთაში ჩატარდა „ღამის სერენადების“ პირველი ფესტივალი. ქალბატონი ლიანას სურვილი გახლდათ, რომ საქართველოს ამ მშვენიერ, ზღვისპირა ქალაქში მსოფლიოს წამყვან მუსიკოსებს მოეყარათ თავი. შემდგომში ეს სურვილი ტრადიციად იქცა და ზაფხულის ცხელ დღეებში ბიჭვინთა კლასიკური მუსიკის ცენტრს წარმოადგენდა.

ფესტივალი ზაფხულის ყოველ სეზონზე იმართებოდა, ვიდრე 1991 წლიდან ცნობილმა მოვლენებმა არ შეაჩერა მისი არსებობა. პაუზამ 18 წელიწადს გასტანა და 2009 წელს ლიანა ისაკაძემ აღადგინა „ღამის სერენადები“, გარკვეული პერიოდი ფესტივალი ქალაქ ბორჯომში იმართებოდა, ხოლო შემდგომში მისი მასპინძელი, ქალაქი ბათუმი გახდა.

ფესტივალი „ღამის სერენადები“ ბათუმში აგვისტოს თვეში ტარდება. კონცერტების გამართვის ადგილი არაერთხელ შეიცვალა, თავდაპირველად ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის შენობა იყო, მოგვიანებით კი მის დროებით „სახლად“ გონიო-აფსაროსის ისტორიული ციხე-სიმაგრის ტერიტორია იქცა. იქ მისულ მაყურებელს უძველესი შენობა ხვდებოდა და ამ საოცარ გარემოში კლასიკური მუსიკის საღამოები ტარდებოდა. დროთა განმავლობაში კონცერტები ბათუმის სხვადასხვა საკონცერტო დარ-

ნერგა და ფესტივალის დამაგვირგვინებელ კონცერტებს დიპლომატიური კორპუსი ესწრებოდა. აქედან გამომდინარე ფესტივალის მასშტაბი გაიზარდა და 2015 წლიდან, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ბატონი გიორგი ალიბეგაშვილისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ქალბატონ თამარ ტალიაშვილის დიდი მხარდაჭერით „ღამის სერენადებს“ ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალის სახელი მიენიჭა. მოგეხსენებათ, რომ სექტემბრის დასაწყისში ჩვენს დედაქალაქში მუსიკალური საღამოები თითქმის არ იმართება, ამგვარად, სეზონს „ღამის სერენადები“ ხსნის.

წლეგანდელი ფესტივალი ტრადიციისამებრ ბათუმში, აგვისტოს მეორე ნახევარში დაიწყო. 25 აგვისტოს ფესტივალი საზეიმოდ გახსნა სამხატვრო ხელმძღვანელმა – ლიანა ისაკაძემ და ესპანეთიდან მოწვეულმა დირიჟორმა ცეზარ ალვარესმა. შემდეგი საფესტივალო კონცერტები 26, 28 და 30 აგვისტოს გაიმართა. განსხვავებული იყო 26 აგვისტოს პროგრამა, რომელიც მხოლოდ ბათუმში შედგა. ამ საღამოს შესრულდა შოსონის კონცერტი ვიოლინოს, ფორტეპიანოსა და კვარტეტისათვის, გადამუშავებული სიმებიანი ორკესტრისათვის. ეს ახალი ვერსია ეკუთვნის ლავარდ სკოუ ლარსენს (ვიოლინო, ავსტრია), რომელმაც თავად წარმოუდგინა იგი პირველად ქართველ მსმენელს თა-



თა ლიჩელთან (ფორტეპიანო, საქართველო) და ან-სამბლ „ვირტუოზებთან“ ერთად. აგრეთვე პირველად აქედრდა ბახის „გოლდბერგის ვარიაციები“ გადამუშავებული სიმებიანი ტრიოსათვის დ. სიტკოვეცკის მიერ, შეასრულეს ანა-ლიზა ბებროდნიმ (ვიოლინო, ინგლისი), იური ჟისლინმა (ალტი, ინგლისი) და იან-ერიკ

გასწვრივ მცხოვრები ახალგაზრდებისათვის.

4 სექტემბერს კი ფესტივალის საზეიმოდ დაიხურა „რედისონ ბლუ ივერიაში“ და კონცერტზე შემოსული თანხა ქალბატონი ლიანასა და მუსიკოსების სურვილით ონკოლოგიური სენით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად „საქართველოს სოლიდარობის ფონდში“ გადაირიცხა. აღსანიშნავია, რომ „რედისონ ბლუ ივერიაში“ ხელმძღვანელობამ საქველმოქმედო კონცერტის გასამართად უსასყიდლოდ დაუთმო მუსიკოსებს დარბაზი.



ლიანა ისაკაძე

**ლიანა ისაკაძე:** „ყველაზე მთავარი, რაც ამ ფესტივალშია, არის ის, რომ მომეცა საშუალება 4 სექტემბრის კონცერტზე შემოსული თანხა გადავურიცხოთ „სოლიდარობის ფონდს“.

**მარიამ ჯაში (სოლიდარობის ფონდის ხელმძღვანელი):** „სოლიდარობის ფონდმა“ დაფუძნებიდან დღემდე მოახდინა 3 მილიონ 700 ათასი ლარის მობილიზება და 143 სიმსივნით დაავადებული ბავშვისა და ახალგაზრდის მხარდაჭერა. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ქალბატონი ლიანა და მსოფლიო კამერული ორკესტრი „ვირტუოზები“ სოლიდარობის ფონდის საქმიანობას უძღვნიან დასკვნით კონცერტს. აღნიშნული საღამო ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, კონცერტი საქველმოქმედოა და გარკვეული ფინანსური რესურსების მობილიზაცია მოხდება სიმსივნით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად იმ პროგრამებისთვის, რომელსაც სოლიდარობის ფონდი ახორციელებს, მაგრამ ჩვენთვის ბევრად უფრო ღირებული არის ქალბატონი ლიანას და მისი კოლეგების, მსოფლიოში აღიარებული შემოქმედების მონაწილეობა. ეს „სოლიდარობის ფონდის“ საქმიანობის პოპულარიზაციისთვის უმნიშვნელოვანესი თემაა“.

გუსტაფსონმა (ჩელო, ინგლისი/შვედეთი).

თბილისის პროგრამაც ასევე მრავალფეროვანი იყო. კონცერტები 2, 3 და 4 სექტემბერს გაიმართა. 2, 3 სექტემბრის საღამოებს თბილისის კონსერვატორიის დიდი დარბაზი მასპინძლობდა. თბილისში გამართული პირველი (2 სექტემბერი) კონცერტი, „ამბასადორი-ალ 2015-ის“ ფარგლებში ჩატარდა. ეს იყო ფესტივალ „ღამის სერენადებისა“ და საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდამჭერი ღონისძიება, საოკუპაციო ხაზის

მოგესხენებათ, რომ „ღამის სერენადები“ საკმაოდ მრავალფეროვანია ჟანრული თვალსაზრისით. თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ, როგორც კამერული მუსიკა, ასევე სიმფონიური ჟანრის ნაწარმოებები. წლევანდელი წელიც ამ მხრივ მრავალფეროვანი იყო და პროგრამის მიხედვით შეგვეძლო მოგვესმინა, როგორც მცირე ფორმის ნაწარმოებები, ასევე დიდი, სიმფონიური ქმნილებებიც. შესრულდა: მოცარტის უვერტიურები ექვსი ოპერიდან, მენდელსონის მი მინორული სავი-

ოლინო კონცერტი, ბახის „გოლდბერგის ვარიაციების“ დ. სიტკოვეცკის გადამუშავებული ვერსია, შუბერტის მე-9 სიმფონია, ბრამსის კონცერტი ვიოლინოს, ჩელო-



სა და ფორტეპიანოსათვის და სხვა არაერთი საინტერესო ნაწარმოები.

ტრადიციულად ფესტივალს სტუმრობდნენ ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი მუსიკოსები და ახალი სახეები. ქალბატონმა ლიანამ პირველად მოიწვია დირიჟორები: ცუზარ ალვარესი (ესპანეთი), მაქსიმე ტორტელიე (საფრანგეთი), მუჰაი ტანგი (ჩინეთი); ჩელისტები: დენის შაპოვალოვი (რუსეთი) და იან-ერიკ გუსტაფსონი (ინგლისი/შვედეთი); აგრეთვე ფესტივალის პირველი სტუმარი იყო მევიოლინე ლავარდ სკოუ ლარსენი (ავსტრია).

აღასანიშნავია ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო ანსამბლი-ორკესტრის „ფეისბუქის ვირტუოზების“ შექმნის იდეა ეკუთვნის ლიანა ისაკაძეს. 2011 წელს ქალბატონმა ლიანამ ინტერნეტის პოპულარული სოციალური ქსელის – ფეისბუქის საშუალებით გააერთიანა მასთან დამეგობრებული მსოფლიოში ცნობილი ახალგაზრდა ვირტუოზი მუსიკოსები სხვადასხვა ქვეყნიდან. ანსამბლ-ორკესტრის მსოფლიო პრემიერა შედგა ბათუმის III საერთაშორისო ფესტივალზე „ღამის სერენადები“ და იმთავითვე ამ ფესტივალის საბაზო კოლექტივად იქცა.

დროთა განმავლობაში ორკესტრმა სახელწოდება შეიცვალა და ის ახლა იწოდება – მსოფლიო კამერული ანსამბლი „ვირტუოზები“. მისი არსებობის მცირე დროის მიუხედავად, ორკესტრმა უკვე დიდი პოპულარობა მოიპოვა. სპეციალურად ამ ფესტივალისთვის მსოფლიოში წამყვანი შემსრულებლები საქართველოში იკრიბებიან და რამდენიმე დღით ერთ მთლიან ანსამბლს ქმნიან.

საგულისხმოა ისიც, რომ სწორედ ამ ორკესტრმა ნიუნის ნიუ-იორკში, კარნეგი ჰოლში საქველმოქმედო კონცერტი გამართა. ღონისძიების მხარდაჭერი საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახლდათ. შემოსული თანხა ნიუ-იორკის წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ ეკლესიას გადაერიცხა. ასე რომ, „ვირტუოზებისთვის“ საქველმოქმედო საღამოები ახალი არის.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის ერთერთი მთავარი მიზანიც ეს გახლავთ, რომ გააერთიანოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი და წარმატებული მუსიკოსები, შეკრიბოს ისინი საქართველოში და ქართველ მსმენელს მათი შემოქმედება გაცნოს.

**ლიანა ისაკაძე** – „საერთოდ, ჩემი ოცნებაა, რომ აღვადგინო ბიჭვინთის ფესტივალი. ჩვენი ძველი მეგობრები აფხაზეთიდან დღემდე მწერენ ფეისბუქის საშუალებით, რომ მათ ახსოვთ „ღამის სერენადები“, რომელსაც ბიჭვინთაში ვატარებდი და ვვთხოვენ, რომ ისევ იქ დავბრუნდეთ და ვავმართოთ კონცერტები. სამწუხაროდ, ჯერ საშიშია იქ ჩასვლა და ფესტივალის ჩატარება. თუმცა მე „იუნესკოს“ წევრი ვახლავართ და ამ ორგანიზაციის მხარდაჭერის იმედი მაქვს“.

ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიის, თბილისის საკრებულოსა და ბათუმის მერიის კულტურის სამსახურის მხარდაჭერით გაიმართა.

ვიმედოვნებთ, რომ ქალბატონი ლიანა ისაკაძის ოცნება ასრულდება და ფესტივალი დაუბრუნდება ბიჭვინთას. ფესტივალის ორგანიზატორები კი ვვპირდებიან, რომ მომავალ წელს „ღამის სერენადები“ გაცილებით დიდ მასშტაბს შეიძენს, რადგანაც 2016 წელი ქალბატონი ლიანა ისაკაძის საიუბილეო წელია.

# მემკვიდრეობითი კავშირი

## (მუსიკისმცოდნე ნანა კილაძის საოჯახო არქივიდან)

ქეთევან ზაქარაძე

დღეს, როდესაც ასე ვამაყობთ ჩვენი შესანიშნავი პიანისტების მთელი პლეადით, მადლიერება გვინდა გამოვხატოთ იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც საფუძველი შეუქმნეს ამ წარმატებას.

ანა თულაშვილი ქართული საფორტეპიანო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. ქალბატონი ანას პედაგოგიური მოღვაწეობა 62 წელს ითვლის. პირველი ქალი პროფესორი, პიანისტი, საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი, იგი ჩვენი პიანისტური კულტურის ცოცხალი მათიანე იყო.

2015 წლის 19 ოქტომბერს თბილისის კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმში გაიმართა საღამო, რომელიც ორ პიროვნებას: ქალბატონ ანა თულაშვილს და ქალბატონ ნანა კილაძეს მიეძღვნა. ნანა კილაძე ქალბატონი ანას მონაფე და თულაშვილების ოჯახის მემკვიდრე გახლდათ.

ამ საღამოს იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი მუზეუმის დირექტორი მარინა ჩიხლაძე იყო. ამით მან უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი აღნიშნა: ანა თულაშვილის პირადი არქივი, რომელიც ათწლეულების მანძილზე ნანა კილაძის ოჯახში ინახებოდა, კონსერვატორიის მუზეუმს გადაეცა. კონცერტში მონაწილეობის მისაღებად ქალბატონმა მარინამ მოიწვია თულაშვილის მოსწავლე, პროფესორი ეთერ გულისაშვილი და ახალგაზრდა პიანისტები: ცოტნე ცოცხალაშვილი, ირმა გიგანი, სოსო ჯულაშვილი და გვანცა ქობალია. ყველა ამ შემსრულებელს ერთი რამ აერთიანებს. მათი პედაგოგები – ნუკა ჭირაქაძე, რეზო თავაძე მანანა დოიჯაშვილი და ვეკა სვანიძე – ანა თულაშვილის მოსწავლე-



ანა თულაშვილი.

ების მოსწავლეები იყვნენ. ამიტომ ისინი ანა თულაშვილის „შვილთაშვილები“, მისი პიანისტური ტრადიციების გამგრძელებლები არიან.

ანა თულაშვილი ალოიზ მიზანდარის მონაფე იყო, პირველი ქართველი მუსიკოსისა, რომელმაც საკუთარი პიანისტური სკოლა შექმნა. მიზანდარი ლისტის და რუბინშტეინის პიანისტური ტრადიციების გამგრძელებელი გახლდათ და თავისი დროის განთქმული პიანისტი. სწორედ მიზანდარი იყო ერთ-ერთი დამაარსებელი პირველი სამუსიკო სასწავლებლისა, რომლის ბაზაზე 1917 წელს თბილისის კონსერვატორია აღმოცენდა.

თულაშვილი, მიზანდარის ერთ-ერთი საუკეთესო

## საოჯახო არქივიდან

მოსწავლეთაგანი, სასწავლებელში 1903 წლიდან მუშაობდა და როდესაც სასწავლებელი კონსერვატორიად გადაკეთდა, ქალბატონი ანა უკვე გამოცდილი პედაგოგი იყო.

დამთავრების შემდეგ კიდევ ოთხი წელი მეცადინეობდა მიზანდართან, დაულალავად მუშაობდა თავის თავზე, სარგებლობდა გამოჩენილი პიანისტების ყოველი ჩამოსვლით თბილისში, გაკვეთილებს იღებდა მათგან.

მის არქივში ინახება ჩანაწერები, სადაც სკრუპულო-



ალეიხ მიხანდარის კლასი. ცხენსი ალეიხ მიხანდარი, მარჯვნივ ანა თულაშვილი.



ელენე კონსიოტი — ანა თულაშვილის მოწაფე და ნანა კილაძის დედა.

18

როგორც მისი მოსწავლეები იხსენებენ, — ანა თულაშვილი პრინციპული, სამართლიანი და უაღრესად მომთხოვნი იყო არა მარტო მოწაფეების, არამედ საკუთარი თავის მიმართაც. მას არ ჰქონდა შესაძლებლობა საზღვარგარეთ ესწავლა, მაგრამ სასწავლებლის

ზურად არის აღბეჭდილი მათი რჩევა-დარიგებები. ახალს ქალბატონი ანა ჯერ თავის თავზე ცდიდა და მხოლოდ შემდეგ ნერგავდა პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ქალბატონი ანას მთავარი მიზანი მისი მოსწავლეების ყოველმხრივ მუსიკალურ განვითარებაში მდგომარეობდა. ის ტექნიკის თვითმიზნად გადაქცევის წინააღმდეგი იყო და ცდილობდა მინიმუმამდე დაეყვანა მშრალი მუსიკალური სავარჯიშოები. ნაწარმოების მხატვრულ შინაარსზე საუბრისას მოსწავლეებს ავტორებზე, მათ შემოქმედებით ინტერესებზე, მათ ეპოქაზე და სხვადასხვა მუსიკალურ სტილზე უყვებოდა.

ანა თულაშვილი მოსწავლეებს თვალსაწიერის გაფართოებას, ხელოვნების სხვადასხვა დარგების, ლი-

ტერატურის და პოეზიის მიმართ ინტერესის გაღვივებას ცდილობდა. მისი მოსწავლეები უაღრესად მრავალმხრივი, საინტერესო მუსიკოსები არიან. თავად ქ-ნი ანა მრავალმხრივი ადამიანი იყო. კონსერვატორიის მუზეუმში ინახება მის მიერ მოხატული თევზები, ნანა კილაძის ოჯახში კი არის მისი რამდენიმე ფერწერული ნამუშევარი.

ქ-ნი ანაც კლასში ორი როიალი იდგა. ერთ-ერთი მათგანი სერგეი რახმანინოვის როიალი იყო, რომელიც კონსერვატორიამ 1925 წელს შეიძინა. ამ ინსტრუმენტზე დაკვრა მხოლოდ საუკეთესო მოსწავლეებს შეეძლოთ. იგი ხშირად აწყობდა შიდა საკლასო კონკურსებს თავის მოწაფეებს შორის და გამარჯვებულებს რახმანინოვის „ბეხშტიინზე“ დაკვრის უფლებით აჯილდოებდა.

ა. თულაშვილი მოწაფეებს არასდროს ახვევდა თავს საკუთარ ინტერპრეტაციას, პირიქით, ყოველთვის ცდილობდა მათში ინდივიდუალური მუსიკალური ინტუიციის განვითარებას. ამიტომაც თულაშვილის კლასში აღიზარდნენ სრულიად განსხვავებული საშემსრულებლო სტილის პიანისტები: რუდოლფ კერერი, მარგარიტა ჩხეიძე, თენგიზ ამირეჯიბი, გულნარა ქავთარაძე, ვანდა შიუკაშვილი და მრავალი სხვა.

გარეგნულად მკაცრი და თავშეკავებული ანა თულაშვილი უაღრესად თბილი და გულისხმიერი ადამიანი იყო. ბევრ მოსწავლეს ის მატერიალურად ეხმარებოდა, მუშაობდა უსინათლო ბავშვებთან, მიიკვდლა და აღზარდა დაობლებული მოწაფეები. ბატონი გულბათ ტორაძე იგონებს, რომ 1941 წელს, როდესაც გერმანელები ყაზახეთში გაასახლეს, კონსერვატორიის პროფესორმა, ლენინის და წითელი დროშის ორდენოსანმა ანა თულაშვილმა ტელეგრამა გაგზვნა მოსკოვში ბერიას სახელზე თხოვნით, რომ გამორჩეული და ნიჭიერი მუსიკოსი რუდოლფ კერერი თბილისში დაეტოვებინათ.

მოსკოვიდან მოვიდა ოფიციალური პასუხი, რომ ყველა გერმანელი უნდა გაესახლებინათ. ახლაც გავგებარია, როგორ ვადაურჩა რეპრესიების პერიოდში ქალბატონი ანა ბერიას რისხვას.

ნანა კილაძე თულაშვილების ოჯახის ნათესავი, მათი მემკვიდრე და ქ-ნი ანას ერთ-ერთი მოწაფე იყო. ა.

თულაშვილის ძმა – კონსტანტინე, ნანა კილაძის დედის, ელენე (ლიალია) კონსიოტის გამზრდელი ვახლდათ. ელენე კონსიოტი, თავისი დროის ულამაზესი ქალბატონი, ანა თულაშვილის აღზრდილი იყო. ნანას მამა, სანდრო კილაძე, ცნობილი კომპოზიტორის და



ნანა კილაძე

კონსერვატორიის რექტორის, გრიგოლ კილაძის ძმა ვახლდათ. ასე რომ, ნანა მდიდარი მუსიკალური ტრადიციებისა და დახვეწილი გემოვნების მქონე ოჯახში იზრდებოდა.

მფრინავი და ალპინისტი, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი – სანდრო კილაძე 1937 წელს დახვრიტეს.

ელენე კონსიოტი ომის შემდეგ გარდაიცვალა. 15 წლის დაობლებული ნანა ორმა ოჯახმა – გრიგოლ კილაძისა და ანა თულაშვილის ოჯახმა შეიფარა. რუსუდან წურწუმია იხსენებს: „ნანა კილაძე, რომელიც ასე დასაჯა ცხოვრებამ, მშობლები წაართვა, მეორე მხრივ დააჯილდოვა იმით, რომ ის ანა თულაშვილის და კი-

ლაძეების ოჯახში მოხვდა. ანა თულაშვილის და ნანა კილაძის ურთიერთობის ისტორია საინტერესო რომანის საფუძველი შეიძლება გახდეს“.

ნანა კილაძეს უმაღლესი მუსიკალური განათლება



ანა თულაშვილი მონაფთავებთან ერთად. მთავარი რიგში მარცხნიდან მესამე ა. თულაშვილი.

ორი განხრით ჰქონდა მიღებული. როგორც პიანისტმა, ქალბატონ ანას გარდაცვალების შემდეგ, სწავლა გიზი ამირეჯიბთან განაგრძო, მუსიკისმკოდნეობის განხრით – მუსიკის ისტორიის კათედრის დამაარსებელთან, ლადო დონაძესთან სწავლობდა. 1968 წლიდან კი კონსერვატორიაში მოღვაწეობდა როგორც პედაგოგი. ნანა კილაძის მიდგომა სწავლებისადმი გამოიხატებოდა ფრაზაში, რომელსაც ის ხშირად იმეორებდა: „სტუდენტებს უნდა ასწავლო არა მხოლოდ საგანი, არამედ უნდა ასწავლო აზროვნება“. ნანას ძალიან ბევრი ინტერესი ჰქონდა, მათ შორის, მსოფლიო და ქართული მუსიკა. მისი კვლევის მაგისტრალური ხაზი საბალეტო ჟანრთან არის დაკავშირებული. მისი დისერტაცია და ნაშრომები ანდრია ბალანჩივადის, დავით თორაძის, გრიგოლ კილაძის, სულხან ცინცაძის ბალეტების შესახებ დღესაც უაღრესად აქტუალურია.

როგორც საღამოზე არაერთმა გამომსვლელმა აღ-

ნიშნა: ნანა კილაძეს მშვენიერი გარეგნობა, დახვეწილი იუმორი და უაღრესად მომხიბვლელი ღიმილი ჰქონდა. ნიჭიერი და განათლებული პიროვნება, ის ძალიან გულისხმიერი ადამიანი იყო და არასოდეს იმურებდა პროფესიულ რჩევებს უმცროსი კოლეგებისთვის.

ათწლეულების მანძილზე ნანა კილაძე „განძთა მკველის“ მოვალეობას ასრულებდა და ანა თულაშვილის უნიკალურ არქივს ინახავდა. აქ თავმოყრილი აფიშები, პროგრამები, წერილები, დღიურები, კონსპექტები, ანგარიშები, ფოტოები ათწლეულების მანძილზე გროვდებოდა და სრულ წარმოდგენას გვიქმნის 1910–40–იანი წლების საქართველოს მუსიკალური ცხოვრების შესახებ.

მუსიკის ისტორიის კათედრის გამგე მარინე ქავთარაძე აღნიშნავს: „არქივის მასშტაბის და მნიშვნელობის გაცნობიერებას ბოლომდე ვერ შევძლებდი, რომ არ მქონოდა საშუალება ჩამეხედა მის მასალებში... აქ ინახება რახმანინოვის კონცერტების აფიშები, ეგონ პეტრის ვაკვეთილების კონსპექტები, რომელიც ქალბატონ ანას რუდუნებით ჰქონდა ჩანერილი, რუსული მუსიკალური საზოგადოების ქართული განყოფილების ანგარიშები. აქ არის ქალბატონი ანას გამოგონების, საბავშვო პედალის აღწერილობა და მისი სქემა, კონსერვატორიის არქიტექტურული გეგმა, რომელიც მშვენივრად არის შემონახული. აქვე ვნახავთ თულაშვილის კლასის სრული შემადგენლობის იშვიათ ფოტოს და კონსერვატორიის მცირე დარბაზის კურთხევის ამსახველ 1905 წლის ფოტოდოკუმენტურ მასალას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ქართული მუსიკალური კულტურისათვის... ამ მასალებში არაჩვეულებრივად ჩანს დიდი პიროვნება, უაღრესად განათლებული ადამიანი, რომელსაც შინაგანი ორგანიზებული საოცარი მუხტი ჰქონდა“.

კონსერვატორიის სახელით მარინე ქავთარაძემ მადლობა გადაუხადა ნანა კილაძის ოჯახის თითოეულ წევრს უნიკალური საჩუქრისთვის.

ვინაიდან ჩვენთან ჯერ არ შექმნილა ქართული საფორტეპიანო მუსიკის სრულყოფილი ისტორია, ანა თულაშვილის არქივი დიდძალ მასალას და დიდ ასპარეზს აძლევს ამ საკითხებზე მომუშავე მკვლევარებს.

ამა წლის 28 სექტემბერს პიანისტმა რაინერ კლაასმა გერმანიის ქალაქ დორტმუნდში გამართა ქართული საფორტეპიანო მუსიკის საღამო. რაინერ მარია კლაასი აღიარებულია როგორც ერთერთი მრავალმხრივი თანამედროვე პიანისტი. იგი 1977 წლიდან ინტენსიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა; ამასთანავე ატარებს „მასტერ კურსებს“ სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში (ჰოლანდიაში, გერმანიაში და სხვ.). მისი რეპერტუარი მოიცავს ექვსასზე მეტი კომპოზიტორის ნაწარმოებებს, ბევრი მათგანი ხშირად ჟღერს გერმანულ რადიოარხებზე (WDR, SWR, BR, და სხვ.), გამოცემულია არაერთი CD (Marco Polo, Naxos, Thorophon, Hänssler). 1975 წლიდან რაინერ კლაას ხელმძღვანელობს ქ. რეკლინშაუზენის „Integral musiken“ festivals და Ffestivals „MM99 - Kammermusik des 20. Jahrhunderts in 50 Konzerten“. 2010 წელს კლაასმა მონაწილეობა მიიღო მის მიერ შედგენილ პროექტში „მოგზაურობა დროში“, ეს არის 25-ნაწილიანი კონცერტების ციკლი „მოცარტიდან ჰენცემდე“. გერმანიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, მუსიკისმცოდნე მოსე ჰოროდა დორტმუნდში შემდგარი კონცერტის შემდეგ შეხვდა და გაესაუბრა პიანისტს.

# ქართული მუსიკის ერთგული მეგობარი

(ინტერვიუ რაინერ მარიას კლაასთან)

მოსე ჰოროდა – ბატონო კლაას, 28 სექტემბრის კონცერტი დორტმუნდში შეგვიძლია მივიჩნიოთ ქართული საფორტეპიანო მუსიკის გერმანიაში წარდგინების განსაკუთრებულ მოვლენად – შეიძლება ითქვას, რომ ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო ნაწარმოებები აქ პირველად აჟღერდა ასეთ ფართო სტილისტურ ტრიუმფში.

რაინერ კლაასი – მავრამ ეს არ იყო ჩემი პირველი შეხება ქართულ მუსიკასთან.

**მ. ბ – როგორ დაიწყო ეს ურთიერთობა?**

**რ. კ. –** ჩემ პროფესიულ ცხოვრებაში ახალი მუსიკა განსხვავებული გზებით შემოდიოდა – ძირითადად მეგობრებისა და კოლეგებისგან. რაც შეეხება ქართულ მუსიკას, თქვენ იყავით ის, ვინც ოცი წლის წინ ამ სამყაროში შემიყვანა. მაშინ გერმანიის მუსიკოსთა გაერთიანების რეგიონალურმა განყოფილებამ, რომლის თავმჯდომარე თქვენ ბრძანდებით, გერმანი-

აში დაპატიჟა კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი. ქალაქ ჰერნეში უნდა ჩატარებულიყო მისი ორი შემოქმედებითი საღამო. თქვენ მაშინ მომმართველ მე, – ვიქნებოდი თუ არა თანახმა, მონაწილეობა მიმელო ამ საღამოებში. როგორც კი ნოტები ხელში ავიღე, შთაბეჭდილების ქვეშ მოვექეცი. ამ პირველმა შეხვედრამ აღმიძრა ქართული მუსიკისადმი ცნობისწადილი და შემდგომ არცერთ თქვენ შემოთავაზებაზე მონაწილეობა მიმელო ქართული მუსიკის კონცერტებში, უარი არ მითქვამს. ჩემი აზრით, ეს ბოლო კონცერტი დორტმუნდში განსაკუთრებით საინტერესო იყო, როგორც წარმოდგენილი ავტორების სიმრავლით, მათი ნაწარმოებების სტილისტური მრავალფეროვნებით, ასევე მუსიკალური ენის თანამედროვეობის თვალსაზრისით. მიმაჩნია, რომ ამ კონცერტზე წარმოდგენილი ყოველი ავტორი ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავებული შემოქმედებითი ინდივიდუალობაა. ოთარ თაქთაქიშვილის, სულხან ცინცაძის, ვია ყანჩელის და განსაკუთრებით, ვაჟა აზარაშვილის საფორტეპიანო მუსიკას უკვე ვიცნობდი. კახა ცაბაძის, ვიორგი შავერმაშვი-



რამინარ კლავასი

ლის, ელიზბარ ლომდარიძის და შავლეგ შილაკაძის ნაწარმოებებს პირველად გავეცანი დორტმუნდის კონცერტისთვის და ეს ჩემთვის დიდად სასიამოვნო აღმოჩენა იყო.

მ. ბ. — ქართველი კომპოზიტორების მუსიკა საბჭოთა კავშირში დიდად აღიარებული იყო. მე კარგად მახსოვს, რა აღფრთოვანებით ხვდებოდა მოსკოველი მსმენელი ქართველი კომპოზიტორების სიმფონიურ თუ კამერულ ნაწარმოებებს. დასავლეთში კი ამ დროს ქართული მუსიკა, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ძალზე იშვიათად ჟღერდა, შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად უცნობი რჩებოდა — რაც უდავოდ, უსამართლობა იყო. თქვენი აზრით, რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

რ. კ. — დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთში მთელი საბჭოთა მუსიკა — ქართული, უკრაინული, ლატვიური თუ სხვ. როგორც „რუსული“, ან საუკეთესო შემთხვევაში, „საბჭოთად“ აღიქმებოდა. ამასთან დომინირებდა პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის, ხაჩატურიანის და, შეიძლება დავუმატოთ, დენისოვის და

შჩედრინის სახელები. მეორე მხრივ, თვით დასავლეთის — განსაკუთრებით, გერმანული და ფრანგული მუსიკის რეპერტუარი იმდენად ვრცელია, რომ სხვა ქვეყნების საკომპოზიტორო მუსიკა, ცხადია, სათანადო რეკლამის გარეშე ძალზე ძნელად გაიკავალავდა გზას (ვინა ყანხელი გამონაკლისის წარმოადგენს). ქართული მუსიკის წარდგენა გერმანული მსმენელის წინაშე ჩემთვის საინტერესო ამოცანაა. ძალიან მიხარია, რომ ამ მუსიკის პოპულარიზაციის პროცესში გარკვეული წვლილი მეც მიმიძღვის.

მ. ბ. — ბატონო კლავას, თქვენი რეპერტუარი მოიცავს ექვსასზე მეტი ავტორის ნაწარმოებს — ძნელი წარმოსადგენია. ეს განპირობებულია თქვენი ცნობისმოყვარეობით, ტექნიკური არსენალით, ნაწარმოების ძალიან სწრაფი შესწავლის შესაძლებლობას რომ გაძლევათ, თუ...

რ. კ. — შეიძლება ასეც ითქვას. რა თქმა უნდა, ცნობისმოყვარეობა, ან უფრო ზუსტად კი ახლის მიმართ ინტერესი აქ დიდ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ როლს თამაშობს. ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში დავინწყე სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორების ნოტებისა და ბიოგრაფიების შეგროვება. ამასთანავე, თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ მე ახალ ნაწარმოებებს საკმაოდ სწრაფად ვსწავლობ.

მ. ბ. — თქვენ კონცერტებით იმოგზაურეთ აშშ-ში, ისრაელში, კორეაში, ჩინეთში და სხვა ქვეყნებში. იცვლება თუ არა თქვენი პროგრამა „გეოგრაფიული“ ნიშნით?

რ. კ. — რა თქმა უნდა, ამაზე წინასწარ ვფიქრობ, რომელი პროგრამა უკეთესად იქნება აღქმული ამა თუ იმ ქვეყანაში, მითუმეტეს თუ არ ვაპირებ ბახის, ბეთჰოვენის და შოპენის შესრულებას — ე.ი. იმ კომპოზიტორებისა, რომელთა ნაწარმოებები მთელ მსოფლიოში უთუოდ მსგავს რეაქციას იწვევს. აქ ჩემი აზრით, საჭიროა სწორი დობირება — ნაწილი მასპინძელი ქვეყნის კომპოზიტორები, ნაწილი კარგად ცნობილისა და უცნობის ნაზავი — თუნდაც სკარლატიდან მესიანამდე.

მ. ბ. — დავუბრუნდეთ 28 სექტემბრის კონცერტს. კონცერტის შემდეგ ბეგრმა მსმენელმა თავისი აღფ-





მოსა ზორცა

რთოვანება გამოსატა. ზოგიერთ მათგანს, ამ დრომდე ქართულ მუსიკაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, და უეცრად გაეღვიძა ინტერესი, სურვილი უკეთ გაიცნოს ქართული მუსიკა. ყველამ აღნიშნა, რომ თქვენ ყოველი ავტორისადმი ინდივიდუალური მიდგომა გაქვთ, რაც ეხმარება ნაწარმოების თვითმყოფადობის აღქმას.

**რ. კ.** — ეს უთუოდ განაპირობა თვით კონკრეტულმა პროგრამამ, თითოეული შესრულებული ავტორის მკაფიოდ გამოხატულმა ინდივიდუალობამ. როგორც ზემოდ აღვნიშნე, ვაჟა აბარაშვილის პიესები ჩემთვის კარგად ცნობილია; მე მათ ყოველთვის სიამოვნებით ვასრულებ. იგივეს ვიტყვდი ვია ყანჩელის, ოთარ თაქთაქიშვილის, სულხან ცინცაძის საფორტეპიანო ნაწარმოებებზე. კახა ცაბაძე ორგანულად, მე ვიტყვდი, ფაქობად ქმნის დასავლეთის მსმენელისთვის მეტად ახლობელი ზღაპრული პერსონაჟების სახეებს. საინტერესოა ვიორჯი შავერმაშვილის ცდა მოახდინოს ხალხური ელემენტების, კერძოდ, ხალხური რიტმიკის შერწყმა ჯაზის ელემენტებთან. სრულიად განსხვავებულ ამოცანას ვხვდებით შავლეგ შილაკაძის

სონატაში — მთელ ნაწარმოებში ატონალური ტექნიკა გამოყენებული. ელიზბარ ლომდარიძის ორი პიესა ძალზე ეფექტურ კონტრასტს ქმნის ინტენსიური ტოკატური რიტმისა და ხალხური ინსტრუმენტის — გურუნის — გამჭოლი ჟღერადობის ორიგინალური იმიტაციით. დღეისთვის მე უკვე საკმაოდ ბევრი ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებებს ვიცნობ, და ზოგიერთი მათგანი შესრულებულიც მაქვს. ამ მუსიკას განვიხილავ როგორც ჩემი მუშაობის მნიშვნელოვან სფეროს.

**მ. ბ.** — დავუშვათ, თქვენ კონცერტს მართავთ საქართველოში, როგორი იქნებოდა თქვენი პროგრამა?

**რ. კ.** — მე სიამოვნებით შევასრულებდი თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების მცირე ფორმის ნაწარმოებებს და ამასთანავე, თანამედროვე გერმანელი კომპოზიტორების ქმნილებებს, განსაკუთრებით იმათ, რომლებსაც სტილისტური შეხება აქვთ თავიანთ ქართველ კოლეგებთან — ვგულისმობ „ტოკატურობა“-ს, მკვეთრად გამოხატულ საცეკვაო რიტმიკას, დღევანდელი დღისთვის საკმაოდ იშვიათ მელოდიურობას.

# დიდი ადამიანის – დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძის ნათელ ხსოვნას

აია სავლიაშვილი



ნიერი და პედაგოგი, მოსკოვისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიების პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე. ჟურნალ „მუსიკის“ წინა ნომერში ბატონმა დევილმა წერილი მიუძღვნა მისი ძვირფასი პედაგოგის, ქრისტეფორე არაქელაშვილის 100 წლის იუბილეს. რას წარმოვიდგენდით, რომ ჟურნალის გამოქვეყნებიდან სულ რამდენიმე დღეში თვითონაც დაგვტოვებდა...

პროფესორ დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძის სახით ქართულ მუსიკოლოგიას გამოაკლდა დიდი მეცნიერი, მოაზროვნე-მკვლევარი, შესანიშნავი მუსიკოსი, იშვიათი და გამორჩეული პიროვნება. თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით მან უდიდესი წვლილი შეიტანა ქართულ მუსიკალურ სამყაროში.

„პიროვნება შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაითავისებს, რომ შრომამ აქცია ადამიანი ადამიანად, თუ ის კეთილსინდისიერად ემსახურება არჩეულ საქმეს და საზოგადოებას, არ კმაყოფილდება მიღწეულით, მუდმივად ცდილობს დახვეწოს თავისი ცოდნა და უნარი, იქცეს მაღალი დონის სპეციალისტად, პროფესიონალად“ – აღნიშნული აზრი პროფესორ დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძეს ეკუთვნის და ნათლად გამოხატავს მისი ცხოვრების ტექსტში მრწამსს.

ბატონი დევილი გასაოცარი პიროვნება იყო. ის გამოირჩეოდა ისეთი თვისებებით, როგორიცაა უშუალობა და თავმდაბლობა, კეთილშობილება, უანგარობა და ერთგულება, ენთუზიაზმი, ენერგიულობა, კოლეგიალობა და დახვეწილი ინტელიგენტურობა.

დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე თბილისში 1936 წლის 25 მარტს დაიბადა. პირველად მუსიკალურ განათლებას VI მუსიკალურ სკოლაში ეზიარა (ფ-ნო);

ამ სამყაროში ჩვენი ცხოვრების გზაზე ზოგჯერ გვეძლევა წყალობა და განგება გვასაჩუქრებს განუმეორებელი ადამიანებით. მაგრამ როდესაც ასეთი „დიდი ადამიანები“ ზეციურ სასუფეველში გადადიან, ერთდროულად გვითხოვენ მათთან ურთიერთობის ბედნიერების, მადლიერებისა და უზომო გულსტკივილის განცდას.

სწორედ ასეთი „დიდი ადამიანი“ იყო მუსიკოსი, მეც-

შემდგომ სწავლა განაგრძო IV მუსიკალურ სასწავლებელში საფორტეპიანო (პედ. ა. ხანზინა-რატნერ, ქ. ჯიქია) და მუსიკის თეორიის (პედაგ. ქ. არაქლოვი) განყოფილებებზე. უმაღლესი სამუსიკო განათლება კი მოსკოვის კონსერვატორიაში მიიღო (პედ. ცნობილი მუსიკოსი და მეცნიერი, პროფესორი ს. სკრებკოვი). აღსანიშნავია, რომ ბატონი დევილი მთელი ცხოვრების მანძილზე თავისი პედაგოგების მიმართ უზომოდ დიდ მადლიერებას გამოხატავდა. თეორიულ-საკომპოზიციო ფაკულტეტზე სწავლის დასრულებისთანავე (1961) დაიწყო მისი მოსკოვის კონსერვატორიაში პედაგოგიურ-სამეცნიერო მუშაობა. მოსკოვში მოღვაწეობის დროს დაიცვა საკანდიდატო (1969) და სადოქტორო (1984) დისერტაციები. სათანადოდ, მიენიჭა დოცენტის, შემდგომ პროფესორის ნოდებები.

პროფესორ დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძის სამეცნიერო, პედაგოგიურ-შემოქმედებითი მოღვაწეობა ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს. პირველი დაკავშირებული იყო მოსკოვის (1961-1991), მეორე კი თბილისის (1991-2015) სახელმწიფო კონსერვატორიასთან, სადაც საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით იქნა გადმოყვანილი. იგი ასწავლიდა უმაღლესი სამუსიკო განათლების ყველა საფეხურზე (ხუთწლიანი ციკლი და ასპირანტურა, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა).

ბატონ დევილს მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკის თეორიის კათედრაზე 30-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე მიყავდა ძირითადი მუსიკალურ-თეორიული დისციპლინები – მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზის, პოლიფონიის, ჰარმონიის კურსები სხვადასხვა სპეციალობების და სხვადასხვა ქვეყნების სტუდენტებთან. სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გარდა, ეწეოდა მუსიკალურ-საზოგადოებრივ მუშაობასაც. ინტენსიურად მონაწილეობდა ლექცია-კონცერტებისა და სემინარების ჩატარებაში საზოგადოება „ცოდნის“ ეგიდით.

მოსკოვიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ ცხოვრების ბოლო დღემდე დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე, როგორც კომპოზიციისა და მუსიკის თეორიის მიმართულებების (კათედრების) პროფესორი, აქტიურად მოღვაწეობდა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო კონსერვატორიაში, გარკვეული პერიოდი ასწავლიდა მ. ფანიაშვილის სახ. მუსიკალურ-პედაგოგიურ ინსტიტუტშიც (1991-2006). თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მას მიყავდა სპეციალობის, პოლიფონიის და მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის სპეც. კურსები; აგრეთვე – ქართული მუსიკის პოლიფონია, პოლიფონიის სწავლების მეთოდოლოგია და კვლევის საფუძვლები.

პროფესორ დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძემ, ფაქ-



მარცხნიდან ზის არამ ხაჩატურიანი; ფასს – ვიორა დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე.

ტობრივად, თავისი სკოლა შექმნა. მოსკოვისა და თბილისის კონსერვატორიებში, მუსიკალურ-პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბატონი დევილის ხელმძღვანელობით დაწერილი და დაცული იყო 40-მდე საკვალიფიკაციო ნაშრომი; მათ შორის 12 ხუთწლიანი, 11 საბაკალავრო, 4 სამაგისტრო, 10 საკანდიდატო და სადოქტორო ნაშრომი. აქედან 25 საკვალიფიკაციო ნაშრომი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებულთა მიერაა შესრულებული.

ბატონი დევილი, როგორც პედაგოგი და ხელმძღვანელი, გამოირჩეოდა ერთგულებით, მზრუნველობით, შთაგონების გასაოცარი უნარით, ცოდნის გაცემის გუ-

ლუხვობით. იყო თავდაუზოგავი, მეგობრული და კეთილგანწყობილი, ახალგაზრდა თაობის დიდი გულშემატკივარი, ფლობდა მუსიკის ჭეშმარიტ არსში წვდომის უნარს. მის უშუალო მონაფეთა შორის უნდა დავასახელოთ: მ. ნადარეიშვილი, ს. კასიანი, ე. წეროძე, მ. ტაბ-



ლიაშვილი, ს. ხმიადაშვილი, ნ. ჟვანია, მ. სიხარულიძე, ნ. ტოროშელიძე, თ. ჟვანია. ვარდა ამისა, მას არაერთი სხვადასხვა პროფილის მუსიკოსისთვის გაუწევია დახმარება პროფესიული განვითარების ეტაპებზე.

პროფესორი დევილ არუთინოვი-ჯინჭარაძე, როგორც მეცნიერი, უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი, აკადემიურობით გამორჩეული მუსიკისმცოდნე-თეორეტიკოსი და ფართო სპექტრის განათლების მქონე პიროვნება იყო; მას ახასიათებდა კვლევის ფუნდამენტურობა და მეცნიერული სიღრმე, აზროვნების სიფართოვე, მეცნიერული სიზუსტე, მიზანდასახულობა და თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობა.

აღსანიშნავია მისი მეცნიერული მოღვაწეობის ფართო სპექტრი. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჟანრულად მრავალფეროვანია, მოიცავს მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, პროგრამა-კონსპექტებს, კრებულებს, სტატიებს; მთლიანობაში 100-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომს. ბატონი დევილი იყო მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომების რედაქტორ-შემდგენელი, რეცენზენტი, მათ შორის უამრავი საკვალიფიკაციო ნაშრომის ოპონენტი რუსეთსა და საქართველოში. მეცნიერულ-შე-

მოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე თემატიკის საკმაოდ ფართო სპექტრით აქტიურ მონაწილეობას იღებდა რეგიონულ თუ საერთაშორისო კონფერენციებში.

მისი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებული იყო თეორიულ-ისტორიული პრობლემატიკის სხვადასხვა სფეროსთან. კვლევის არეალი მოიცავდა ევროპული და განსაკუთრებით ქართული მუსიკის პოლიფონიის საკითხებს. მათ შორის იყო, პოლიფონიისა და მუსიკალური კომპოზიციის, ამა თუ იმ ეპოქისა და ეროვნების სტილის საკითხები, აღმოსავლურ და დასავლურ მუსიკალურ კულტურათა ტრადიციების ურთიერთქმედების პრობლემა, ცალკეული შემოქმედებითი ფიგურები (შოპენი, ჩაიკოვსკი, ხაჩატურიანი, ფალიაშვილი).

დევილ არუთინოვი-ჯინჭარაძემ ფუნდამენტურად გამოიკვლია XX საუკუნის დიდი კომპოზიტორის არამ ხაჩატურიანის შემოქმედება, რაც აისახა მის სამეცნიერო სტატიებში, საკანდიდატო და სადოქტორო ნაშრომებში, მონოგრაფიასა («А.Хачатурян и музыка Советского Востока: язык, стиль, традиции», М., «Музыка», 1983) და წიგნ-ალბომში («Арам Хачатурян. Жизнь и творчество», Книга-альбом+СД, М. Слово/Slovo. 2003); აქედან, 2003 წლის გამოცემისათვის ავტორი იუნესკომ ოქროს მედლით დააჯილდოვა; აღნიშნული ნაშრომი XX საუკუნის შესახებ გამოკვლევების ოქროს ფონდშია შეტანილი.

თბილისის კონსერვატორიაში მოღვაწეობის პერიოდში პროფესორ დევილ არუთინოვი-ჯინჭარაძემ როგორც საკუთარი, ისე მისი ხელმძღვანელობით შესრულებული ნაშრომებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებაში. პირველად, ქართულ ენაზე მის მიერ დამუშავებული იქნა პროგრამა-კონსპექტები პოლიფონიის (1998) და მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის (თანაავტორი მ. ნადარეიშვილი, 2001) კურსებში მუსიკისმცოდნეობა-საკომპოზიტორო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. გაფართოებული ლექციების სახით გამოიცა „მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზი“ (თანაავტორი მ. ნადარეიშვილი, 2004, 2012.); დევილ არუთინოვი-ჯინჭარაძემ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დანერგა პოლიფონიის ისტორიის კურსი მუსიკისმცოდნეობა-საკომპოზიტორო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რო-

მელიც აისახა გამოცემაში „პოლიფონიის თეორია და ისტორია“, ლექციები, 2010. აღნიშნული სახელმძღვანელოები მეცნიერის მრავალწლიანი მუშაობის შედეგს წარმოადგენდა.

გარდა ამისა, დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძემ დაამუშავა კურსი „პოლიფონია ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში“, რომელიც პირველად 1998 წლიდან დაინერგა მუსიკისმკოდნეობა-საკომპოზიტორო ფაკულტეტის სტუდენტებთან, როგორც პოლიფონიის სპეც. კურსის ორგანული ნაწილი. ავტორმა შექმნა სტატიები უფროსი თაობის ქართველ კომპოზიტორთა პოლიფონიის შესახებ და ლექციები, მიძღვნილი პოლიფონიის საკითხებისადმი მთელ რიგ ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში. მისი ხელმძღვანელობით ეროვნული მუსიკის პოლიფონიის სხვადასხვა ასპექტთან მიმართებაში დაცული იქნა რიგი სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომები.

ბოლო წლების მანძილზე მრავალწლიანი ინტენსიური კვლევის შედეგად ბატონმა დევილმა თანაავტორთან (მ. ტაბლიაშვილი) ერთობლივი შემოქმედებით თანამშრომლობით გადაამუშავა ლექციათა კურსი „პოლიფონია ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში“ და პირველად შექმნა სამტომიანი ქრესტომათია „პოლიფონია ქართულ მუსიკაში“, რომელთა გამოცემაც მისი ბოლო პერიოდის მუშაობის უმთავრესი მიზანი იყო.

პროფესორი დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძე სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად დაულაღვად ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ-საორგანიზაციო საქმიანობას. იგი იყო რუსეთში მოსკოვის პ.ჩაიკოვსკის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის კვალიფიკაციის ამალღების ფაკულტეტის საბჭოს წევრი, საბჭოთა კავშირის „სწავლულ ექსპერტთა საბჭოს“ სწავლული მდივანი (1970-75) მუსიკალური ხელოვნების დარგში, ამავე საბჭოს საექსპერტო კომისიის წევრი (1989-92); ასევე საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი (1991-2004), თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ოთხი მონვევის სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1992-2006), საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი (1996-დან), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

(2008-2012) და სამეცნიერო კვლევების საკოორდინაციო სამსახურის ხელმძღვანელი (2011-2012).

მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია მოხსენიებულია რიგ ენციკლოპედიურ გამოცემაში. კერძოდ: Бернандт, Г.Б. Ямпольский, И.М. «Биографический словарь»



მონაწილეთა ერთად.

Кто писал о музыке». М., 1971; Долинская Е.Б. «Исследование о творчестве А.И.Хачатуряна». «Советский музыкант». 1984, №13; Вызго, Т.С. «Новая книга о Хачатуряне», ж. «С.М.», 1985, №6; Мясоедов, А. Н. «Ценное учебное пособие (К 150-летию со дня рождения П.И.Чайковского)», «Советский музыкант», 1990, №10; «Московская консерватория. От истоков до наших дней. 1866-2006» «Биографический энциклопедический словарь», М., 2007; ქართული ბიოგრაფიული ლექსიკონი „ვინ ვინაა საქართველოში. 1998-99“ და „ვინ ვინაა საქართველოში. 2001-2002“.

ფასდაუდებელია მართლაც რომ „დიდი ადამიანის“ — პროფესორ დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა, გამორჩეული ნაყოფიერებით, ინტენსივობით, მაღალი ხარისხით და მრავალმხრივობით. მისი სსოვნა მუდამ იცოცხლებს მისსავე აღზრდილებში, უზომოდ მაღლიერ მონაფეებსა და კოლეგებში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

# პორტრეტი

გვანცა ღვინჯილია

ქალბატონი დოდო გოგუა – პიროვნება და მუსიკოსი, რომლის ირგვლივ უამრავი სათქმელი ისეთი ინტენსივობით იბადება გონებაში, რომ აზრებს თანმიმდევრობით ვერც კი მოუხერხებ ჩამოყალიბებას, ყველა ფიქრი პირველხარისხოვანია.



დოდო გოგუა

განსაკუთრებული განცდა გეუფლება, ძვალსა და რბილში გატანს იმ სცენის წარმოსახვისას, როდესაც რეპრესირებულ ოჯახში დიდი ტკივილების ფონზე გაზრდილი შენი პედაგოგი ბავშვობაში სარდაფის ტიპის ჯურღმულში ნავთქურის ან სანთლის შუქზე მავიდასთან მის რიგს ელოდება, რათა წიგნი წაიკითხოს, პარა-

ლელურად კი მის პატარა გულს ხავსივით ედება მამის სიკვდილით დასჯის გაუნელებელი ტკივილი. დამეთანხმებით, რომ ამ სცენას ყველაზე გულქვა ადამიანში შეუძლია დაბადოს პიროვნება. ჩემი თაობის ცნობიერებაში რეპრესიების შემზარავი რეალობა თენგიზ აბულაძემ გააცოცხლა; „მონანიების“ სცენარით წარმართულ დოდო გოგუას ბავშვობაში ჩაეყარა საფუძველი მაღალ ადამიანურ ღირებულებრივ სისტემას, იმ შრომის კულტურას, რამაც გენეტიკურ ნიჭიერებას გაფურჩქვნის საშუალება მისცა. თითო-ოროლა განსაკუთრებული ნიჭიერებით დაჯილდოვებულ ბავშვთან ერთად სწორედ ამ თვისებებმა მოახვედრა იგი მუსიკალურ ათწლეულებში, სრულიად დამსახურებულად რომ მოიხსენიებდნენ „ნიჭიერთა ათწლეულებს“. შემდეგ კონსერვატორია, ასპირანტურა, სწავლის დამთავრებისთანავე პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყება სასწავლებელსა და კონსერვატორიაში, საკვალიფიკაციო ნაშრომი, აკადემიური ხარისხი, მუსიკის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელობა, პრორექტორის თანამდებობა, ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა კომპოზიტორთა კავშირში – ასეთია მაღალი პროფესიული სინჯის მუსიკისმკოდნის ბიოგრაფიის ძირითადი ხაზები.

დოდო გოგუა ის პიროვნებაა, რომელსაც წამს, რომ ქვეყნის ძლიერება არა მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობებით, არამედ პირველ რიგში. კულტურის რეზერვებით და დონით ისაზღვრება, ამიტომ მისი, როგორც პედაგოგის და მეცნიერის საქმიანობა გატოლებულია არა მხოლოდ მომავალი თაობების აღზრდის თავისთავად დიდ მისიასთან, არამედ პატრიოტულ სამოქალაქო პოზიციასთან. ფსევდოპატრიოტიზმის და ფსევდოკოსმოპოლიტიზმის მოძალების პირობებში, როდესაც ჩვენს რეალობაში ძნელი გახდა სიყალბის ტყუილბრძანებისგან გარჩევა, სადაც პატრიოტობას თუ კოსმოპოლიტობას

ქულების დასაწერად, სოციალურ დამკვიდრების მიზნით იბრალდებიან, დოღო გოგუასთვის პატრიოტიზმი ცხოვრების წესია. არასოდეს დამავინწყდება თუნდაც ის დღე, როდესაც იმ ხანად კონსერვატორიის პრორექტორის არგუმენტებმა სადისერტაციო ნაშრომის პროტესტანტულ ცნობიერებაზე დაწერის მტკიცე და შეუვალი გადაწყვეტილება ეროვნული მუსიკის პრობლემატიკის სასარგებლოდ შემაცვლევინა. ეს უკვე პირველი

მიზანია, პროფესიული თავმოყვარეობის კოეფიციენტს რომ გიმაღლებს. ეროვნული მუსიკის პრობლემებზე მისი ხელმძღვანელობით დაინერა მრავალი სადილომო შრომა და ორი საკანდიდატო დისერტაცია (თამარ წულუკიძის და გვანცა ლვინჯილიას ნაშრომები).

ქალბატონ დოდოს, როგორც ხელოვანს აფიქრებს ქართული სიმფონიური თუ საოპერო ნაწარმოებების სცენიური სიცოცხლის ინტენსივობის შესუსტება.



საიუპილო საღამოს შემდეგ. სხედან მარცხნიდან: მოსე ზორილა, დოდო გოგუა; მარჯვნიდან: ნანა ლორია, ვაჟა აზარაშვილი, მარინა ჩიხლაძე, ნანა დიმიტრიანი, სირა კეკელია, მარინა ქავთარაძე.

ლექცია იყო თემაზე – ქართულ კულტურაში მტკიცედ გარკვეული მკვლევარი უფრო ფართოდ დაინახავს მსოფლიო პროცესებს და არა პირიქით. მან გამაცნობიერებინა, რომ პატრიოტიზმა სავალდებულო ან კომფორტული სულიერი მდგომარეობა კი არა, უზენაესი

მისი აზრით, კომპოზიტორების უკვდავყოფაზე მეტად ეს ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებულ ერს სჭირდება სულიერი განწმენდისთვის თვითდამკვიდრების მტკიცე გზაზე. მისი აზრით ამდენი არაფანსალი, უხარისხო მუსიკალური ინფორმაცია, რომელიც

ყოველგვარი სორტირების გარეშე შემოიჭრა ჩვენს რეალობაში, მენტალობის ცვლილებას იწვევს და ამდენადაა საშიში. ახალი თაობა საფრთხეებს ყოველთვის ნაკლებად შეიგრძნობს. დეჰუმანიზებული გარემოს მაჯისცემას, ცხადია, ის პიროვნება განიცდის მძაფრად, ვინც შვილებივით აღზარდა თაობები და პროფესიული დედის ძლიერი ინსტინქტი გამოუმუშავდა.

უძიმეს 90-იან წლებში, როდესაც სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობებიც კი არ გავაჩნდა და აპათიაში ჩავარდნილ სტუდენტობას ლექციებზეც კი არ სურდა სიარული, თავად გახლდით მონქე, როგორი პათოსით ადგენდა იგი სხვადასხვა იუბილეების ან ღირსშესანიშნავი მოვლენებისადმი მიძღვნილ სტუდენტური კონცერტების პროგრამას. იქმნებოდა ილუზია, რომ უშუქობა, უგაზობა, უწყლობა სადღაც სხვა რეალობაში არსებობდა, ბავშვები კი აჟიტირებულნი იყვნენ საინტერესო კონცერტებში მონაწილეობის სურვილით. ქალბატონმა დოდომ ყველა სტუდენტის რეპერტუარი იცოდა და კარგი მენეჯერივით უმოკლეს ვადებში ამზადებდა შესაბამისი შინაარსის კონცერტის პროგრამას, რაც არცკი შედიოდა მის პირდაპირ სამსახურეობრივ მოვალეობაში. რა რჯიდა პრორექტორს, მუსიკალურ წრეებში ცნობილ ავტორიტეტს? ადამიანმა, რომელმაც ცხოვრებაში მკაფიოდ გააცნობიერა რეპრესიების სისასტიკე და ომის საშინელება, კარგად უწყოდა, რომ გაუდაბურებული რეალობის ყველაზე საშიში შედეგი სტუდენტებში მოტივაციის ჩაკვლა, მათი მორალური გატეხვა იქნებოდა. ეს კი ათწლეულები დამუხრუჭებდა დარგის განვითარებას და ამ შეგნებით შეეცადა ერთგვარი ოაზისის შექმნას. მან შესაძლებელი გახადა ლაურეატ შემსრულებელთა გვერდით, ყველა სტუდენტს მიეღო აქტიური მონაწილეობა მუსიკირების პროცესში და გაეთავისუფინა სცენა.

ქალბატონი დოდო მუდმივად იყო და არის სხვადასხვა მუსიკალური რადიო თუ ტელე გადაცემების სასურველი რესპონდენტი. მის გამოსვლებს თავიანთი კონსტრუქციულობის და დროის ყადრის ცოდნის გამო მონტაჟი არ სჭირდებოდა, რითაც ქირურგის ფსიქიკით

აღჭურვილ სატელევიზიო მემონტაჟე-რეჟისორებს საოცარ კომფორტს უქმნიდა. ბოლო წლებია იგი ძალზე აქტიურადაა ჩართული ისეთი ტიპის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, როგორიცაა საჯარო გამოსვლები, რადიო გადაცემები, სხვადასხვა შინაარსის საღამოების გაძლოლა კონსერვატორიის მუზეუმში.

როგორც თავად ამბობს, ბოლო წლებია ნოსტალგია მოეძალა, რაც მისთვის თანამედროვეობასთან კონტაქტის შესუსტებას ნიშნავს. ეს მისი თვითკრიტიკის მაგალითია. გამიჭირდება დავასახელო ასე თანამედროვედ მოაზროვნე ბევრი ადამიანი მისი თაობიდან. თანამედროვე აზროვნების ტიპს ხომ ასაკი არასოდეს საზღვრავდა. აქვე თავს უფლებას მივცემ და კიდევ ერთი თვითკრიტიკის მაგალითს გამოვხატავ. იგი მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის ხიბლი თავისუფლების სტადიის მიღწევაშია, რასაც პედაგოგიური მოღვაწეობის შეწყვეტის შემდეგ მიაღწია. მისი უპირატესობა ნამდვილად არის მისი ასაკი, მაგრამ თავისუფლების შინაგანი მდგომარეობა ყოველთვის მხიბლავდა ჩემს პედაგოგში. იგი მაშინაც თავისუფალი იყო, როდესაც ნორმატივით განერილი ლექცია უნდა წაეკითხა, მაგალითად, ვებერზე, მაგრამ იმპროვიზაციის განსაკუთრებული უნარის, მიზმ-შედეგობრივი ლოგიკის, ინტერდისციპლინური აზროვნების ტიპის, ორატორის თვისებების გამო მსოფლიოს მუსიკალურ რუკაზე ლაღად მანევრირებდა. მის ზეპირ გამოსვლებს განუმეორებელი ინტონაცია აქვს, საოცარი მუხტის შემოტანა შეუძლია, რადგან იგი სიტყვის ოსტატია. ქალბატონი დოდოს სალექციო კურსი არასოდეს იყო იზოლირებული სხვა მეცნიერებებისგან. ამ პარალელების წყალობით უკეთ შევიგრძნობდით ინტონაციის ენაზე აჟღერებულ ნებისმიერი ეპოქის ზოგადკულტურულ პროცესებს. პატიოსანი ლექტორი, მისი აზრით, ვერასოდეს შეძლებს ორი იდენტური ლექციის წაკითხვას, სწორედ ეს შინაგანი თავისუფლება ქმნის ამ პატიოსნებას და სათქმელს სტანდარტის მარწმუნებისგან იცავს. ვერასოდეს გამეორდები თუ შინაგანად ხარ თავისუფალი სტერეოტიპებისგან და ანალიტურ გონებას იმპროვიზირების საშუალებას აძლევ.



მისი ზეპირი სალექციო თუ სამეცნიერო დებულებები მწვერვალთან მთებს მაგონებს, რომლიდანაც მთელი მუსიკის ისტორიის პანორამა ჩანს. ისინი იმდენად განზოგადებული და მრავლისმომცველია, რომ თითოეულის გავრცობა შესაძლოა თავად იქცეს ცალკე ლექციად ან ფართო კვლევის ობიექტად, როგორც მთის ფართობი აღემატება ხოლმე იმავე ადგილზე წარმოსახულ ველის ფართობს. ეს ის ინტუიტიურ-ანალიტიური აზროვნების ტიპია, რომელიც მისსავე გონებაში მომნიჭდა, მაგრამ ამგვარი ანალიზის პროფესიული ინსტრუმენტით აღჭურვა, შინაგანი რებურვების ამოქმედება დიდწილად მის პედაგოგს ლადო დონაძეს უკავშირდება. აზროვნების ტიპით ქალბატონი დოდო სწორედ ლადო დონაძის, ქართული მუსიკისმკვლევების ამ კლასიკოსის საუკეთესო ტრადიციების მემკვიდრეა.

ქალბატონ დოდოს გადამწყვეტილება წასულიყო პედაგოგიური ასპარეზიდან, მიღებული იყო ახალი თაობისთვის გზის დასათმობად. რომ არსებობდეს სახელმწიფოს ნება და სოლიდური დაფინანსება, ქალბატონი დოდო გოგუას რანგის პროფესორების საჯარო ლექცია-კონსულტაციების პრაქტიკა აუცილებლად უნდა დაინერგოს, რათა მათ ახალ თაობას გადასცენ ასე საჭირო გამოცდილება.

ჩემს სადისერტაციო თემაზე მისი, როგორც ხელმძღვანელის საოცრად ინტენსიური მუშაობის შედეგად და შემდგომ წლებშიც არ მტოვებს ერთგვარი „პროფესიული გენეტიკის“ არსებობის ძლიერი შინაგანი გაცდა, თუნდაც იგი ჯერჯერობით გარეგნულ ფორმალურ მხარეებში ვლინდებოდეს. ამ კუთხით ამაღლევა მის რადიო გადაცემაში მოსმენილმა სიტყვებმა: მე ისე ვსვამდი ლექციების დროს სტუდენტებს, რომ ყველას სახე დაემანახა – გაუზიარა ქალბატონმა დოდომ მსმენელებს. იმდენად, რამდენადაც მასთან მუსიკის ისტორიის კურსი არ გამივლია და მხოლოდ თავისუფალი მსმენელის ამპლუაში ვესწრებოდი ხოლმე მცირერიცხოვანი ფაკულტეტის – მუსიკისმკვლევების ლექციებს, ამას ვერ დავაფიქსირებდი. რადიო გადაცემაში მოსმენილმა კი მისი სკოლის ორგანულ ნაწილად კიდევ ერთხელ

მაგრძობინა თავი, რადგან მეც ყველა ლექციას სწორედ სტუდენტების საკლასო სივრცეში ამგვარი კომპლექტაციით ვინყებ.

ხელმძღვანელის ამაგს მოსწავლე ვერასოდეს გადაიხდის, იგი არც მატერიალურ და არც რაიმე სხვა კრიტერიუმებით არ იზომება, ამიტომ მადლიერება და ამავის დაფასება მხოლოდ პედაგოგის ტრადიციების ღირსეული გავრძელებით თუ გადაიხდება. დღეს ამ ასპარეზზე მოღვაწე მის მოსწავლეებს შორის მე, ჩემი შესაძლებლობების გადასახედიან, მსურს პედაგოგისგან შეთვისებული შრომის კულტურით, მიღებული ცოდნით, აზროვნების ტიპით, მის პატარა ნასხლეტად მაინც ვიქცე.

ქალბატონი დოდო გოგუას მიმართ მადლიერების განცდა უდიდესი ძალით გამოვლინდა მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელის, სრული პროფესორის მარინა ქავთარაძის მიერ მაღალ აკადემიურ დონეზე ორგანიზებულ საღამოზე, რომელიც გაიმართა კონსერვატორიის მუზეუმში 2015 წლის გაზაფხულზე. ქალბატონ დოდოზე სხვადასხვა თაობის მოსწავლეების საუბრისას, პედაგოგის და მეცნიერის მოღვაწეობის მთელი რეტროსპექტივა გადაიშალა. ამ ღონისძიების მოწყობაში ჩართული აღმოჩნდა სახელმწიფო კონსერვატორიაც, მუზეუმიც, კომპოზიტორთა კავშირიც. კონსერვატორიის რექტორმა ბატონმა რეზო კვიციანი ქალბატონ დოდო გოგუას საზეიმოდ გადასცა საპატიო დოქტორის წოდება, რაც, ფაქტობრივად, პირველი პრეცედენტია კონსერვატორიის ისტორიაში.

კონსერვატორიის გამომცემლობა ქეთევან ბაქრაძის ხელმძღვანელობით ამზადებს მისი სამეცნიერო გამოკვლევების კრებულს, რომელშიც ერთიანობაში იქნება თავმოყრილი ხანგრძლივი პროფესიული ძიებების შედეგები. ვფიქრობ, იგი სამაგიდო წიგნის ადგილს, ერთგვარი გზამკვლევის როლს ითამაშებს მომავალი თაობების მუსიკისმკვლევებისთვისაც, ფართო მკითხველისთვის კი იქცევა ნიმუშად იმ მაღალი დონისა, რომელსაც ქართული მუსიკისმკვლევების ყოველი თაობა ინარჩუნებდა და ინარჩუნებს დღესაც.

# „ისეთი რამ, რაც მე შემემთხვა, არ უნდა განმეორდეს!“

გავიარეთ უძძიმესი XX საუკუნე – 1921, 1924, 1937, 1940–50-იანი წლების რეპრესიები, ომი, ქერჩში ჩახოცილი ათასობით ქართველი, განადგურებული ოჯახები, მოშობილი გვარები, დაობლებული ბავშვები... 9 აპრილი, 1991–92 წ.წ. თბილისის ომი, აფხაზეთი, XX საუკუნე – ღმერთის უარყოფის და ბელადებისგან კერპების შექმნის ხანა... დავანგრეთ ეკლესიები, გავანადგურეთ ხატები და ახლა, XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, მართლმადიდებლობის წიაღს თითქოსდა დაბრუნებული ერთი კვლავ დაობს – ვინ იყო სტალინი, აღვადგინოთ თუ არა მისი ძეგლები, სჯობდა თუ არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების „ძმურ“ კავშირში ყოფნა თავისუფალ საქართველოს, რუსეთი თუ ევროპა–ამერიკა და ა.შ. და ა.შ. მივტირით 1 კაპიკიან ასანთსა და 50 კაპიკიანი „სგუშჩონკების“ გორას საბჭოთა „გასტრონომებში“ და გვაზინყდება ის თითოეული ადამიანი – ოჯახის წევრებისა თუ შორეული ნათესავების, მეზობლებისა თუ მეზობლის მეზობლების უძძიმესი ხვედრი, რომელთაც ერთი სიცოცხლე მიეცათ და ის ერთი სიცოცხლევ უმონყალოდ წაართვეს.

რატომღაც მავანთ შგონიათ, რომ მუსიკოსებს ნაკლებ შეეხო „საბჭოთა რეპრესიების მანქანა“, მაგრამ ეს მანქანა ხომ არავის ინდობდა, ცხადია, არც მუსიკოსებს.

ქურნალი „მუსიკა“ ეცდება რუბრიკით „საქმე №...“, გავაცნოთ იმ მუსიკოს–ხელოვანთა ბედი, რომლებმაც მარტ-ვილობის ეს კელიანი გზა განვლეს.

რუბრიკის ავტორი მგია ჯაფარიძე

*„ყველა ანას ჰყავს თავისი ვრონსკი,  
მაგრამ ყველა ანას არ ჰყავს ტოლსტოი.  
ანას გაუმართლა – მას ჰყავდა ტოლსტოი!“*

რა განგებით – არ ვიცი, მაგრამ ისტორია აუცილებლად ბრუნდება, არ იკარგება, ალბათ, იმისთვის, წარსულში რომ ჩაგახედოს, დაგაფიქროს და რაღაც შეგახსენოს, ის, რაც უნდა იცოდე, ის, რამაც, შეიძლება, ტეშმარტეპასთან მიგაბრუნოს, ის, რამაც შეიძლება გადაგარჩინოს. უბრალოდ, ისტორიას წაკითხვა უნდა...

„მამიდა რომ გარდამეცვალა, რვეული ვიპოვე. რვეული, რომელიც უმნიშვნელოდ მივიჩნიე, არც მიფიქრია წამეკითხა, ვიფიქრე უსარგებლო რამაა და ბუნკერში გადავაგდე. სახლში რომ მოვბრუნდი, ფიქრი ამეკვიატა – ნეტავ რა ეწერა–მეთქი, ვერ მოვისვენე,

უკან დავბრუნდი და რვეული ბუნკერიდან ამოვიღე; ეს ჩემი უსაყვარლესი მამიდის, პირველი თაობის პრიმა–ბალერინის, ვახტანგ ჭაბუკიანის ერთ–ერთი პირველი პარტნიორის, ქეთევან ნადარეიშვილის ჩანანერები აღმოჩნდა...“ – გვიყვება ნელი ნადარეიშვილი და იწყებს ისტორიას, რომელიც სინამდვილეს თითქოს არ ჰყავს, მაგრამ ნამდვილად მოხდა, მოხდა ჩვენთან, აქ, თბილისში...

\*\*\*

თავად მარია პერინი, ქართული საბალეტო სკოლის ფუძემდებელი, პატარა ქეთევანს სახლში ეწვია...

1920–იან წლებში, წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ, ბევრ შეძლებულ ოჯახს გაუჭირდა, ვისაც არ ჰქონდა, კიდევ უფრო უქონელი გახდა. გაჭირვებულმა ოჯახებმა იმატა და ქეთევან ნადარეიშვილის ოჯახ–



ქეთევან ნალაჩიშვილი (1915-1995)

საც სახსრები აღარ ჰქონია, რათა პატარა ქეთევანს საბალეტო სტუდიაში მეცადინეობა გაეგრძელებინა. სწორედ იმის სათქმელად მისულა მარია პერინი, რომ ბავშვი ძალიან ნიჭიერია და სახლში უფასოდ ვამეცადინებო.

**ნაწყვეტი ქეთევანის დღიურიდან:** „ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბიძაჩემი, მამაჩემის ნახევარი ძმა — გიორგი გვაზავა 1918-1921წწ. პარლამენტის წევრი და პარლამენტში სამანდატო კომისიის ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო, კედისათან ერთად. დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს კონსტიტუციის (1918) შედგენაში, მაგრამ ამას რატომღაც არ ამბობენ. როდესაც საქართველოში წითელი არმია შემოვიდა, სახლშიც მოგვაკითხეს. მასსოვს, როგორ მალავდა დედა ძვირფას ნივთებს, ჭურჭელს და ოქროს. ჯარისკაცებმა მთელი სახლი გაჩხრიკეს, ჭადღებიც კი

ჩამოსნეს და წაიღეს, კიდეც ათასი რაღაც გაიყოლეს. 1928წ. ჩვენი სახლი, რომელიც დედაჩემის საკუთრება იყო, სცნეს როგორც მოუვლელი. მართალია, საბუთებში ჩამორთმევის ფაქტი აღნიშნული არ იყო, მაინც ჩამოგვართვეს...“

ქეთევანი ჯერ კიდეც სულ პატარა იყო, როდესაც მისი დებიუტი შედგა „თბილისის სახაზინო თეატრის“ სცენაზე, თავის მეგობარ თამარ ვეკუასთან ერთად. „თავისუფლების მარში“ შეუსრულებიათ, თავისუფლებისა, რომელიც ქეთევანს მხოლოდ სცენაზე ერგო წილად. 15 წლის ასაკში კი უკვე საბალეტო დასის მო-



ქეთევან ნალაჩიშვილი, გივი შავაჩელიაშვილი

ცეკვავე იყო, ასრულებდა წამყვან პარტიებს: ნათელა (ა. ბალანჩვიძის „მთების გული“), სვანილდა (დელიბის „კოპელია“), ჩელიტა (მინკუსის „დონ-კიხოტი“), მარია (ასაფიევის „ბახჩისარაის შადრევანი“), სილფიდა (ფოკინის „შოპენიანა“), ლიზა (ჰერტელის „ამაო სიფრთხილე“), ოდეტა-ოდილია (ჩაიკოვსკის „გედის ტბა“), მაგრამ არ დასცალდა... არ დააცალეს... სწორედ ამ პერიოდებიდან იწყება პირველი თაობის ქართველი პრიმა-ბალერინას ქეთევან ნადარეიშვილისა და ინგლისელი გორდონ უეის სიყვარულისა და ცხოვრების ტრაგიკული ისტორია...

\*\*\*

ეს არის ისტორია თანამედროვე რომეოსა და ჯულიეტაზე, სადაც მონტეგებისა და კაპულეტების შუღლის როლში გვეკლინება საბჭოთა ბოროტების იმპერია, კვბ, შინსახკომი, სახელმწიფო ინსტიტუტები თავისი ინტერესებით, სახელმწიფო იდეოლოგიებით, ომითა და ძალმომრეობით.

ეს არის ისტორია ადამიანის ბედზე, სიყვარულზე, რომელიც მოულოდნელად აღმოცენდა საყოველთაო ხოცვა-ჟლეტისა და უბედურების ფონზე და თავისი არსებობით შეძლო სილამაზე და ადამიანობა შეენარჩუნებინა გმირებისათვის.

1941-1942 წწ. თბილისში მსახურობდა გორდონ რედვერს (ჯიმი) უეი, რომელიც ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის სამხედრო მისიას სსრკ-ში. დიდ ბრიტანეთში ეს მისია ცნობილი იყო „უეის მისიის“ სახელით. გორდონს განსაკუთრებით უყვარდა ოპერისა და ბალეტის თეატრში სიარული. ის თითქმის ყველა სპექტაკლს ესწრებოდა. ქეთევანმა იგი სწორედ თეატრში, 1941 წლის დეკემბერის მიწურულს გაიცნო, სპექტაკლ „ტრაჯიკატას“ შემდეგ, სადაც მესამე აქტში ქეთევანი ესპანურ ცეკვას ასრულებდა. გორდონმა მას წითელი ვარდები მიართვა და უთხრა, რომ აღფრთოვანებული იყო მისი ცეკვით. აქედან დაიწყო მათი მეგობრობა, რომელიც სიყვარულში გადაიზარდა.

1942 წლის სექტემბრის თვეში ისინი დაქორწინდნენ, ხელი მოაწერეს ენ. „მმატჩის ბიუროში“. საინტერესო ისაა, რომ ქორწინებაზე ნებართვა თავად სტა-

ლინს გაუცია, მერე კი მისსავე რეპრესიულ მანქანას მოუსპია...

1942 წელს ბრიტანეთის მისია დაიხურა და გორდონ უეი გაემგზავრა ერაყში, სადაც ის პოლონეთის სამხედრო ძალების წვრთნას ხელმძღვანელობდა. ამავე დროს, ქეთევანმა დაწერა განცხადება და უარი თქვა სსრკ-ს მოქალაქეობაზე, რათა თავის მეუღლესთან წასვლის შესაძლებლობა მისცემოდა (სხვათა შორის, 1942წ. ბრიტანეთის საელჩო ქეთევანს უგზავნის ფულად დახმარებას, როგორც სამხედრო პირის ცოლს). თავის მხრივ გორდონ უეიც იბრძვის სიყვარულისთვის. მას მიმონერა აქვს მოსკოვში ელჩთან, რათა საბჭოთა მთავრობამ მოუხსნას ქეთევანს სსრკ-ს მოქალაქეობა... მაგრამ...

ქეთევან ნადარეიშვილი — პრიმა ბალერინა, ვარსკვლავი, დიდი ვახტანგ ჭაბუკიანის პარტნიორი, ძველ არისტოკრატიულ ოჯახში აღზრდილი, რომელმაც იცის თავისი ფასი, საკმაოდ მორცხვი, დახვეწილი გემოვნების, მაგრამ ამავე დროს ძალზედ სადა ადამიანია. იგი თავისი ბალეტის — „გედების ტბის“, „დონ-კიხოტის“, მუსიკალური ხელოვნების და თავისსავე შექმნილ მშვენიერ სამყაროში სულდგმულობს. იგი გრძნობის, ინსტინქტის, არამატერიალურის, სიმსუბუქის, ზენაციონალობისა და ჩვეულებრივი ქალურობის განსხეულებაა. ჯერ კიდევ ვერ გრძნობს მოახლოებულ ქარიზმს. ქეთევანი აგრძელებს მოღვაწეობას ოპერისა და ბალეტის თეატრში, ცეკვავს ყველა წამყვან პარტიას...

1943 წელს უეი ესწრება თეირანის კონფერენციას, სადაც მას ჰქონდა მცდელობა მიეღო ნებართვა, რომ მის მეუღლეს საბჭოთა კავშირი დაეტოვებინა. ამ კონფერენციას ესწრებოდა ლავრენტი ბერიაც. უეიმ, რა თქმა უნდა, მიზანს ვერ მიაღწია.

თეირანის კონფერენციიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ქეთევანის გარშემო მდგომარეობა დაიძაბა. ის გამოიძახეს კომკავშირის ცეკაში და განუმარტეს, რომ კომკავშირელს არ ჰქონდა უცხოელზე გათხოვების უფლება. მოსთხოვეს გაეკეთებინა არჩევანი ქმარსა და კომკავშირის შორის. ბევრმა კომპრომისი არჩია, ქეთევანმა კი, ამ პატარა, დახვეწილმა ქალბატონმა, კომკავშირის ბილეთზე თქვა უარი, რაც



თური იყო. პალტო მქონდა დაგებული და იმაზე ვწვე-ბოდი...”

ორთაჭალიდან როსტოვში გადაიყვანეს. იქედან კი ციმბირში გაამგზავრეს. ციმბირში ბალტიისპირელი ქალების ბანაკში აღმოჩნდა. იმ ბანაკში 2 500 ქალი იმყოფებოდა, ზოგი ვილაცის დედა, ზოგი შვილი, ზოგი შეყვარებული, ზოგი... მათში ქართველი მხოლოდ ქეთევანი იყო.

ციმბირის საპატიმროშიც ვერ უღალატა მშვენიერების სიყვარულს. თავის მეორე ვნებას – ცეკვას, ბალეტს და პატიმარი ქალებისაგან თექვსმეტკაცისანი დასი შექმნა. მასთან ერთად სხვა მსახიობებიც იხდიდნენ სასაჯელს, ზოგს ერთი ანეკდოტის გამო ჰქონდა მისჯილი ათი წელი (!). ქეთევანი და მისი მეგობრები დგამდნენ სპექტაკლებს კოლონიის უფროსებისა და პატიმრებისათვის... როგორც შემდეგ ქეთევანი იტყვის – მხოლოდ ამან გააძლუბინა იქ და გადაატანინა აუნერელი ტანჯვა.

**წერილი ქეთევანისადმი:** „უცნაური დამთხვევაა. ბოლო დღეებში მე ხშირად ვფიქრობდი თქვენზე. ვახსოვთ, ჩვენი საუბრები ხელოვნებაზე? როგორ გადავდიოდით მე და თქვენ ფორმების, ფერების და ხმების მშვენიერ სამყაროში და მე ვერ ვივინყებ იმ წუთებს, როგორ ვიჯექით მე და თქვენ ორნი, დავინყეთ ლაპარაკი თქვენს საყვარელ ბალეტზე და უცებ თქვენმა სახემ შეიკვალა გამომეტყველება, თითქოს სხვა სამყაროში აღმოჩნდით. თქვენ ცეკვავდით ჯერ „გედების ტბიდან“, შემდეგ „ბახჩისარაის შადრევნიდან“ და მე ერთი რამ მახსოვს, თავი სიბმარში მეგონა, ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ყველაფერი ცხადში ხდებოდა. როგორი მშვენიერი სახე გქონდათ მაშინ, რამდენი დარდი და უიმედო მწუხარება იხატებოდა დაკარგული საყვარელი ხელოვნებისადმი. გიყურებდით და თვალს ვერ გწყვეტდით. თავს ვგრძნობდი ძალიან კარგად და ამავე დროს ძალიან მტკიოდა სული თქვენს გამო და ასევე ჩემს გამოც, რომ წლები მიდიან და მათ ვერასოდეს დავიბრუნებთ. როდესაც მორჩით ცეკვას, დიდი ხნით სიჩუმემ დაისადგურა. თქვენ მიაბრუნეთ სახე და ტიროდით. მე ვავედი, რათა ხელი არ შემეშალა, რათა

მართო ყოფილიყავით“.

ეს წერილი ციმბირის ერთი კოლონიიდან მეორეშია გაგზავნილი და მისი ადრესატი ქეთევან ნადარეიშვილია.

1951 წელს ქეთევანი „გაათავისუფლეს“, თუმც თბილისში ცხოვრების უფლება არ მისცეს. ვახტანგ ჭაბუკიანი და ბალეტმანისტერი დავით ჯავრიშვილი ცდილობდნენ მის დახმარებას, მაგრამ ამაოდ. ოპერის დირექტორი დამუქრებია, ოპერას არ მოუახლოვდე, თორემ სამუდამო პატიმრობაში აღმოჩნდებით.

**ნაწყვეტი ქეთევანის დღიურიდან:** „მოვიდნენ ჩემთან მილიციიდან და მითხრეს, რომ მე არ მქონდა დიდ ქალაქებში ცხოვრების უფლება. ძალიან ვავბრაზდი და დეპეშა ვავუგზავნე მაშინდელი უშიშროების მინისტრს, ნიკოლოზ რუხაძეს. არასოდეს დამავინყდება, ჩემი ამდენი წვალებისა და შეურაცხყოფის შემდეგ მისი ადამიანური მოპყრობა და გულკეთილობა. მან კაბინეტში მიმიღო და მკითხა – რა მანუხებდა. როდესაც ავეხსენი, ხუთ წუთში მოაგვარა ჩემი პრობლემა. ძალიან მალე რუხაძის სავარძელი კოჭლავაშვილმა დაიკავა და პირველ რიგში ჩემი თბილისიდან გასახლება დაიწყო. ავიღე და ისევ დეპეშა ვავგზავნე, ახლა უკვე მის სახელზე და სად მიმიღო? – სამიზღარ ნახევარსარდაფში. უარი მითხრა დახმარებაზე“.

თბილისიდან გორში გაამწესეს, როგორც „ქვეყნისათვის საშიში“, „ანტისაბჭოთა“ პიროვნება (?!). გორში 1953 წლის ბოლომდე დაჰყო.

კვბ-ს ჯურღმულებისა და ციმბირის ციხეების შემდეგაც ვერ გატეხეს – ქეთევანი მაინც შეუპოვრად იბრძოდა თავისი სიყვარულისთვის. უკომპრომისო ქეთევანი არ თმობდა ხელოვნებას, თავის ბალეტს, თავის სიყვარულს, თავის სამყაროს. იგი ამ ყველაფრით ებრძოდა ცხოვრებას, ბოროტებას, იდეოლოგიას, კვბ-ს, სტალინს. მან თავისი ბედნიერება, მშვიდი ცხოვრება, ზვარაკად შესწირა თავის სიყვარულს და სიცოცხლე ისე განვლო, ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია უკან. მას არ უნდოდა დაჯერება, რომ მისი სიყვარული შეიძლება დამარცხებულიყო.

1956 წელს მიიღო რეაბილიტაცია. უკვე ჯანმრთე-

ლობაშერყეული დააბრუნეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, ცხადია, როგორც მეორეხარისხოვანი მოცეკვავე. 1959 წელს სცენაზე მოღვაწეობის 20 წლის იუბილევ კი გადაუხადეს, 1961 წელს კი სახალხო არტისტის წოდებაც მიანიჭეს (საბჭოთა იმპერიის კიდევ ერთი ცინიზმი!).

დარტყმა... რომელიღაც ჩინოვნიკს თვალში არ მოსვლია ქ-ნი ქეთევანის ქურქი, რომელიც მის ბიძაშვილს, ჯამლეთ ვვაზას ჩამოუტანა საჩუქრად საფრანგეთიდან. ამის გამო „ბურჟუაზიული მტრული ბანაკის“ მოტრფიალედ მიუჩნევიან და ახლა ერთი წლით უკვე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაუმწესებიათ. და მა-



ქორეოგრაფიულ სასწავლებელში

ქეთევანი არასდროს კარგავდა თავისი სიყვარულის დაბრუნების იმედს და ცხოვრებას ამ იმედით აგრძელებდა. 1973-1989წწ. მუშაობდა თბილისის შოთა რუსთაველის სახ. თეატრალურ უნივერსიტეტში, სასცენო მოძრაობის კათედრაზე უფროს მასწავლებლად, აღზარდა არაერთი თაობა.

1976 წლიდან ქეთევანი ბრიტანეთის საელჩოს და და წითელი ჯვრის საშუალებით ეძებდა მეუღლეს, მაგრამ ამაოდ. სწორედ 70-იან წლებში კიდევ ერთი

ინც არ გატყდა, ბოლომდე არ კარგავდა იმედს. უკვე კარგახნის გარდაცვლილი გორდონის ამბავი, მხოლოდ 1994 წელს შეატყობინეს ახლობლებმა, რის შემდეგ ერთი წელიდა იცოცხლა. 1995 წლის 6 ოქტომბერს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი და სიყვარულისთვის დამაშვრალი ქალბატონი – ქეთევან ნადარეიშვილი გარდაიცვალა.

გორდონ უეი კი ფილტვის კიბოთი გარდაცვლილა 1981 წელს, თავის სახლში (ფლინტ კოტეჯი, პიტინქ-

ტონი, აღმოსავლეთ სასექსი). გორდონის არქივში აღმოჩნდა 1959 წლით დათარიღებული ქეთევანის სამი წერილი, სადაც ის მას სწერდა თავისი ტრაგიკული ბედის შესახებ.

გორდონ უეის — სამხედრო პირს, ინგლისის დამკვერვის განყოფილების უფროსს, გარეგნულად ძლიერ მამაკაცსაც კი თავისი ჭეშმარიტი სიყვარულის ისტორიამ დიდი დაღი დაასვა. თუმცა, ქეთევანისაგან განსხვავებით, ბოლოს და ბოლოს შეგუებია ბედს... დაოჯახებულა, კარგი ქმარი და მამა ყოფილა. თუმცა... ნამდვილი ბედნიერება აღარასდროს განუცდია, თავისი სიყვარულის ისტორიას სიკვდილამდე გულში ინახავდა. მრავალმა ფაქტორმა იმოქმედა გორდონის ბედზე: აღზრდამ, სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობამ, სახელმწიფო ინტერესებმა, ფაშისტური და კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლამ და ა.შ. ამ ისტორიულ ქარტეხილებში მისი პირადი ბედნიერებისათვის ადგილი აღარ მოიძებნა...

გორდონისათვის პატარა სამოთხედ დარჩა საქართველო, აქ გატარებული დრო, ადგილი, სადაც მან ნამდვილი სიყვარული ჰპოვა, რომელიც საზღვრებს, იდეოლოგიას, სახელმწიფოებს, ომს არ ცნობს. უეის ქალიშვილის თქმით, სიკვდილის წინ გორდონი რუსულად ქეთოს ესაუბრებოდა ... გორდონ უეის სიტყვებია ქეთევანისადმი: „შენ ხარ ჩემი ტკბილი ბედი“.

**ნაწყვეტი ქეთვანის დღიურიდან:** „რეპრესიებმა თავისი დაღი დამასვა. ჯანმრთელობა შემერყა, დაგბერდი კიდევ, მაგრამ მაინც ვცხოვრობდი ერთი იმედით, რომ მას შევხვდებოდი. ის იყო და რჩებოდა ჩემს ქმრად, ერთადერთ ადამიანად, რომელიც მიყვარდა და მიყვარს. მათ წამართვეს ყველაფერი: ახალგაზრდობა, ჯანმრთელობა, თავისუფლება. მათ დააჩქარეს დედაჩემის სიკვდილი, შემდეგ კი ჩემი ძმების, რომლებიც ერთი მეორის მიყოლებით დაგვარგე. მათ წამართვეს ქმარი, განადგურეს მთელი მისი ფოტოსურათები, მისი წერილები, ყველაფერი, რაც მე მის თავს მახსენებდა. მათ შეურაცხვეს ჩემი სიამაყე, მაგრამ ვერ შეძლეს და ვერასდროს შეძლებენ განადგურონ ჩემში მთავარი, რაც მართიანებს ჩემს ქმართან — უსაზღვ-

რო სიყვარული და ერთგულება. ამის მოსპობა შეუძლებელია. თვით სიკვდილიც ვერ შეძლებს მაიძულოს წავიდე იმქვეყნად მისი სიყვარულის გარეშე. ისეთი რამ, რაც მე შემემთხვა, არ უნდა განმეორდეს. მინდა ვუთხრა ყველას, აგრეთვე ბრიტანეთის მთელ მოსახლეობას, რომ მე ვამაყობ ჩემი ქმრით და მადლობელი ვარ ბედისა, რომელმაც მაჩუქა ასეთი ადამიანი. ყველა საუკეთესო თვისება ინგლისელი ხალხისა მასშია თავმოყრილი. მინდა დამეხმაროთ, რომ მისმა დამ, ჯოანმა გაიგოს, რომ მე არასოდეს მიღალატია მისთვის, როგორ ძლიერ მიყვარდა იგი, ბოლომდე მისი ერთგული ვიყავი, მაგრამ ასე გამწირა და არ დამინდო ბედმა“...

**P.S. ნელი ნადარეიშვილი:** „როდესაც ამ ისტორიის კვლევა დავიწყე, საქართველოში ყველგან ყრუ კედელს წავაწყდი. უკვე იმედიც არ მქონდა, რომ რამეს გავარკვევდი, მაგრამ ერთ დღეს ტელეფონის ზარი გაისმა. მოსკოვიდან მირეკავდნენ. ქალბატონი თამარ ბრეუსად გამეცნო. ის ვახლდათ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელის, მიხეილ ასლამაშოვის ქალიშვილი (მ. ასლამაშოვი 1937 წელს შეენირა). 5 წლის ასაკში ქ-ნ თამარს შეხება ჰქონია ბრიტანეთის სამხედრო მისიის წევრებთან, მათ კატის კნუტი უჩუქებიათ. ქ-მა თამარმა მითხრა, რომ მისი მეგობარია ბრიტანეთის და გელანდიის სამეფო კარის წევრი სერ იან აქსფორდი და თამარის დეიდამ უამბო სერ იანს ბალერინა ქეთევან ნადარეიშვილის შესახებ. ის ძალიან დაინტერესდა და სტუმრობის ნებართვა ითხოვა. ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა. ქ-ნ თამარი და სერ იანი რამდენჯერმე ჩამოვიდნენ თბილისში. დღეს თუ რაიმე მასალა გამაჩნია, ეს სერ იან აქსფორდის დამსახურებაა, რომელიც მან ქ. კუიბიშვილის და ბრიტანეთის არქივებიდან მოიპოვა. ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდა — 9 წელი! მისი დამსახურებაა ისიც, რომ BBC-ის მეოთხე რადიო არხზე (ავტორი ფანია ვილიამსი) გავიდა გადაცემა ქეთევანის შესახებ. თამარ ბრეუსმა და სერ იან აქსფორდმა 2004 წელს გამოსცეს ნიგნი „In Soso's web“ („სოსოს ქსელში“), სადაც რამდენიმე თავი ქეთევანისა და გორდონის აბმავს ეთმობა. სამწუხაროდ, სერ იან აქსფორდი 2010 წელს გარდაიცვალა“.



# ქართული ხელოვნების ღირსეული დესპანი

ალექსი პანიძე

ქართულ სავიოლინო სკოლას მდიდარი ტრადიციები აქვს. მის სათავეებთან იდგა კომპოზიტორი და პირველი ქართველი პროფესიონალი მევიოლინე ანდრია ნიკოლოზის ძე ყარაშვილი (1857–1925); 40 წლის განმავლობაში ფართო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ვიქტორ რობერტის-ძე ვილშაუ (1870–1937). მან მრავალი ქართველი მევიოლინე აღზარდა, მათ შორის – ქართული სავიოლინო სკოლის ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი – პროფესორები ლუარსაბ იაშვილი და ლევან (ლეო) შიუკაშვილი, რომლებმაც თავის მხრივ გააგრძელეს წინამორბედთა სამემსრულებლო თუ პედაგოგიური ტრადიციები. სწორედ ლ. შიუკაშვილის ერთ-ერთი აღზრდილთაგანია უაღრესად ნიჭიერი, საინტერესო მევიოლინე, პედაგოგი და ამავე დროს კამერულ-სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი ბ-ნი გიორგი ბაბუაძე. სინანულს იწვევს ის გარემოება, რომ ამ ხალასი ნიჭის მევიოლინესა და დირიჟორის მოღვაწეობა სამშობლოში, რატომღაც, გაკვრით და ეპიზოდურად მოიხსენიება, იგი უეჭველად მოითხოვს ღირსეულ დაფასებას.

გ. ბაბუაძე შორეულ იაპონიაში 1996 წლიდან მოღვაწეობს, მაგრამ სამშობლოს არ ივიწყებს და თავის სამემსრულებლო, სადირიჟორო და ზოგჯერ პედაგოგიური ნაშრომით სისტემატიურად, წელიწადში ერთხელ მაინც გამოდის თბილისელი მსმენელის წინაშე.

იგი 53 წლისაა... თუ მის ბიოგრაფიას გადავხედავთ



გიორგი ბაბუაძე

– თითქოს ვერაფერ ახალს ვერ დავინახავთ. დაიბადა თბილისში – ვერის უბანში. ვიოლინოს პირველად ეზიარა თბილისის №3 სამუსიკო სკოლაში პედაგოგების – ელენე მადეს და ვიქტორია ვოსკანოვას კლასებში. შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის №3 სამუსიკო ტექნიკუმში – თბილისელ ცნობილ ვიოლინოს პედაგოგ დავით რეიზნერთან და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაირიცხა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში – პროფ. ლ. შიუკაშვილის კლასში.

## ქართული მუსიკოსები უსსრ-ში

სტუდენტობის დროს ყოფილა კონსერვატორიის ხე-  
მიან საკრავთა კვარტეტის პირველი ვიოლინო და ქ.  
რუსთავის ი. ლეუსის ხელმძღვანელობით არსებულ კა-  
მერული ორკესტრის კონცერტმასტერი.

მხოლოდ დიდი ნებისყოფის ადამიანი თუ შეძლებს,  
თანაც მის მიზანდასახულობაში აშკარად გამოიკვეთა  
ერთი მეტად გონიერი პრინციპულობა – გაიმდიდროს  
ცოდნა მსკოვან და უდიდესი გამოცდილების მქონე  
**Maestro**-ებთან! თავად განსაჯეთ: 1985-87 წლებში  
იგი სისტემატურად ჩადის მოსკოვში და უდიდესი ყუ-  
რადღებით ისმენს „მასტერ კლასებს“ საყოველთაოდ  
აღიარებული კოლექტივის – ა. ბოროდინის სახ. ხემიან  
საკრავთა კვარტეტის – ასაკოვან წევრთან ვ. ბერლინ-  
სკისთან, ხოლო 1986-88 წლებში, უდიდესი შინაგა-  
ნი მოთხოვნის შესახად – ინყებს მეცადინეობას  
დიდი პიროვნების – პროფ. ო. დიმიტრიადის საოპე-  
რო-სიმფონიური დირიჟორობის კლასში – ასისტენტ-  
სტაჟიორად. დირიჟორობის ამ სფეროს უფრო ღრმად  
გაცნობამ, მას დიდი გამოცდილების გარდა, უფრო გა-  
ნუმტკიცა სადირიჟორო პულტთან დგომის თავდაჯე-  
რებულობა.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ თვისების შექმნას ხე-  
ლი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ აქტიური კონცერ-  
ტანტი – მევიოლინე, სანამ დირიჟორის ჯოხს აიღებდა  
ხელში – მრავალი წლის განმავლობაში უდიდესი სე-  
რიოზულობით ეცნობოდა მსოფლიოს ამა თუ იმ მუ-  
სიკალური მიმდინარეობის ათეულობით ბრწყინვალე  
პარტიტურის ყოველ ფრაზას და გრამფირფიტებით  
(ჯერ CD არ იყო შემოსული) ისმენდა მანამდე, სანამ  
ბოლომდე არ ჩანვდებოდა ქმნილების მთელ სიდი-  
დეს ეს თანდათანობით გამოჩნდა გიორგი ბაბუაძის  
მიერ ყოველი ახალი ნაწარმოების დირიჟორობის შემ-  
დეგ, რაზეც დამაჯერებლად მეტყველებს CD და DVD  
დისკებზე დაფიქსირებული სხვადასხვა ავტორთა მისე-  
ული ინტერპრეტაცია.

ამ ჩანაწერებზე ქვემოთ მოგიხსნათ.

სადირიჟორო სამყაროს საფუძვლიანად ათვისე-  
ბის პროცესს მოჰყვა ლოგიკური შედეგი: იგი ინიშნება  
თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა სიმფონიური  
ორკესტრის ხელმძღვანელად, ხოლო ოდნავ მოგვი-  
ანებით მას ამტკიცებენ ბათუმის სიმფონიური ორკესტ-  
რის მეორე დირიჟორად.

80-იანი წლების ბოლოს როგორც მევიოლინეს,

創立15周年記念 音楽祭2010  
12 月 2010 - ყოფილი Kawai სცენიკუმ სკოლაში George Babuadze Violin Recital  
15 月 2010 - ოსტაი „ფინიქსი“ სცენიკუმ ოსტაიში  
関西フィルハーモニー管弦楽団コンサートマスター The Phoenix Hall

# ギョルギ・バブアゼ Violin Recital

George Babuadze  
~ショスタコーヴィチとグルジアの作曲家たち~  
D. Shostakovich & Georgian Composers



**Program**

オタル・タクタキシヴィリ: ヴァイオリンとピアノのための三つの小品  
Otar Taktakishvili (1924-89): 3 pieces for Violin and Piano

アレクシ・マチャヴァリアニ: ヴァイオリン協奏曲 第2楽章 アンダンテ・スステート / ロマンس  
Aleksei Machavariani (1913-95): Andante Sostenuto (The 2nd mov. From Violin Concerto) / Romance

スルハン・ツィンツァゼ: ポエム  
Sulkhan Tsintsadze (1925-92): Poem

ヴァジャ・アザラシヴィリ: スケルツォとノクターン  
Vazha Azarashvili (1936-): Scherzo and Nocturne

ドミートリイ・ショスタコーヴィチ: ヴァイオリン・ソナタ Op.134  
Dmitry Shostakovich (1906-75): Violin Sonata Op.134  
(1968年ダブト・オイスラフ600歳の誕生日に捧げられたショスタコーヴィチ唯一のヴァイオリン・ソナタ)

山田 靖子  
Piano 田 靖子

2010年 3月12日(金) 19:00開演 (18:30開場)  
カワイ表参道 コンサートサロン「ハウゼ」 TEL.03-3409-2511

3月15日(月) 19:00開演 (18:30開場)  
カワイ表参道 TEL.06-6363-7999

全自由席  
前売 3,500円 (当日 4,000円)  
学生 及び 25歳以下 2,500円  
(チケット発売日: 1月25日)

チケット / カワイ「ハウゼ」 ザ・フェニックスホール 音楽祭の会 ☎ 0742-34-2894 fuyu@blisouit.com.ne.jp (チケット郵送後、代金引換え)  
主催 音楽祭の会 後援 グルシア大使館 関西フィルハーモニー管弦楽団 | 協賛 (東京公演) カワイ音楽財団 株式会社エヌエフエム (大阪公演) カワイ音楽財団 株式会社エヌエフエム 小笠原9条+25条の会

კონსერვატორიას ამთავრებს წარმატებით. სადი-  
ლომო გამოცდაზე შეასრულა სავიოლინო კონცერტე-  
ბის ერთერთი მწვერვალი – ი. ბრამსის კონცერტი და  
იმავე წლიდან ინყებს იმ გასაოცარ ძიებას საკუთარი  
მუსიკალური შესაძლებლობების კიდევ და კიდევ აღ-  
მოჩენის მიზნით, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით,

მას სთავაზობენ საქართველოს ეროვნული ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის კონცერტმასტერის ადგილს (დირიჟორი ა. მამაცაშვილი). ამ კოლექტივს საგასტროლოდ უშვებენ აშშ –ში და ფინეთში. გასტროლებიდან ჩამოსულ ბ-ნ გიორგის სამუშაოდ იწვევენ სსრ კავშირის საფესტივალო ორკესტრში, რომელიც კონცერტებს მართავს ლონდონის ცნობილ საკონცერტო დარბაზ ალბერტ-ჰოლსა და სინგაპურის რესპუბლიკაში. ორკესტრს დირიჟორობდა ვახტანგ მაჭავარიანი.

ამ პერიოდში უკვე საბოლოოდ ყალიბდება გიორგი ბაბუაძის მუსიკალური მოღვაწეობის ის ორმაგი სახე, რომლითაც იგი, როგორც მევიოლინე და როგორც დირიჟორი, უწყვეტად არის ჩართული საკონცერტო ცხოვრებაში. მოგვიანებით მას დაემატა პედაგოგიური დატვირთვა და ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

1989-93 წლებში იგი სათავეში უდგას საქართველოს მუსიკალური საზოგადოების გამრუდ ორკესტრს – როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. ამ კოლექტივთან ერთად აწყობს საგასტროლო ტურნეს საფრანგეთსა (1991წ) და გერმანიაში (1993წ). პარალელურად ამავე საზოგადოების ხემიან საკრავთა კვარტეტში უკრავს – შემდეგი შემადგენლობით: გიორგი ბაბუაძე – I ვ-ნო, სერგო ლაზარევი – II ვ-ნო, ზაზა თორაძე – ალტი, გიორგი ხელოშვილი – ვიოლონჩელო.

ამ ორივე კოლექტივის საკონცერტო რეპერტუარი ჩანერილი იქნა CD დისკზე.

1993-96 წლებში იგი კვლავ საზღვარგარეთაა. საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ზემოდსენებული კვარტეტი მონაწილეობას იღებს იტალიის ქ. კრემონაში ჩატარებულ ხემიან საკრავთა საერთაშორისო კონკურსში.

არ გადავაცარებ თუ ვიტყვი, რომ ამ ქალაქში ჩასვლა და ვიოლინოს აქტერება – მსოფლიოს ნებისმიერი მევიოლინეს ოცნებაა, რადგან კრემონა ხომ ის ქალაქია, სადაც XVII-XVIII საუკუნეებში მოღვაწეობდა და ქმნიდა უბადლო სილამაზისა და ტემბრის მქონე ვიოლინოებსა და სხვა ხემიან საკრავებს გენიალური

ოსტატი ანტონიო სტრადივარი – სტრადივარიუსი (1644-1737).

ამ კონკურსზე ქართველი მუსიკოსები დააჯილდოვეს საპატიო დიპლომებით. 1994-96 წლებში გიორგი



პაპაგოპთან, დირიჟორ ოფისში დიმიტრიასთან ერთად. თბილისი. 2002

ბაბუაძე მუშაობს ქ. მილანის გამრუდ ორკესტრში.

ერთერთი კოლევისაგან ბ-ნი გოგი ეცნობა ერთომ ყურადსაღებ ინფორმაციას, სადაც ნათქვამია, რომ იაპონიის ქ. ოსაკას სიმფონიური ორკესტრი (*Osaka Symphoniker*), რომლის მთავარი დირიჟორი ცნობილი გერმანელი მესტრო თომას ზანდერლინგი ყოფილა, აცხადებს კონკურსს ორკესტრის კონცერტმასტერის ვაკანტურ ადგილზე. ქართველი მევიოლინე იღებს გადაწყვეტილებას, რომ გაგზავნოს თავისი საშემსრულებლო CD და DVD ჩანაწერები აღნიშნულ მისამართზე და გარკვეული დროის შემდეგ იგი ღებულობს მეტად სასიხარულო დადებით პასუხს.

ამრიგად, 1996 წლიდან ამ ნიჭიერი მუსიკოსის ცხოვრებაში დაიწყო მისი მოღვაწეობის ის ახალი პერიოდი, რომელშიაც მის, როგორც მევიოლინესა და დირიჟორის ოსტატობასა და გამოცდილებას წინ გა-

დაეშალა ფართო შემოქმედებითი ასპარეზი, რადგანაც ქართველმა ხელოვანმა კარგად იცოდა ის მთავარი თვისება, რომელსაც შრომისმოყვარეობა ჰქვია.

„ამომავალი მზის ქვეყანაში“ მცხოვრებმა მუსიკოსთა გარკვეულმა ნაწილმა როდესაც ნათლად დაინახა, რომ ქართველი კაცი მათთან ჩავიდა უპირველესყოვლისა თავის სამშობლოში შექნილი აკადემიური გამოცდილების – ვიოლინოზე დაკვრის, საანსამბლო მუსიკის შესრულების, სადირიჟორო და პედაგოგიური მუშაობის – მათთვის გასაზიარებლად, მათაც გაორმაგებული შრომისმოყვარეობით უპასუხეს.

1996 წელს გ. ბაბუაძე ჩადის ქ. ოსაკაში და იწყებს მუშაობას კონცერტმაისტერად ოსაკას სიმფონიურ ორკესტრ – „Osaka Symphoniker“-ში, რომლის მთავარი დირიჟორი იმ წლებში – თომას ბანდერლინგია, ხოლო მეორე დირიჟორად მუშაობს – ტეცუჯი ჰონა. ოდნავ მოგვიანებით – 1997 წლის ივლისის თვეში იმავე ქალაქში, დიდი ავსტრიელი კომპოზიტორის ფ. შუბერტის დაბადებიდან 200 წლის აღსანიშნავად გამართულ საიუბილეო კონცერტზე, ბ-ნი გოგი – პირველად იაპონელი მსმენელის წინაშე, წარსდგა როგორც სოლისტი-მევიოლინე, შემოადინიშნული ორკესტრის თანხლებით. კონცერტი გაიმართა ოსაკას ცნობილ საკონცერტო დარბაზ – „Izumi Hall“-ში. პროგრამაში იყო კომპოზიტორის 5 ნაწარმოები: 1. პოლონები *B-dur*, 2. „კონცერტო-სიმფონია“, 3. სამხედრო მარში, 4. „დაუმთავრებელი სიმფონია“ და 5. ოთხ ნაწ. სიმფონიური სიუიტი „Rosamunde“.

2001 წლიდან გ. ბაბუაძე იწყებს მუშაობას ოსაკას სხვა სიმფონიურ ორკესტრ – „The Kansai Philharmonic Orchestra“-ში როგორც კონცერტმაისტერი ამავე დროს მას პერიოდულად იწვევენ ამ კოლექტივთან სადირიჟოროდ.

უნდა აღინიშნოს 2003 წელს „Symphony Hall“-ში მისი დირიჟორობით გამართული ერთერთი კონცერტი, სადაც ა. დგორჟაკის სხვადასხვა ნაწარმოებთან ერთად წარმატებით შესრულდა კომპოზიტორის ცნობილი IX სიმფონია – „ახალი სამყაროდან“ და მისივე ერთობ პოპულარული სავიოლონჩელო კონცერტი, რომელიც ააუღერა გიორგი ხეოშვილმა.

აქ მიიღო დროებით გადავუხვიო მუსიკის თემას და ქართველი ხელოვანის – „ამომავალი მზის ქვეყანაში“-წარმოქნილ ერთერთ პრობლემას შევხვო.

უნდა ითქვას, რომ სულ პირველად ჩასულ ბ-ნი გოგის, რომელმაც დიდი ენთუზიაზმით დაიწყო მუშაობა იაპონელ მუსიკოსებთან – თავდაპირველად მხოლოდ ერთი მთავარი საფიქრალი ჰქონდა – იაპონური ენის არცოდნა.

კოლეგებთან ურთიერთობა ინგლისური მეტყველებით დაიწყო, მაგრამ თანდათანობით ორკესტრანტებმა მას დელიკატურად აგრძობინეს, რომ მშობლიურ ენას ისინი უფრო მაღლა აყენებდნენ და შემდგომში ბ-მა გოგიმაც ამ უაღრესად პატრიოტი ხალხის (სამაგალითო თვისება!!!) ენაც შესანიშნავად შეისწავლა.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ბ-ნი გოგი სიმფონიურ მუსიკასთან ერთად არ ივწყობს კამერული ჟანრის ნაწარმოებების შესრულებას, სადაც ის აქტიურად გამოდის როგორც სოლისტი – მევიოლინე. ამის ნათელი დასტურია 2003-სა და 2007 წლებში – ჰიანისტ იასუკო უკონთან ერთად გამართული კონცერტები. ასევე 2011 და 2012 წლებში ჰიანისტ მუკუმი მურატას თანხლებით ჩატარებული კონცერტები. ხოლო გამოსვლებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 2010 წლის მარტის თვეში ტოკიოსა და ოსაკაში გამართული კონცერტი – ჰიანისტ იასუკო ტასუმისთან ერთად, სადაც დ. შოსტაკოვიჩის თხზულებების გვერდით, პროგრამაში შეტანილი იყო ქართველი კომპოზიტორების – ო. თაქთაქიშვილის, ს. ცინცაძისა და ვ. აზარაშვილის ნაწარმოებები.

სამაყაა ის ფაქტი, რომ შორეულ იაპონიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსი ცდილობს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში – ფართო აუდიტორიას გააცნოს თავისი სამშობლოს ისტორიული და დღევანდელი სახე. ამ მიზნით ბ-ნი გოგის ინიციატივით 1998 წელს დაარსდა ხემიან საკრავთა კვარტეტი „თბილისი“ – შემდეგი შემადგენლობით: I ვ-ნო – გ. ბაბუაძე, II ვ-ნო – ჩ. მარინესკუ, ალტი – ზ. გოგუა, ჩელო – გ. ხეოშვილი. 2012 წელს ბ-ნი გოგის ახლო მეგობარ, შე-

სანიშნავ ვილონჩელისტ გიორგი ხეოშვილის ტრავიკულად გარდაცვალების გამო (იგი მძიმე სენისაგან გარდაიცვალა) – ჩელოს პარტიას შენაცვლებით ასრულებდა ორი იაპონელი მუსიკოსი – იუტაკა ჰაიაში და ვატარუ მუკაი. ეს კვარტეტი კონცერტებს მართავდა ცნობილ საკონცერტო დარბაზ „Fenix Hall“-ში. ამ კოლექტივის საკონცერტო პროგრამაშიც სისტემატურად იყო შეტანილი ქართველ ავტორთა საკვარტეტო ნაწარმოებები, კერძოდ – 2006 წლის 1 თებერვლის კონცერტის პროგრამა ასე გამოიყურებოდა: ს. ცინცაძე – 4 საკვარტეტო მინიატიურა; ნ. ვანაძე – კვარტეტი №1; ი. ბარდანაშვილი – საფ-ნო ტრიო; ს. ნასიძე – კვარტეტი №3, „ეპიტაფია“; ზ. ნადარეიშვილი – საფ-ნო კვინტეტი; ვ. აზარაშვილი – „ნოქტიურნი“. ფ-ნოს პარტიას ასრულებდა იასუკო ტასუმი.

2007 წლის 5 მარტსაც ჩაატარეს კონცერტი – პროგრამით: დ. შოსტაკოვიჩი – კვარტეტი №11; ა. ბოროდინი „ნოქტიურნი“ №2 კვარტეტიდან; ს. ცინცაძე – 9 საკვარტეტო მინიატიურა; გ. ყანჩელი – კვარტეტი „ღამის მლოცველები“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. ბაბუაძის სადირიჟორო მოღვაწეობა ქ. ოსაკას კიდეც ერთ, მესამე სიმფონიურ ორკესტრ – „Kansai City Philharmonic Orchestra“-ში, რომელთან ერთად ბ-ნმა გოგიმ 2005 წლიდან მოყოლებული გამართა არაერთი კონცერტი ცნობილ „Symphony hall“-ში და უდირიჟორა მსოფლიო მუსიკის სიმფონიური ჟანრის ისეთ შედეგებს როგორებიცაა: გ. მალერის №2, №3 სიმფონია, ი. ბრამსის №1 და №4 სიმფონიები, ფ. შუბერტის №9 და ფ. მენდელსონის №3 „შოტლანდიური“ სიმფონიები, დ. შოსტაკოვიჩის სიმფონია №10 და რ. შტრაუსის სიუიტა ოპერებიდან „ვარდების კავალერი“, ც. ფრანკის *d-moll* სიმფონია და ჰ. ბერლიოზის უვერტიურა „რომის კარნავალი“, რ. ვაგნერის ოპ. „ტანჰოიზერი“-ს უვერტიურა, პ. ჩაიკოვსკის უვერტიურა – ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა“ და მრავალი სხვ.

2004 წელს მონაწილეობას იღებს საქართველოში გამართულ ბორჯომის საერთაშორისო მუსიკალურ ფერტივალში, სადაც უდირიჟორა საქართველოს

ეროვნულ კამერულ ორკესტრს. იმავე წელს იმ ორკესტრთან ერთად წარმატებით გამოდის გერმანიაში. მას სისტემატურად ინვევენ დირიჟორად თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

2011 წელს მონაწილეობს რუმინეთში გამართულ



კონსერტის შემდეგ. ჩიგუაკო ჰიდა, გიორგი ბაბუაძე, იური ბაბუაძე, შინაკო ჰაიში. იაპონია. ოსაკა. (SYMPHONY HALL). 2005.

საერთაშორისო ფესტივალ „Oradae Spring Festival“-ში, როგორც მევიოლინე და დირიჟორი.

2002 წლიდან ბ-ნი გოგი ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ქ. კიოტოს ხელოვნების უნივერსიტეტში ვიოლინოს სპეციალობით და მრავალი ნიჭიერი მოსწავლე აღზარდა. ერთერთი მისი სტუდენტი ვაჟი – კეიტა ჰორიე, 2014 წლის აპრილის თვეში თბილისშიც იმყოფებოდა, სადაც მან აქ გამართულ კამერული მუსიკის კონცერტის გარდა მონაწილეობა მიიღო თბილისის სახ. კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ სიმფონიური მუსიკის კონცერტში, რომელზეც შეასრულა სავიოლინო მუსიკის ერთერთი ბრწყინვალე ნიმუში ი. ბრამსის სავიოლინო კონცერტი.

2011 წლიდან ბ-ნი გოგის პერიოდულად ინვევენ ასევე ოსაკას კამერულ ორკესტრ „Harmonia“-ში. მისი

დირიჟორობით ორკესტრმა სხვადასხვა დროს შესრულა ამა თუ იმ კომპოზიტორის, მათ შორის ქართველი ავტორების (ს. ცინცაძე, რ. ქარუხნიშვილი) არაერთი ნაწარმოები, ასევე პ. ჩაიკოვსკის „სერენადა“, ბეთჰოვენის №7 სიმფონია (ორკესტრის გაფართოებული შემადგენლობით), ვ. ა. მოცარტის №№22, 23, 26 სიმფონიები, ფ. მენდელსონის ყრმობის პერიოდში შექმნილი №9 სიმფონია „შვეიცარიული“ და სხვები.

ქ. ოსაკას „Kansai Philharmonic Orchestra“-ს მიერ ჩატარებული ერთერთი კონცერტის DVD ჩანაწერი, რომელიც სიამოვნებით შემომთავაზეს აქ თბილისში – გიორგი ბაბუაძის ახლობლებმა. კონცერტის დასასრულს ვერ დავფარე ჩემი გულწრფელი გაოცება აღნიშნული ღონისძიების უჩვეულო ფორმის გამო.

ჯერ იყო და კონცერტის დასაწყისში, მსმენელების წინაშე საკმაოდ ვრცელი განმარტებითი ხასიათის მოხსენებით გამოვიდა კონცერტის კონფერანსიე, რომელიც მსმენელს მოუთხრობდა ყველაფერს შესასრულებელი ნაწარმოების, მისი შექმნის, მისი პირველი შესრულებისა და მისი ავტორის შესახებ, მაგრამ უფრო განსაკვივრებელი ის აღმოჩნდა, რომ კოფერენსიეს მოხსენების დამთავრებისთანავე – თვით დარბაზიდან დაისვა ამა თუ იმ მსმენელის მიერ უაღრესად დელიკატური ფორმით წარმოთქმული მათთვის საინტერესო სხვადასხვა კითხვა, რომელსაც სიამოვნებით პასუხობდა მომხსენებელი. როდესაც ერთ-ერთ კითხვაზე კონფერენსიემ პასუხი ვერ გასცა, მაშინ მან ზრდილობიანად მოიხმო სკენაზე დირიჟორი – ამ შემთხვევაში ბ-ნი გიორგი ბაბუაძე, რომელმაც იაპონურად საჩქაროდ გასცა პასუხი დასმულ კითხვას.

დაბოლოს, ყველაზე განსაკვივრებელი ის ფაქტი აღმოჩნდა, რომ მთელი ეს კითხვა-პასუხის პროცესი მიმდინარეობდა უაღრესად მშვიდად სანიმუშო სიწყნარეში.

შემდეგ დაიწყო ნაწარმოების შესრულება, რომელსაც ასევე ყურადღებით უსმენდა მთელი დარბაზი. როგორც შემდგომში დავინახე, იგივე პროცესი მეორედებოდა ყოველი ახალი ნაწარმოების შესრულების დაწყებამდე.

უნებლიეთ გამახსენდა დაუვიწყარი დიდი ქართველი დირიჟორი – *Maestro* ბ-ნი ჯანსუღ კახიძე, რომელიც XX საუკუნის 70-იან წლებში, ერთი პერიოდი ატარებდა ასეთივე ფორმის ყველა წლოვანების ბავშვებისათვის და არამარტო მათთვის, უაღრესად საჭირო ლექცია-კონცერტებს – ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. მაშინ აქ ღონისძიებების სატელევიზიო ტრანსლაცია ვრცელდებოდა მთელს საქართველოში და იგი უეჭველად ზრდიდა ნებისმიერი მსმენელის თვალსაწიერსა და ინტელექტს!

იქ კი, შორეულ იაპონიაში მცხოვრებმა კლასიკური, თანამედროვე და სხვა ხალხის მუსიკის გაცნობით დაინტერესებულმა რიგითმა მსმენელმა გულწრფელი ცნობისმოყვარეობით გაიცნო ქართული სიმფონიური თუ კამერული მუსიკის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში და ჯეროვნად შეიყვარა იგი ნიჭიერი ქართველი მევიოლინესა და დირიჟორის მეშვეობით. ასეთია იაპონელი მსმენელი, ასეთია იაპონელი ხალხი, რომელმაც XX საუკუნის შუა პერიოდში – პირველმა იგემა ბირთვული იარაღის ჯოჯოხეთური ძალა და მას შემდეგაც ბუნება მათ დღემდე უტარებს ამა თუ იმ გამოცდას, რომლისგანაც ეს უაღრესად მშრომელი, ნიჭიერი და მედგარი ხალხი მუდამ პოულობს გამოსავალს თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ამ სტრიქონების ავტორი გულწრფელად აღიარებს, რომ იგი ბედნიერია – XXI საუკუნის დასაწყისის პერიოდში რომ ცხოვრობს. დღეს მსოფლიოში ხომ მრავალი უარყოფითი მოვლენის გარდა, შიგადაშიგ ესოდენ სიკეთით აღსავსე შთამბეჭდავი ფაქტების მონმეებიც ვხდებით. ცნობილია, რომ თანამედროვე მეცნიერების ამა თუ იმ სფეროს ფანტასტიკური განვითარების შედეგად, კაცობრიობამ გადალახა დროისა და სივრცის მომენტალური აღქმის ფენომენი.

დღეს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ვიდეოაპარატზე, 12 სმ-ს დიამეტრიც მსუბუქი შენაღობის მასალებისაგან დამზადებულ თხელ DVD დისკზე – ლაზერული სხივების მეშვეობით აღბეჭდოს მისთვის სასურველი კონცერტის გადაღება – მისი ნებისმიერი

ხანგრძლიობის მიუხედავად.

იგივე ოპერაცია შეიძლება გაკეთდეს – კოსმიური თანამგზავრის ხელშეწყობით, შორეული ქვეყნიდან პირდაპირი ტელე თუ რადიო ტრანსლაციის დროსაც.

სწორედ იაპონია გახლავთ მსოფლიოში ასეთი ვიდეო-აპარატურის წარმოების ერთერთი მონინავე ლიდერი და როდესაც ამ სტრიქონების ავტორისათვის ცნობილი გახდა ის, რომ ბ-ნ გოვის თითქმის ყველა საკონცერტო გამოსვლა, როგორც მევიოლინესა თუ დირიჟორის, აღბეჭდილია DVD და CD დისკებზე და რომელსაც იგი სისტემატურად აგზავნის სამშობლოში, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან მე საშუალება მომეცა – ამ დისკების მეშვეობით, კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავი ჩვენი დროის შესანიშნავი ქართველი მუსიკოსისა და დირიჟორის წარმატებაში, რომელსაც იგი ღირსეულად იმკის „ამომავალი მზის ქვეყანაში“.

DVD-ზე აღბეჭდილ მისი, როგორც მევიოლინეს გამოსვლაში თავდაპირველად მკაფიოდ ჩანს ნაწარმოების შესრულების აკადემიურობა, ეს იქნება მისი სოლო გამოსვლა ფ-ნოსთან ერთად თუ საანსამბლო ნაწარმოების შესრულება.

დირიჟორის ამპლუაში ორკესტრის იგი უძღვება იმ დიდი მონინიებითა და პარტიტურის ღრმა ცოდნით, რომელსაც იმსახურებს ამა თუ იმ ავტორის ქმნილება.

არ შემიძლია არ აღვნიშნო თვით ორკესტრის მუსიკოსთა სახეებზე აღბეჭდილი მზერა დირიჟორის მიმართ, რომელშიც ნათლად იგრძნობა მუსიკოს-ორკესტრანტის დიდი პასუხისმგებლობა ნაწარმოების შესრულებისადმი. ეს დამაჯერებლად გამოჩნდა მისი დირიჟორობით შესრულებულ სხვადასხვა ავტორის – ლ. ვან ბეთოვენის, ნ. რიმსკი-კორსაკოვის, რ. შტრაუსისა და თუ სხვათა პარტიტურების აქტორების დროს, თუმცა მე მაინც გამოვყოფდი გ. მალერის №2 სიმფონიის ფინალის მოახლოების პერიოდს, როდესაც ორკესტრს უერთდება მომღერალთა საგუნდო კაპელა და ნაწარმოები საოცარი აღმადრენით მთავრდება.

აქვე გაცნობებთ კიდევ ერთ სასიამოვნო ფაქტს, ბ-ნი გოგი, როგორც მევიოლინე თავის მრავალრიცხო-

ვან საკონცერტო გამოსვლებში, სისტემატურად უკრავს გამოჩენილ ქართველ ვიოლინოების ოსტატ ლევან ცინცაძის მიერ დამზადებულ ვიოლინოზე. ამ ქართველ ოსტატს დამთავრებული აქვს – იტალიის ქალაქ კრემონაში არსებული გენიალურ ანტონიო სტრადივარის სახ. სიმებიანი საკრავების დამამზადებელ ოსტატთა ცნობილი სასწავლებლის სრული კურ-



გეთოჟოვენის IX სიმფონიის შესრულების შედეგად. მარცხნიდან: გიორგი ბაბუაძე, დირიჟორი სოფას ზანდარლინი და სოლისტები (SUBARU HALL), 1997.

სი. მისი ნამუშევრები შესულია იტალიასა და ინგლისში გამოცემულ აღიარებულ ოსტატთა საერთაშორისო კატალოგებში. საქართველოს გარდა ისინი ჟღერენ მსოფლიო მასშტაბის სხვადასხვა ქვეყნის მონინავე სიმფონიურ ორკესტრებში.

დასასრულს, ამ სტატიაში თქვენმა მონა-მორჩილმა შევეცადე მოკლედ გამეშუქებინა იმ შესანიშნავი ქართველი მუსიკოსისა და ხელოვანის თავდაუზოგავი მუშაობის ესა თუ ის ეპიზოდი, რომელსაც იგი უფრო მონდომებით გამოამყვანებდა თავის სამშობლოში, თუმცა დღეს საქართველოსა და ქართველებს – უპირველეს ყოვლისა, თვითგადარჩენის უმძაფრესი საკითხი აქვთ მოსაგვარებელი, რომელსაც ისინი აუცილებლად მოაგვარებენ – გიორგი ბაბუაძის და მისი დარი პიროვნებების მეშვეობით!

# ნათელი სხივი წარსულისა


## პორტრეტული ჩანახატი

ლალი კაკულია

უჩვეულო გარეგნობა ჰქონდა, არასტანდარტული, არტისტული! თეთრ, ოდნავ ჭორფლიან სახეს ხშირი წითური თმა უმშვენებდა. ღიმილის დროს ჭროღა-მომწვანო თვალები კეთილად უციმციმებდა და ჟღერდა უღვაშის მობრძლი ბუჩქის ქვემოდან, ჯანმრთელი, მწყობრი კბილები მოუჩანდა. ასე იყო ჩემი ხედვით და ახლაც ასეთად წარმომიდგება ხოლმე თვალწინ ჩვენი ძვირფასი კოლეგა, შესანიშნავი პიროვნება და კომპოზიტორი ვახტანგ ჭულუხაძე.

ვახტანგ ჭულუხაძე 1945 წელს დაიბადა. 1974 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია კომპოზიციის განხრით. 1976 წლიდან იყო სსრკ კომპოზიტორთა კავშირის წევრი, ხოლო 1979-1984 წლებში – საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი. 1985 წლის აპრილში, ისე, რომ ჯერ 40 წელიც არ შესრულებოდა (ეს თარიღი 30 აპრილს უნდა დამდგარიყო), იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. ნაჟიდა, გამოაკლდა ქართველი კომპოზიტორების რიგებს და დაგვიტოვა გულსტიკივილი, სევდა, ნაღველი. კომპოზიტორს არ დასცალდა თავისი შესაძლებლობების სრული გამოვლენა, ვერ გამალა ძალუმად შემოქმედებითი ფრთები. და მაინც, იმ თხზულებებიდან, რომელთა შექმნაც მან მოასწრო, გამოსჭვივის ადამიანის ისეთი კეთილშობილური სულიერი თვისებები, როგორცაა სიყვარულის ნიჭი, სილამაზის დანახვის უნარი, უბრალოება, თავმდავობობა, სამყაროს ნათელი შეგრძნება, იუმორის გრძნობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მის მცირერიცხოვან შემოქმედებით მემკვიდრეობაში გამოხატულება ჰპოვა ყოველივე საუკეთესო, რაც ადამიანს ღვთისგან ეძლევა და რითაც უხვად იყო დაჯილდოებული თავად ავტორი.

უემპაკო, უბოროტო, გულღია და უმურველი – ვახტანგ ჭულუხაძე ერთნაირი სიყვარულით უყვარდათ



ვახტანგ ჭულუხაძე

თანატოლებსაც და უფროს კოლეგებსაც. ვახტანგი იყო ბუნების ლალი შვილი, შეუბოძავი და თვითმყოფადი, საოცრად თბილი, გულწრფელი და უშუალო ადამიანი. მისი ნატურის ეს მხარეები უპირველეს ყოვლისა მისი მუსიკის ნატიფ ლირიზმსა და ფაქიზ იუმორშია ასახული.

ძალიან უყვარდა ვახტანგს პოეზია, განსაკუთრებით ქართული ხალხური პოეზია, ქართველი პოეტებიდან კი – ვაჟა ფშაველა და გიორგი ლეონიძე. უამრავი ლექსი იცოდა ზეპირად; სულმოუთქმელად შეეძლო მათი კითხვა, და ისეთი გავებით, ისეთი წვდომით კითხულობდა საყვარელ ლექსებს, რომ ჩვენ, მისი მეგობრები სულგანბუნები, მოჯადოებულნი ვუსმენდით. თვითონაც წერდა... ზოგჯერ თავის იუმორისტულ ლექსებს გვიკითხავ-



და, რომელთაც მხიარული, „ფუნაგორიული“ ელფერი დაჰკრავდათ და გულიანად გვაყვებოდა.

ვახტანგი მუსიკაში ქართული ფოლკლორიდან მოვიდა, რომელსაც ბავშვობიდან ეზიარა. ქართული ხალხური სიმღერებისა და ინსტრუმენტული მუსიკის ტრადიციებზე აღზრდილი კომპოზიტორი ამ ეროვნული განძის ჭეშმარიტი მოტრფიალე გახლდათ და დიდი რუდუნებითაც ექცეოდა მას. თავად ბრწყინვალედ უკრავდა სა-

დუალობით აღბეჭდილ ავტორთა ძლიერმა გუნდმა. ამ ინდივიდებს სამი რამ აერთიანებდა: ნიჭიერება, ასაკი და დაუოკებელი სწრაფვა სიახლისა და თანამედროვე სააზროვნო პროცესებისაკენ, რაც 60-იანი წლებიდან მძლავრ ნაკადად მოედინებოდა ევროპიდან საბჭოთა ქვეყნებში. 70-იანელები ახალი ტექნოლოგიების ეროვნულ ნიადაგზე გადმონერგვისაკენ, საკუთარი შემოქმედებითი ინტერესებისადმი დაქვემდებარებისა და თავისი



საავსორო კონცერტი

ლამურზე, ფანდურზე, იყო ქართული ხალხური მუსიკის არაერთი ოლიმპიადისა და დათვალიერების მონაწილე და გამარჯვებული. გასაოცარი იყო მისი სიმღერაც. ხალხური სიმღერის მადლს უცნაურად გრძნობდა. მის შესრულებას ყოველთვის განსაკუთრებული გემო დაჰკრავდა; ძარღვიანად, გულიანად, დახვეწილი გემოვნებით მღეროდა. საერთოდ, ყველაფერს, რასაც ვახტანგი ხელს მოჰკიდებდა, მთელი გულითა და სულით, თავდავინყებითა და გატაცებით აკეთებდა.

ვახტანგ ჭულუხაძე ქართველი კომპოზიტორების 70-იანელთა თაობას მიეკუთვნება, რომელმაც მუსიკალურ ჰორიზონტზე გამოჩენისთანავე მიიქცია ყურადღება, როგორც მკაფიო შემოქმედებითი ინდივი-

ხელწერისა და შემოქმედებითი სტილის ჩამოყალიბებისათვის იღვწოდნენ და ამ გზაზე პირველ წარმატებულ ნაბიჯებს დგამდნენ.

იგივე გზას ადგა ვახტანგიც, მაგრამ ვარკვეული კორექტივით. ენის განახლებას ისიც ცდილობდა, მაგრამ საკუთარ თავს არ ღალატობდა, ღვთით ბოძებულ მელოდირ ნიჭს არ უარყოფდა, სიახლეები დინჯად, სიფრთხილით შემოჰქონდა და თავისი შემოქმედებითი ინტერესების ორგანულ ნაწილად აქცევდა. სწორედ ამ გამორჩეული მელოდირი ნიჭის წყალობით, მან თავისი თაობის კომპოზიტორებს შორის იმთავითვე დაიკავა განსაკუთრებული ნიშა, ნიშა მელოდისტი კომპოზიტორისა.

იმხანად, გასული საუკუნის 70-იან წლებში ეს არ



ვახტანგ ჭულუხაძე მელოდისტან ვიოლასთან და ქალივილიტან, ქათევანთან ერთად. ზოგორიის კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლი. 1984.

ითვლებოდა მოდურ ტენდენციად. მუსიკალური ელიტა ამელოდიურ, მძაფრ, მჭახე ხმოვანებებს, სამეტყველო ინტონაციებსა და სხვა ამგვარ სტილურ მახასიათებლებს ანიჭებდა უპირატესობას. მელოდირობა მხოლოდ რეზო ლაღიძეს თუ „ეპატიებოდა“, უკვე ჩამოქნილ — გამოქრნილ ხელოვანს. მღერადი ფართო სუნთქვის ჰანგები ერთგვარ ანაქრონიზმად, არქაიზმად, ხან კი, არცთუ მაღალი მუსიკალური ინტელექტის ნიშნად აღიქმებოდა. ასეთი იყო იმდროინდელი მოდა. არადა, ვახტანგი თავისი მელოდირი ნიჭით რეზოს ჩამოჰკავდა, მის მემკვიდრესავით გამოიყურებოდა. ზოგიერთ კოლეგას ეს ერთგვარ კითხვებს უჩენდა. თუმც, კომპოზიტორმა, ჯერ თითქმის ყმანვილმა, სწორედ მელოდირი ნიჭის წყალობით მოიპოვა პირველი გამარჯვებები. მხედველობაში მავს

ვახტანგ ჭულუხაძის მიერ კონსერვატორიაში შექმნილი სიმღერები, რომელთაც პირველი აღიარება მოუტანეს ავტორს და რომელთა რეპერტუარში შეტანასაც არ თავილოდნენ უკვე სახელმძღვანელო მომღერლები. სწორედ მათ განსაზღვრეს ვახტანგ ჭულუხაძის მომავალი, რამაც იგი კომპოზიციის დასაუფლებლად თბილისის კონსერვატორიაში მიიყვანა.

მერე იყო კონსერვატორიაში წვრთნის წლები. ბევრს ისმენდა, უკრავდა, ეცნობოდა, თხზავდა. კოლეგების შემოქმედებითი ლაბორატორიითაც ცხოვლად ინტერესდებოდა, მათ საუბრებსაც გულდასმით უსმენდა. შემდეგ ყოველივე ამას თავისი სულის პრიზმაში ატარებდა, ვონებაში ხარშავდა, საკუთარ განცდებს უხამებდა და ინდივიდუალური ხელწერის შესაქმნელ საძირკველს აგებდა.

ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორი — შალვა მშველიძე იყო მისი მასწავლებელი; მისი ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ვახტანგი კომპოზიციას. ის იყო მშველიძის პირველი და ერთადერთი მოწაფე კომპოზიციის. მათ შორის ვაგების, პატივისცემისა და სიყვარულის ადმონფერო სუფევდა. ხალხური მუსიკის სიღრმისეული, პრაქტიკული ცოდნა და „მთის არწივის“ — ვაჟას პოეზიით გატაცებაც აახლოებდათ. ვახტანგ ჭულუხაძის არქივს შემორჩა შალვა მშველიძის ფოტოსურათი გულისხმიერი წარწერით: „ძვირფას ვახტანგს“. წარწერა 1969 წლის 24 ნოემბრითაა დათარიღებული. ვახტანგი მაშინ მეორე კურსზე სწავლობდა. შალვა მშველიძე გახდა მისი არა მარტო მასწავლებელი კონსერვატორიაში, არამედ ნამდვილი მეგობარი, სულიერი და შემოქმედებითი მეგობარი, ჭეშმარიტი აღმზრდელი.

კონსერვატორიაში სწავლის წლებში ვახტანგ ჭულუხაძის რამდენიმე კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოები შეიქმნა. მათ შორის აღსანიშნავია საფორტეპიანო ჰიესების ციკლი, რომელიც 1963 წელს დაიწერა და იმავე წელს აჟღერდა როგორც თბილისში, კონსერვატორიის მცირე დარბაზში, ასევე სტუდენტი კომპოზიტორების საანგარიშო კონცერტზე მოსკოვში. მისი პირველი შემსრულებელი იყო კომპოზიტორის ახლო მეგობარი, პიანისტი თამაზ ბუაძე. წარმატება დაიმსახურა ვახტანგის სიმებიანი ორკესტრისათვის შექმნილმა დივერტისმენტმაც, რომელიც 1972 წელს შესრულდა საქართველოს

კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის სტუდენტურ კონკერტზე.

ზიესებს სხვა ინსტრუმენტებისთვისაც ქმნიდა: ვიოლინოს, ფლეიტის, ჩელოსათვის. მათგან განსაკუთრებულ სიმპათიას იმსახურებს არია ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის (1971). ეს სევედიანი, ლირიკული ხასიათის პიესა მხატვრული შინაარსით ელეგიას უახლოვდება. ნაწარმოები დღესაც გვხიბლავს განცდის უშუალოებით. მისი პირველი შემსრულებლები იყვნენ კომპოზიტორის თანაკურსელები: რევაზ მანაბელი (ჩელო) და თამაზ ბუაძე.

სწავლების წლები ინტრუმენტული მუსიკის ურთულესი ჟანრის – სიმფონიის დასრულებით დასრულდა (1974). ორი წლის შემდეგ, როდესაც ვახტანგი უკვე იყო სსრკ კომპოზიტორთა კავშირის წევრი, სიმფონია საქართველოს სახელმწიფო ტელე-რადიოს ორკესტრმა შეასრულა სპარტაკ კორკოტაშვილის ხელმძღვანელობით.

ინტენსიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა კომპოზიტორი კონსერვატორიის დამთავრების შემდეგაც. აი, როგორ იგონებს ამ დროს კომპოზიტორი სულხან ნასიძე – საქართველოს სახალხო არტისტი და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი: „იმხანად, როდესაც ვახტანგის თაობა კონსერვატორიაში სწავლობდა, მე საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი ვიყავი და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში ახალგაზრდულ სექციას ხელმძღვანელობდი. ამგვარად, 70-იანი წლების ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების შემოქმედება, კონსერვატორიაშიც და მისი დამთავრების შემდეგაც, ჩემს თვალწინ წარიმართა. ვახტანგ ჭულუხაძესთან კონტაქტები მქონდა ფილარმონიაშიც, სადაც იგი ჯერ ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელად და მთავარ დირიჟორად (1975-1982), ხოლო შემდეგ კი ფოლკლორული კოლექტივების მთავარ დირიჟორად (1982-1983) მუშაობდა. დატვირთული სამსახურობრივი გრაფიკი მის საკომპოზიტორო მოღვაწეობას არ აფერხებდა“.

მართლაც, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ვახტანგი არა მარტო ქმნის ახალ თხზულებებს, არამედ, მისი შემოქმედების ჟანრული საზღვრებიც ფართოვდება. იქმნება: სიმფონიური ცკვა „ალვანური“ (1977), ახალგაზრდული სიკისკასით, სიცოცხლის სიხარულით, სილა-

ღითა და უზურუნველობით სავსე თხზულება, რაც კომპოზიტორის ოპტიმისტურ მსოფლალქმაზე მიგვანიშნებს; აგრეთვე, სიმფონიური პოემა „ნია-გრუნისკაია“ (1978),



აკაპელა გუნდი „მთელ ქვეყანაში რეკავენ“ (1976), საორკესტრო უვერტიურა (1984), რომელიც 1985 წლის მაისში ავტორის გარდაცვალების შემდეგ აუღერდა; სიმღერა „დედა თბილისო“ (1982), საფორტეპიანო ციკლები, რომანსები, და მისი უდავო მიღწევა, ვოკალური ციკლი ტენორისა და ფორტეპიანოსათვის ხალხურ ლექსებზე (1975). ამ ნაწარმოებებიდან გამოსტყვივის სამყაროს მთლიანი, ჰარმონიული ალქმა, რისი მიზნაც თვით კომპოზიტორის პიროვნების ჰარმონიულობაშია. მათ უმრავლესობაში ავტორი ინარჩუნებს თავისთავადობას, არ პოზირობს, არ ცრუობს, ყველგან სადა, ემოციური და გულწრფელია. ამის გამოა, რომ მისი მუსიკა იოლად აღწევს მსმენელთა გულამდე. უფრო მეტიც, თავისი შემოქმედების საუკეთესო ნაწილში იგი არამარტო ინარჩუნებს ინდივიდუალობას და ბუნებრიობას, არამედ სიხალის ნიუნსსაც სძენს მუსიკას. ეს განსაკუთრებით იქმნის იმ თხზულებებზე, სადაც კომპოზიტორი ლირიკულ განცდებს გადმოგვცემს. დიახ, ჭულუხაძის შემოქმედების ნამყვანი სფერო ლირიკაა, ლირიკა – ელეგიური, პასტორალური, ჟანრულ-იუმორისტული, სატრფიალო, ამაღლებული... ლირიკულ სპექტრში გადმოგვცემს ავტორი თავის სატკივარს, განცდილს, ბუნებას, რომელიც საოცრად უყვარდა და საოცრად ხედავდა. მარტო გოგლა ლეონიდის ლექსზე შექმნილი რომანსი – „მთვარე

გომბორზე ნაიქვა“ (1974) — რად ღირს, რომელსაც შთა-  
გონებით ასრულებდა მომღერალი ჯემალ მდივანი.

გარეგნული სიმარტივის მიუხედავად, მისი საუკე-  
თესო სიმღერები, რომანსები, ინსტრუმენტული მინია-  
ტიურები და განსაკუთრებით ვოკალური ციკლი განუ-  
მეორებლობის, თავისთავადობის ნიშნით არიან აღბეჭ-  
დილნი და მსმენელის შეუნელებელ ინტერესს იწვევენ.  
ამ უკანასკნელს დიდი წარმატება ხვდა წილად როგორც  
თბილისში, ისე მოსკოვში ახალგაზრდა კომპოზიტორე-  
ბის შემოქმედებით პლენუმებზე. პრესამ, გამომსვლე-  
ლებმა ერთხმად მისცეს ნაწარმოებს მაღალი შეფასება.  
გამოჩენილი სომეხი კომპოზიტორი ავეტ ტერტერიანი  
აღნიშნავდა, რომ მრავალრიცხოვან ვოკალურ ციკლებს  
შორის ჭულუხადის ვოკალური ციკლი გვატყვევებს თა-  
ვისი სინამდისით, სიმართლით, უშუალოებით. კიეველი  
კომპოზიტორი ივან კარაბიცი კი წერდა, რომ ჭულუხადის  
ვოკალური ციკლი ქართული მეტყველებისათვის დამა-  
ხასიათებელი ამაღლებული რეჩიტაციის შესაძლებლო-  
ბების გამოყენების შესანიშნავია ნიმუშია, სადაც ყველა  
ხერხი ორგანულად ერწყმის ჩანაფიქრს. მოსკოველი  
მუსიკისმკოდნე სერგეი ბირიუკოვი მიიჩნევდა, რომ გა-  
რეგნულად ტრადიციული ციკლი, არსებითად არ არის  
მოკლებული ნოვატორულ ელემენტებს და ამ ნაწარმო-  
ებმა განსაკუთრებით ახლებურად შეავრძობინა ქარ-  
თული ხალხური მუსიკის კოლორიტი. მაღალი შეფასება  
მისცეს ნაწარმოებს ქართველ მუსიკოსთა უფროსი თაო-  
ბის წარმომადგენლებმაც — ანდრია ბალანჩივაძემ, გივი  
ორჯონიკიძემ, ნოდარ მამისაშვილმა.

ამ თხზულების წარმატებაში თავისი წვლილი შეიტა-  
ნეს მისმა პირველმა შემსრულებლებმა — თენგიზ და ვა-  
ჟა ჩაჩავებმა. თენგიზ ჩაჩავას, რომელიც იყო არა მარტო  
ვახტანგ ჭულუხადის, არამედ ამ პერიოდში მისი თაობის  
კომპოზიტორების მიერ ტენორისათვის დანერგილი ყვე-  
ლა ვოკალური ციკლის პირველი შემსრულებელი, რის  
გამოც მას კომპოზიტორმა რუბენ კაჟილოტიმ ხუმრობით  
„циклопический певец“-ი შეარქვა, თავისი შთაგო-  
ნებული, ფსიქოლოგიურად ჩაღრმავებული სიმღერით  
განსაკუთრებული სიყვარულით მოჰქონდა მსმენელამდე  
ჭულუხადისეული ინტონაცია, ქართული ხალხური მუსი-  
კის ნიალიდან ამოზრდილი, მაგრამ ამავედროულად ავ-  
ტორისეული, ორიგინალური.

ნაწარმოები ქართულ ხალხურ ლექსებზე დანერგილ  
ექვს სიმღერას შეიცავს. ექვსივე ლირიკულ-ჟანრული  
ხასიათისაა, თუმც, თითოეულ ნაწილში ლირიკის სხვა-  
დასხვა ნიუანსია ნატიფად გამოვლენილი. მაგალითად,  
პირველი სიმღერა — „აი, ის ღრუბელნი მიყვარან“ — ლი-  
რიკულ-ჭვრეტითი განწყობილებისაა. მეორე — „ჩონგუ-  
რო“ — ჟანრულ-იუმორისტული. მეოთხე სიმღერა — „ე-  
ჰა, განთიად“ — თხრობითი, დინჯი ხასიათით გამოირჩევა  
და იმპროვიზაციული-რეჩიტატიული წყობით ურმულის  
ტიპის სიმღერებს უახლოვდება.

ეროვნული ძირები ვახტანგ ჭულუხადის ყველა ჟან-  
რის თხზულებაშია მკაფიოდ წარმოჩენილი. ეს ეხება არა  
მარტო ინტონაციას, ძალდაუტანებელსა და ბუნებრივ,  
არამედ ნაწარმოების კილო-ჰარმონიულ საფუძველს,  
ფაქტურასა და სხვა გამომსახველ საშუალებებს. ხალხუ-  
რი სახეებით აზროვნება მისი შემოქმედების დამახასია-  
თებელი მხარეა. ჭულუხადის მთელ შემოქმედებას დაჰკ-  
რავს გულუბრყვილო პირველყოფილების, მიამიტობისა  
და შეურყვანლობის განუყოფელი სურნელი. ასეთია  
„სამი განწყობილება“ სიმებიანი კვარტეტისათვის (1976);  
საფორტეპიანი ციკლები: ხუთი პრელუდი (1976); ოთხი  
პიესა ფორტეპიანოსათვის (1980). მათ წარმატებით ას-  
რულებდა ხოლმე ჩვენი კოლეგა, პიანისტი და კომპოზი-  
ტორი გიორგი შავერშაშვილი. იმ შემთხვევისათვის, თუ-  
კი ახალგაზრდა პიანისტები ან ქართული მუსიკის კონ-  
ცერტების ორგანიზატორები დაინტერესდებიან 70-იანი  
წლების ქართველი კომპოზიტორების საფორტეპიანო  
მუსიკით, მინდა აღვნიშნო, რომ ზემოთ დასახელებული  
ბოლო ორი ოპუსის ნოტები გამოცემულია და ამდენად,  
მისაწვდომიც!

ვახტანგის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ  
მისი თაობის კომპოზიტორების — გიორგი ჩლაიძისა და  
თენგიზ შავლოხაშვილის ინიციატივით, ჯერ ჭულუხადის  
საავტორო საღამო ჩატარდა კონსერვატორიის მცირე  
დარბაზში, სადაც კომპოზიტორის კამერული მუსიკა აჟ-  
ღერდა, ხოლო მოგვიანებით კი, მისი შემოქმედების შე-  
სახებ ვრცელი ტელეგადაცემა გაკეთდა. ამ პროცესში  
მთელი ჩვენი თაობა იყო ჩართული. ჩლაიძე და შავლო-  
ხაშვილი ვახტანგის მუსიკის შემსრულებლებადაც მოგ-  
ვევლინენ. ამის მიზნით ის გახლდათ, რომ ორივე მათ-  
განს კომპოზიტორის არქივზე მოუხდა მუშაობა. კერძოდ,

თენგიზ შავლობაშვილმა ვახტანგის მიერ სხვადასხვა წლებში შექმნილი ოთხი რომანის რედაქცია შესარულა და გამოსაცემად მოამზადა. პირადად მე, დავნერე მოკლე წინასიტყვაობა ამ გამოცემისათვის. მათგან ორი რომანსი შავლობაშვილმა ოპერის თეატრის მომღერლებს — მზია დავითაშვილსა და რუსუდან მექვაბიშვილს მოამზადებინა და თვითონვე გაუწია მათ აკომპანემენტი აღნიშნულ ღონისძიებებზე. ამ რომანსებს ერთმანეთისაგან 15 წელი აშორებთ, მაგრამ ორივე ვაჟა-ფშაველას ლექსებზეა შექმნილი და ორივე გაზაფხულის მოსვლას შეჰხარის. „გაზაფხულს ია ამოდის“ (1967) და „კიდევ კელირსე გაზაფხულს“ (1982) — მათ თითქმის ვახტანგის გულის ფეთქვა მოაქვთ ჩვენამდე.

გოგი ჩლაიძემ ვახტანგ ჭულუხაძის ორ ოპუსზე იმუშავა. ეს იყო ვახტანგის სულ ბოლო ნაწარმოებები: საფორტეპიანო პიესა „ღამე მთაში“ (1984) და დაუმთავრებელი ბალეტი ძველი თბილისის თემაზე. ჩლაიძემ, ისევე როგორც შავლობაშვილმა, პიანისტური გამოცდილება „გაიხსენა“ და „ღამე მთაში“ მსმენელთა წინაშე თავად შესარულა, ამით გამოხატა ორივე კომპოზიტორმა სიყვარული და პატივისცემა ვახტანგ ჭულუხაძის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი. რაც შეეხება ბალეტს, მისი მასალა გოგი ჩლაიძემ დაამონტაჟა და ეს თხზულება მსმენელს ცნობილმა პიანისტმა, უდროოდ გარდაცვლილმა მედეა ფანაშვილმა წარუდგინა. ვინც ამ ნიჭიერ, თავნება ქალბატონს იცნობდა, იცის, რომ მედეა იყო ქართული მუსიკის მხურვალე გულშემამტკივარი და ქართველი კომპოზიტორების მრავალი ნაწარმოების პირველი შემსრულებელი. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მას 70-იანელ ქართველ კომპოზიტორებთან, რომელთა თაობას თავადაც ეკუთვნოდა. მით უფრო ბუნებრივია, რომ იგი აქტიურად იყო ჩართული მათ შემოქმედებაში მიმდინარე პროცესებში. ვირტუოზულად ფლობდა ფურცლიდან კითხვის ხელოვნებას, რის გამოც კომპოზიტორთა კავშირის სექციების სხდომებზე ხშირად სწორედ იგი წარუდგენდა ხოლმე მკაცრ კომისიას ახალ პარტიტურებს. ის იყო ჩვენი მზიარული შეხვედრების სული და გული და ვახტანგისადმი მიძღვნილი ტელეგადაცემის შემდეგ, სადაც მან ბალეტის მუსიკა კლავირში შესარულა, ჩვენ ყველანი, ამ ეთერის მონაწილენი მედიკოსთან შევიკრიბეთ და გახარებულვით, რომ ვახტან-

გისათვის მცირედი რამ მაინც გავაკეთეთ, ეს მოვლენა აღვნიშნეთ.

ვახტანგ ჭულუხაძისათვის ძალზე მახლობელი იყო ძველი თბილისის თემა. ის თითქმის იყო ქალაქის ამ ძველი უბნის ორგანული ნაწილი. ეს არც არის გასაკვირი. მთელი ბავშვობა, სიყმაწვილე და შეგნებული ცხოვრების უმეტესი ნაწილი მან ძველ თბილისში გაატარა, ძველ სახლში, სადაც კომუნალური ბინის ერთ ოთახში ცხოვრობდა დედასთან, მეუღლესა და სამ შვილთან ერთად. მისი სახლი მეტეხის ხიდის კუთხეში იდგა და გარშემო ფიგურული, ცისფრად შეღებილი აივანი ერტყა. ამ აივნიდან ხელისგულივით მოჩანდა მეტეხის ეკლესია, კლდეზე „ჩამოკიდული“ სახლები, მტკვარი, მაიდანის, აბანოები, ნარიყალას ნანგრევები... ცხოვრების ბოლო წლებში, თბილისის ახალ უბანში გადასული კომპოზიტორი ნატრობდა — ისე არ მომკლა, ძველ თბილისში არ დამაბრუნაო. სიცოცხლეში ვერ აიხდინა ეს ნატვრა. მაგრამ ძველ თბილისში აბრუნებდა თავისი შთაგონება, წარმოსახვა, რომელიც ბალეტ „ძველი თბილისის სურათების“ მუსიკაში აისახა.

სიმღერის დიდოსტატი, ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორი რევაზ ლალიძე ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა: სიმღერაში მთავარი მელოდიააო. ვახტანგ ჭულუხაძის მელოდიური ნიჭით აიხსნება ალბათ ის გარემოება, რომ კომპოზიტორს განსაკუთრებით ხელენიფებოდა სიმღერის ჟანრი. თავის სამშობლოზე, თავის ხალხზე, თავის ქალაქზე, ყველაფერ ქართულზე უზომოდ შეყვარებული ვახტანგ ჭულუხაძე დიდი ემოციური სიღრმის მელოდიებით გადმოგვცემდა თავის გრძნობას. ამ სიყვარულის შედეგად დაიბადა 1982 წელს „თბილისობისადმი“ მიძღვნილი სიმღერა — „დედა თბილისო“, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, ჩვენი დედაქალაქისადმი მიძღვნილ საუკეთესო სიმღერათა რიცხვს მიეკუთვნება. მისი პირველი შემსრულებლები იყვნენ ნაწილი აბესაძე და ნანი ბრეგვაძე. რეპერტუარში ჰქონდა იგი მომღერალ თამარიკო ჭოხონელიძესაც. სიმღერა სოლისტის, შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვისაა დანერგილი. მისი კლავირი იმავე წელს (1982) გამოიცა. სიმღერაში ჩაქსოვილია ავტორის გრძნობა, რომელსაც ჩვენ ამაღლებულს, პოეტურსა და ამავე დროს მოქალაქეობრივს ვუნოდებთ.

# ზაქარია ფალიაშვილის დაბადების დღე

თამარ ჩინჩალაძე- მარი

3 აგვისტოს, ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში ყოველთვის ხალხმრავლობაა. ამ დღეს კომპოზიტორის დაბადების დღისადმი მიძღვნილი შეხვედრები, კონცერტები იმართება. წლებიდანელი წელიც გამონაკლისი არ გახლდათ. შეიკრიბა სოლიდური საზოგადოება, გაიმართა საინტერესო დისკუსია, დაისახა ახალი, სამომავლო გეგმები და რაც მთავარია, შესრულდა ცოცხალი მუსიკა. მესტრო ელდარ გენაძემ და მისმა მოსწავლეებმა, გულიკო კარიაულის კლასის მოსწავლეებმა და ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტებმა შესრულეს არიები ზაქარია ფალიაშვილის ოპერებიდან.

ამ დღეს გამორჩეულობა კიდევ ერთმა საინტერესო ფაქტმა შემატა. ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ბ-მა კახა ცაბაძემ, ამცნო დამსწრე საზოგადოებას, რომ მისი ინიციატივით დაიგეგმა და გამოსაცემად მომზადდა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ კლავირი (რედაქტორები: დირიჟორი რევაზ ტაკაძე და დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი).

მან აღნიშნა, რომ ამ გამოცემაში შევა ლიბრეტოს აქამდე არარსებული ინგლისური თარგმანი (არსებობს რუსული, უკრაინული, ფრანგული თარგმანები), ქართულ ტექსტს დაემატება ლათინური ტრანსკრიფციები და რაც მთავარია, შეიქმნება კლავირის ელექტრონული ვერსია.

საღამოზე სიტყვით გამოვიდა დირიჟორი რევაზ ტაკაძე, რომელსაც ხელში ეკავა სიძველისაგან გაყვითლებული ნოტები: „საიდან და როგორ მოხვდა ეს ნოტები ჩემთან, ამას ნუ ჩამეძიებით, მაგრამ როდესაც ჩემთან აღმოჩნდა, იმ წუთას ვიფიქრე, რომ მისი ადგილი სწორედ აქ, ამ მუზეუმში იქნებოდა“. – თქვა ბ-ნმა რეზომ და 1926 წელს გამოცემული ნოტები საზეიმოდ გადასცა მუზეუმის არქივს. ერთ ნოტს, რომლის ტექსტის მთარგმნელიც, მუსიკოსი ა. ნეიმანია, ამშვენებს ზაქარიაშვილი წარწერა – „ნიშნად ღრმა პატივისცემისა ავტორისაგან ივანე ჯავახიშვილს“ (საუბარია მაღხაზის არიანზე „თავო ჩემო“ და „მაროს ტირილი“ ოპერიდან „დაისი“). მეორე ნოტი, „ორი ქართული რომანსი“ („ახალ აღნაგო სულო“ და „ნანა შვილო“) ავტორს ივ. ჯავახიშვილის ქალიშვილისთვის უჩუქებია წარწერით – „ნათელა ჯავახიშვილს, ძია ავტორისაგან სამასსოვროდ“. საღამოს, ტრადიციისამებრ, ესწრებოდნენ ზაქარია ფალიაშვილის ნათესავები. მათთვის, სახლმუზეუმში სტუმრობა და დიდი კომპოზიტორის ნაწარმოებების მოსმენა, ყოველთვის ძალიან სასიამოვნო და ამაღელვებელია.



სალამოს მონადილენი და ფალიაშვილის ოჯახის წევრები

# ვეტერანების ტრიუმფი

გულჯათ სორაძე

აბა, მაშ, რა ვუნოდოთ „დაისის“ სპექტაკლს, რომელშიც მთავარ პარტიებს ასრულებდნენ – და მერე როგორ! – ლამის ნახევარ საუკუნოვანი არტისტული სტაჟის მქონე ჩვენი ცნობილი შესანიშნავი მომღერლები: ლიანა კალმახელიძე (მარო), თეიმურაზ გუგუშვილი (მალხაზი) და ელდარ გენაძე (კიაზო), ხოლო სპექტაკლს უძღვებოდა (თანაც ზეპირად!) კიდევ ერთი დამსახურებული ვეტერანი – დირიჟორი რევაზ ტაკიძე!

წარმატება ფანტასტიკური იყო! კონსერვატორის დიდ დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ ოვაცია გაუმართა ვეტერანებს და მათ ღირსეულ, უმცროს პარტნიორებსაც, რითაც ერთსულოვნად დააფასა სპექტაკლის მონაწილეების – სოლისტების გუნდის, ორკესტრისა და მათი წარმმართველი დირიჟორის მაღალი პროფესიული ოსტატობა.

არ გამკვირვებია, როდესაც ჯერ კიდევ სპექტაკლის დაწყებამდე, ჩვენი ჟურნალის რედაქციამ მთხოვა მე, კიდევ უფრო ბევრად ხანდაზმულ „კალმოსან“ ვეტერანს, გამოვხმებოდი ჩემი უმცროსი (!) მეგობრების – საქართველოს სახალხო არტისტების ლიანას, თემურის, ელდარის და მათი პარტნიორების გამოსვლას ზაქარია ფალიაშვილის უკვდავ ოპერაში.

დაიწყო წარმოდგენა და მე, მისი მსვლელობისას, ჩემდა გასაკვირად, თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ „ვეტერან მომღერალთა“ ხელოვნებაზე გამოხმებუბა და შეფასება ჩემზე გაცილებით ახალგაზრდა კრიტიკოსს უფრო შეეფერებოდა! რატომ? რატომ და იმიტომ, რომ „ვეტერანები“ მღეროდნენ ჭაბუკური, ახალგაზრდული შემართებით, გატაცებით და ამასთან – უმაღლესი პროფესიული ოსტატობით!

დარბაზში მყოფთა (მათ შორის, რა თქმა უნდა – ჩემს) გაკვირვებას და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა!

გაქარია ფალიაშვილის სახელობის  
**თბილისის ოპერისა და კაპელის თეატრი**  
 სახელმწიფო პროფესიული

164-ე სეზონი

6 ნოემბერი / NOVEMBER 2015

**10 19:00**

ზაქარია ფალიაშვილი

**დაისი**  
**DAISI**  
 ZAKARIA PALIASHVILI

დირიჟორი **რევაზ ტაკიძე**  
 CONDUCTOR **REVAZ TAKIDZE**

თეატრის სახელმწიფო საცემკონსერვატორი  
**დავით კინტურაშვილი**  
 ARTISTIC DIRECTOR  
**DAVIT KINTSURASHVILI**

ბიუჯეტობა კონსერვატორიის დიდ დარბაზში. გრიბოედოვის ქ. 8  
 GRAND HALL, TBILISI STATE CONSERVATOIRE, 8, GRIBOEDOV STR.

ასე, თავიდან ბოლომდე მიდიოდა და დამთავრდა ეს უნიკალური სპექტაკლი.

ახლა კი, რამდენიმე სიტყვით, მისი მონაწილეების შესახებ. ლიანა კალმახელიძის დებიუტი – სწორედ მაროს პარტიაში 40 წლის წინ შედგა საოპერო თეატრის სცენაზე. მაშინ ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა და მას ასეთივე მომავალი უწინასწარმეტყველეს, რაც მან, ცხადია, გაამართლა. წარმატებას წარმატება მოსდევდა. და ახლაც, თითქოს არც გასულაო წლები, ლიანა ისევ ისე შესანიშნავად და ლაღად მღერის.

ბრავო, და კიდევ ერთხელ ბრავო, ძვირფასო ლიანა!  
ელდარ გენაძე – სხვადასხვა პრესტიჟული კონკურსის ლაურეატი, რომელსაც მოვლილი აქვს მრავ-



საქართველოს ვაიფი. მარჯვნიდან: სხედან – თაიძურაზ გუგუშვილი, რევაზ შაკიძე, ლიანა კალმახალიძე; ღგანან: ელდარ გენაძე, ელენე ჯანაჯალია

ვალი საოპერო სცენა, დაწყებული 1971 წლით, როდესაც მან დაამთავრა კონსერვატორია დიდი დავით ანდლელაძის ხელმძღვანელობით. ამჟამად, იგი თვითონ არის კონსერვატორიის პროფესორი და მღერის ისე, რომ მის სტუდენტებსაც კი შეშურდებათ. დიდებულად წარმართა მან ამ საღამოს კიანოს პარტია. მშვენივრად შეასრულა მისი რთული სოლო და საანსამბლო ნომრებიც. ცხადია, მასაც ბრავო!

განსაკუთრებულ გაოცებას კი 68 წლის (!) თემურ გუგუშვილი იწვევს, ეს ხომ მსოფლიო მასშტაბის პრეცედენტი!

პირველ რიგში ვგულისხმობ იმ არტისტულ თავისუფლებას, რომლითაც იგი ასრულებს როგორც ლირიკულ, ისე დრამატულ პარტიებს ქართულ თუ უცხოურ კლასიკურ რეპერტუარში. დრო უძღურია მისი ხმის მშვენიერებისა და ვოკალური ოსტატობის წინაშე.

ერთხელ, ხუმრობით ვუთხარი: „თემურ, როგორ არა გრცხვენია? კაცი გაჭაღარავებულხარ და ოცი წლის ბიჭვით მღერი-მეთქი!“

დიახ, ეს მართლაც ასეა. მაგონდება თემურის მიერ წლების მანძილზე ნამღერი უთვალავი საოპერო პარტია, თუნდაც, დონიცეტის „პოლკის შვილობილში“ ტონიოს სიმღერა, რომელშიც ერთმანეთის მიყოლებით, ცხრა „ზევითა დო“ (!) გვხვდება. მისი შესრულება დიდი ხანია იქცა ჩვენი დიდებული მომღერლის „სავიზიტო ბარათად“, მით უმეტეს, რომ, როგორც წესი, იგი „ბისზე“ იმეორებს ხოლმე მას.

მთელი სერიოზულობით ვაცხადებ, რომ ვოკალური ოსტატობის ეს საოცრება ღირსია შევიდეს „გინესის წიგნში“.

„ბისები“ თემურმა არც ამ საღამოს მოგვაკლო. აღტაცებული მსმენელების თხოვნით – გაიმეორა (და მერე როგორ!) უკვდავი „თავო ჩემო“. შესანიშნავად იმღერა მალხაზის ძალზე რთული პარტიის სხვა ნომრებიც. მოკლედ, არ მყოფნის სიტყვები იმ აღტაცების გამოსახატავად, რომელიც დაეუფლა მთელ დარბაზს და მეც, მათ შორის.

კიდევ ერთ ღირსეულ ვეტერანს – რევაზ ტაკიძეს „ჩვეულებად“ აქვს ოპერებისა და ბალეტების ზეპირად დირიჟორობა. ამ „ჩვეულებისათვის“ მას, ცხადია, არც ამჯერად უღალატნია და შესანიშნავად წაიყვანა მთელი სპექტაკლი. ვფიქრობ, რომ ჩვენი საოპერო თეატრის დიდხანს ნანატრი გახსნის შემდეგ, რეზოს ძლიერი შემოქმედებითი პოტენციალი მთელი სისრულით უნდა იქნეს გამოყენებული.

დიდებულ ვეტერანებს ღირსეულად აუბეს მხარი ამჟამად ჩვენი საოპერო თეატრის სოლისტებმა – შესანიშნავმა მომღერლებმა, ქალბატონმა ელენე ჯანჯალიამ (ნანო), ასევე გორა დათუსანმა (ცანგალა) და თამაზ სავინაძემ (ტიტო).

ჩინებულად ჟღერდა თეატრის ორკესტრი და გუნდი (მთავარი ქორმაისტერი ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი – შალვა შაორშაძე).

მადლობა ჩვენს დიდებულ ვეტერანებს, საოპერო თეატრის მთელ კოლექტივსა და მის სამხატვრო ხელმძღვანელობას.



# საჩუქარი მუსიკალურ საზოგადოებას

ქეთევან რაზმაძე



შორენა ცინცაბაძე

ამ დღეებში, საინტერესო, ემოციითა და შთაბეჭდილებებით სავსე, ულამაზესი მუსიკალური კვირეულის მასპინძელი გახლდათ ქალაქი ბათუმი. ცნობილმა ახალგაზრდა ქართველმა პიანისტმა, რომელიც მოსკოვში დაიბადა, წლების განმავლობაში პროფესიონალ მუსიკოსად ჩამოყალიბდა და თავისი ხელოვნებით საერთაშორისო მასშტაბით გაითქვა სახელი – გადწყვიტა უდიდეს საქმეს ჩადგომოდა სათავეში. უცხო მიწაზე ქართული სულისკვეთებით აღზრდილი ნიჭიერი მუსიკოსის, შორენა ცინცაბაძის ინიციატივით, დაარსდა „საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია“, რომლის უმთავრესი მისია არის ქართველი ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსების დახმარება, მათში მოტივაციის გაზრდა, შემოქმედებით და კარიერულ წინსვლაში მხარდაჭერა. ამ მიზნით ორგანიზაცია სხვადასხვა ღონისძიებებს გეგმავს. მისი მნიშვნელოვანი აქტივობით დაარსდა „მუსიკის საერთაშორისო საზაფხულო აკადემია“ („MIS“), რომლის ეგიდითაც ბათუმში, 27 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, ჩატარდა არაჩვეულებრივად საინტერესო

სო მუსიკალური ღონისძიებები სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული ცნობილი მუსიკოსების მონაწილეობით.

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, (დირიჟორი დავით მუქერია), 27 ივლისს გაიმართა „მუსიკის საერთაშორისო საზაფხულო აკადემიის“ გახსნის საზეიმო კონცერტი. მონაწილეობა მიიღეს: ანრეი პისარევა, რომელიც არის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტის დეკანი და მოცარტის, რახმანინოვის და „Unisa Transinet“ კონკურსების პირველი პრემიის ლაურეატი; ასევე „MISA“-ს დამფუძნებელმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა – შორენა ცინცაბაძემ, რომელიც საერთაშორისო კონკურსების პრიზიორია.

პროექტი შემეცნებით ხასიათს ატარებს და მრავალნაზნაგოვანია. სხვადასხვა მიმართულებით ხდება ცოდნის გაზიარება: პროფესიონალი პიანისტების კონ-

ცერტებით, მასტერკლასებითა და ლექციებით.

ზ. ფალაშვილის სახ. სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში, რამდენიმე საერთაშორისო

სიკის მოყვარულთა თხოვნით, პროფესორმა ანდრეი პისარევმა, კიდევ ერთხელ აზიარა თავის ხელოვნებას იქ დამსწრე საზოგადოება.

პროექტის მონაწილე და მონვეულ პროფესიონალ პიანისტთა მიერ გაყვებულ კონცერტები ასახავდა მაღალ სამემსრულებლო კულტურას.

მასტერკლასები და ინდივიდუალური გაკვეთილები ჩატარდა: საფორტეპიანო განხრით – ანდრეი პისარევსა და შორენა ცინცაბაძის მიერ, ხოლო საფორტეპიანო ანსამბლის მიმართულებით – საერთაშორისო კონკურსების დიპლომანტმა, ქ. მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიაში მოღვაწე, კამერული ანსამბლის სოლისტმა და კონცერტმასტერმა – თამარ გვაძაბიამ.

ძალიან საინტერესო ფორმით ჩატარდა მასტერკლასები, ისე როგორც დღემდე არავის ჩაუტარებია აჭარაში – ბავშვები პროფესიონალი მუსიკოსებისაგან მნიშვნელოვან პრაქტიკულ რჩევებს ღებულობდნენ რამდენიმე წანარმოებზე არა ერთჯერადად, როგორც ეს ჩვეულებრივად მასტერკლასების შემთხვევაში ხდება, არამედ მთელი პროექტის განმავლობაში და ბოლოს ბავშვებმა, 2 კონცერტით წარმოადგინეს მასტერკლასების შედეგი. თითოეული შესრულება კორექტირებული და მუსიკალურად დახვეწილი ამავე დროს, წარმოადგინეს პროექტის ფარგლებში შესწავლილი ახალი ნაწარმოებები – საფორტეპიანო ანსამბლის სახით.

ლექციები, პიანიზმის განვითარების ისტორიის თემატიკაზე წარიმართა. ეპოქების მიხედვით მოხდა საფორტეპიანო სამემსრულებლო სტილის განხილვა. საუბარი იყო დროის სხვადასხვა პერიოდში როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება ნაწარმოებთა ინტერპრეტაციისადმი. თუ რომელი მუსიკოს-მემსრულებელი რა პრინციპით საზრდოობდა და რა სამემსრულებლო ამოცანები იდგა მათ წინაშე. მუსიკალური ჩანართების გაყვებამ კი, შესაძლებელი გახადა კიდევ მეტად თვალსაჩინო ყოფილიყო პიანისტთა სამემსრულებლო ინდივიდუალიზმი.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ლექციები ორმაგი დატვირთვით წარიმართა, ინფორმაცია გათ-

**Young Musician International Association of Georgia**  
 In Collaboration with  
**Batumi State Music Center**  
 Present  
**Music International Summer Academy**  
*Opening Night Concert*  
**July 27, Batumi Art Center, 19:00**

Soloists: **Shorena Tsintsabidze** - piano, **Andrei Pisarev** - piano (Russia)  
**The Symphony Orchestra of the Batumi State Music Centre**  
 Conductor – **David Mukeria**

სოლისტები: შორენა ცინცაბაძე - ფორტეპიანო, ანდრეი პისარევი - ფორტეპიანო (რუსეთი),  
 ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრი  
 დირიჟორი: დავით მუქერია

Programm:  
**O. Taktakishvili – Piano Concerto No. 1 in C minor**  
**F. Chopin – Piano Concerto No.1 in E minor Op.11**

პროგრამა:  
 ო.თაქთაქიშვილი - საფორტეპიანო კონცერტი #1 დო მინორი  
 ფ.შოპენი - საფორტეპიანო კონცერტი #1 მი მინორი, Op.11

კონკურსის ლაურეატმა, პრიზიორმა და დიპლომანტმა გიორგი ჩაიძემ და ნადეჟდა პისარევამ გამართეს საქართველოში სადებიუტო საღამო, ამავე საღამოს, მე-

ვალისწინებული იყო როგორც პატარა პიანისტებისთვის, ისე პედაგოგებისთვისაც, და უაღრესად საინტერესო იმ თვალსაზრისითაც, რომ ლექციების ავტორი, ქ.



ორიოლის ხელოვნებისა და კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი, ხელოვნების მეცნიერებათა კანდიდატი ბატონი იური სტრეგლოვი, თანამედროვე პიანისტ-შემსრულებლებს უშუალოდ იცნობს, ჰქონდა მათი შესრულების „ცოცხლად“ მოსმენის შესაძლებლობა და შეეძლო საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარება. ბატონ იურის მიერ საკითხის ფართო ცოდნამ და გადმოცემის უშუალო ფორმამ დაუვინყარი გახადა თითოეული ლექცია.

„მუსიკის საერთაშორისო საზაფხულო აკადემიის“ დასკვნით – ვალა კონცერტზე, კლასიკურ მუსიკასთან ერთად, „MISA“-ს აკადემიის სტუმარმა – ვერონიკა დობრჟინსკაიამ შეასრულა ჯაზი. პროექტის მონაწილე მოსწავლეებს კი, გადაეცათ სერთიფიკატები და აკადემიის პარტნიორისაგან – Leograd Hotel & Casino – სპეციალური პრიზები.

სამწუხაროა, რომ კარგად ორგანიზებული და შინაარსობრივად დატვირთული ნამოწყების დაფინანსების მსურველი, ამ ეტაპზე არავინ აღმოჩნდა. ამის გამო, საგანმანათლებლო პროექტი მხოლოდ ერთი სპეციალობით – საფორტეპიანოთი შემოიფარგლა. ქალბატონ რუსუდანმა, პირადი თანხის გაღებით,

პროექტში მონაწილეობის შენატანის გარეშე, თითოეულ ღონისძიებაზე მსმენელთა უფასო დასწრებით – უდიდესი საჩუქარი გაუკეთა ქალაქის მუსიკალურ საზოგადოებას.

მსგავსი პროექტი პირველად ჩატარდა ჩვენს რეგიონში და უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო უპირველესად ქალბატონ შორენა ცინცაბაძეს, ასეთი კარგი ინიციატივისათვის, საქმისადმი კეთილსინდისიერი, პროფესიონალური და უანგარო დამოკიდებულებისათვის; ასევე, საორგანიზაციო გუნდს – ელისო ცინცაბაძეს, გიორგი კონცელიძეს, პაველ ფილკოვს და სულხან ტაკიძეს, რომლებმაც მაღალ დონეზე ჩატარეს და კეთილი ნების საწყისებზე ემსახურნენ პროექტს.



ბათუმის ზ. შალიაშვილის სახ. მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა დაჯილდოება

ვიმედოვნებთ, რომ ასეთ მასშტაბურ საგანმანათლებლო პროგრამას, მართლაც საჭირო საქმეს, გამოუჩნდებიან სპონსორები და შესაძლებელს გახდინან, რომ მომავალშიც გაგრძელდეს მათი საქმიანობა.

# „... და იყოს მუსიკა!“

(ოქტომბრიდან – ოქტომბრამდე)

ზარამ ზარამიძე

„...მუსიკა ყველგან და ყოველთვის ჩვენთანაა. იგი აგვამაღლებს და გვიცავს უღირსობისა და უზნეობისაგან. შეუძლებელია მან ჩვენში არ აღძრას მაღალი, წმინდა გრძნობები, არ შემოაღოს გულის კარი, და, იყოს მუსიკა!“

ვაჟა აზარაშვილის ინტერვიუდან ამონარიდით სრულდება მისი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები საანონსო-სარეკლამო ფურცელზე, რომელსაც მოსკოვის გარეთ მდებარე ფიზიკოსთა ქალაქ დუბნას ადმინისტრაციის კულტურის განყოფილება და სიმფონიური ორკესტრის დირექცია ავრცელებდა 2014 წლის ოქტომბერში, რითაც იუნყებოდა საქართველოს სახალხო არტისტის და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის ვაჟა აზარაშვილის საავტორო კონცერტს. იგი 26 ოქტომბერს, ქალაქის კულტურის სახლში, ბირთვულ კვლევათა გერთიანებული ინსტიტუტის მიერ, ტრადიციულად ქვეულ კლასიკური ინსტრუმენტული მუსიკის ფესტივალის – „სულის ხმოვანება – 2014“ («Звучание души») – ფარგლებში გაიმართა.

ცნობილია, რომ ქალაქი დუბნა მსოფლიო ფიზიკოსთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია, რომელშიც არაერთი გამოჩენილი ქართველი ასტროფიზიკოსი იკვლევს პრობლემებს ბირთვულ სფეროში. სწორედ მათმა აქტიურმა პოზიციამ შეუნყო ხელი ქალაქის ადმინისტრაციისა და კულტურული საზოგადოების დაინტერესებას გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებით, რომელიც სულ უფრო და უფრო მყარად იკიდებს ფეხს მსოფლიოს საშემსრულებლო კოლექტივებისა თუ ინდივიდუალურ შემსრულებელთა პროგრამებში.

კონცერტი შესავალი სიტყვით გახსნა მუსიკისმცოდნე ვიქტორია შჩერბაკოვამ, რომელმაც მთელი სისავსით, ვრცლად მიმოიხილა ვაჟა აზარაშვილის შე-

მოქმედების ფართო ჟანრული სპექტრი, მისი მაღალი საკომპოზიტოროსტატობა, რომელსაც განსაკუთრებულ ელფერს სძენს ეროვნული მუსიკის.

კონცერტს დირიჟორობდა დუბნის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ევგენი სტავინსკი. შესრულდა ვაჟა აზარაშვილის „ნოქტიურნი“ ორკესტრისათვის, კვინტეტი ფორტეპიანოს, ორი ვიოლინოს, ალტისა და ვიოლონჩელოსათვის, კონცერტი ვიოლონჩელოს და ორკესტრისათვის, სონატა ფორტეპიანოსათვის, „ვალსი – მოვონება“, ფანტაზია ძველი თბილისის თემებზე; „სენტიმენტალური ტანგო“, „კან-კან“ (შემსრულებლები: საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები: ელენე პოპკოვა (ფ-ნო) სიმონ ელიზაროვი (ვიოლინო), ანტონ პავლოვსკი (ჩელო), დუბნის ორკესტრი ევგენი სტავინსკის დირიჟორობით); აგრეთვე აქედრდა ვ. აზარაშვილის სიმღერები ავტორის შესრულებით.

კონცერტმა მსმენელთა მონონება დაიმსახურა. მას მაღალი შეფასება მისცეს ევგენი სტავინსკიმ, ვიქტორია შერბაკოვამ, დამსწრე ფიზიკოსებმა და რიგითმა მსმენელებმა. შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა კონცერტის ორგანიზატორი, ქ. დუბნაში მოღვაწე ქართველი ფიზიკოსი, აკადემიკოსი ჯემალ ხუბუა.

დასასრულ, მსმენელის გულისხმიერებითა და აპლოდისმენტებით სასიამოვნოდ აღელვებულმა ავტორმა მადლობა გადაუხადა ორკესტრს და მის სამხატვრო ხელმძღვანელს, შემსრულებლებს, კონცერტის ორგანიზატორებსა და მსმენელებს.

ვაჟა აზარაშვილის საერთაშორისო ასპარეზზე აღიარების ერთ-ერთი ნიშანსვეტია მისი პოპულარობა იაპონიაში; ჯერ კიდევ 2007 წლის აპრილში, ვიოლონჩელისტმა ჰაიამი იუტაკამ დიდი წარმატებით შესრულა კომპოზიტორის ერთერთი გამოჩენილი ნა-

წარმოები – სონატა სოლო ჩელოსათვის, მიძღვნილი ელდარ ისაკაძის ხსოვნისადმი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სონატა 2014 წელს ასევე ძალზე შთამბეჭდავად შესრულდა გერმანიაში, ბატონი ელდარის ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლის, რამდენიმე კონკურსის ლაურეატის – მაქსიმილიან ჰორნუნგის მიერ და ჩანერილ იქნა დისკზე.

იაპონიაში ვაჟას ნაწარმოებების წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჩვენს თანამემამულეს, ჩინებულ მუსიკოსსა და ქართული მუსიკის პროპაგანდისტს გიორგი ბაბუაძეს, რომელიც ქ. ოსაკაში მოღვაწეობს და ხშირად ასრულებს კომპოზიტორის ქმნილებებს. 2008 წლის სექტემბერში, ქ. ოსაკაში, სიმებიანმა კვარტეტმა „ბელისმა“ – გიორგი ბაბუაძე (ვიოლინო), რუმინელი კიპრინ მარინესკუ (II ვიოლინო), ზაზა გოგუა (ალტი), გია ხეოშვილი (ჩელო), შესარულეს კომპოზიტორის 5 საკვარტეტო პიესა, მათ შორის, „ნოქტიურნი“ ხშირად ასრულებენ „ბისზე“. 2010 წლის 12 და 15 მარტს, ტოკიოსა და ოსაკაში გიორგი ბაბუაძემ (ვიოლინო) და ისაკო ტასუმიმ (ფ-ნო) საკონცერტო პროგრამაში შეიტანეს ვაჟა აზარაშვილის „სკერცო“ და „ნოქტიურნი“ და დისკიც გამოსცეს.

სულ ახლახან, ა.წ 15 ოქტომბერს, კომპოზიტორთა კავშირის „სარკეებიან დარბაზში“ ჩატარდა იაპონელი პიანისტის, ტომუკი უსუსის კონცერტი. პიანისტი ტოკიოს კონსერვატორიის კურსდამთავრებულია და ტოკიოშივე მოღვაწეობს. საქართველოში სტუმრობისას, იაპონიის საელჩოში მან სურვილი გამოთქვა ქართველი საზოგადოებისათვის გაეცნო თავისი ხელოვნება, აქ მან ორიგინალური პროგრამა შემოგვთავაზა, რომელთა შორის იყო ვ. აზარაშვილის ნაწარმოებები. მისი სიტყვებით დიდ ყურადღებას და მონონებას იმსახურებს ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები, ამჯერად შესასრულებლად შეარჩია – „ნოსტალგია“, „ოცნება“ და „უსიტყვო სიმღერა“. პიანისტმა საინტერესოდ გააზარა აგრეთვე სერგეი პროკოფიევის საფორტეპიანო სონატა №1. საყურადღებო იყო იაპონელი კომპოზიტორის რუიჩი საკამატოს საფორტეპიანო პიესა, – „ხაღი“, რომელიც ამ ქანრისათვის უჩვეულო ქრონომეტრაჟით (45 წთ.) გამოირჩეოდა და პიანისტის წინასწარი გაფრთხილებით, შესრულების პროცესში რეალობისგან

განრიდებას და მედიტაციის ჩართვას მოითხოვდა, რასაც ვარკვეულ მომენტებში აღწევდა კიდევ! ნაწარმოები, ჩემი აზრით, სწორედაც რომ იაპონური კინემატოგრაფის აღიარებული ხიბლის, სივრცისა და დროის მათთვის ჩვეული, განსხვავებული აღქმის გამოძახილი იყო.



მარცხნიდან: დირიჟორი ევგენი სტავინსკი, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, ჯუბნის კამერული ორკესტრი. ღუბნა, 2014.

მიუხედავად კონცერტის სტილური სიჭრელისა, მან მიზანს მაინც მიაღწია. ახალგაზრდა პიანისტმა ერთგვარად გაამყარა სათაურში გამოტანილი ვაჟა აზარაშვილის ციტატის მთავარი პოსტულატი – „მუსიკა ყველგან და ყოველთვის ჩვენთანაა“.

არ იფიქროთ, რომ ვაჟა აზარაშვილის წლის შემოქმედებითი მონაგარი თუმც საინტერესოდ, მაგრამ ცოტა მწირად გამოიყურება. ეს მას არ სჩვევია, ოდენ მისი შრომითი რუდუნება ყოველთვის ზეაქტიური და მისაბაძია.

რას გვპირდება იგი მომავალი საიუბილეო თარიღისათვის? – დაამთავრა III სიმფონია დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის, კვარტეტი სასულე საკრავებისათვის, ძველი თბილისური ჩანახატები ფორტეპიანოსათვის, პიესა სოლო ალტისათვის. საუბარში სხვა გეგმებიც გამაცნო.

ვუსურვოთ მას ხვავიანი საიუბილეო წელი!

„... დე იყოს მუსიკა!“

# დიდი მაცეტროს გახსენება

## ნოდარ ანდლულაძე

სიხინო ჯიკვალიძე, ნიუ-იორკი



მარცხნიდან: ლადო ათაბაღი, ნოდარ ანდლულაძე, ჯიკვალიძე სოსო

2013 წლის 13 დეკემბერს ჩვეულებრივად დავურეკე-მინდოდა მისთვის დაბადებიდან 85-ე წელი მიმელოცა. მითხრეს – ძალიან მძიმედ არისო, მაინც დამელაპარაკა, რამდენიმე წინადადება გავცვალეთ. ამიკვირდა, რომ მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, არ დავინწყებია ეკითხა – როგორ არის ჩვენი ბერიკაცი, ჩემგან მოკითხვა გადაეცით, პეტრე ხვედელიძეს გულისხმობდა...

ბატონი ნოდარ ანდლულაძე უიშვიათესი პიროვნება ბრძანდებოდა, არაფერს ვამბობ მის საოპერო, სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. ერთხელ ოპერის თეატრის ერთმა თანამშრომელმა თქვა – ნოდარ ანდლულაძეს «Безразмерная душа» ვუნოდო და ამაში თავად დავრწმუნდი, როცა მის ბინაში, მის პირად არქივზე დავინყე მუშაობა. მონმე ვიყავი იმ არაჩვეულებრივი გაკვეთილებისა თუ საუბრებისა, რომელიც

მას თავის მოსწავლეებთან ჰქონდა და რომელსაც მეც გულისყურით ვუსმენდი ჩემი საქმის პარალელურად. არაერთხელ შევსწრებივარ, ოთახში შემოსულ სტუდენტს, რომ უთქვამს – ძალიან მშია მაცეტრო, და ბატონი ნოდარის პასუხი – „გადი სამზარეულოში, ნახე რა გვაქვს“...

ერთხელ იმასაც შევესწარი, მისი ყოფილი სტუდენტები რომ საუბრობდნენ, როგორ უხდოდა ბატონი ნოდარი ბინის ქირას ერთ-ერთ მათგანს, ან როგორ ყიდულობდა გაჭირვებული სტუდენტებისათვის ტანსაცმელს. მის სულიერ სიღრმეებში კიდევ უფრო ღრმად დავრწმუნდი, როცა ერთად დავაარსეთ ოპერის თეატრის გაზეთი „ქნარი“, რომლის პირველსავე ნომრებს ვამინგტონიდან გამოეხმაურა პეტრე ხვედელიძე და იმ დღიდან დაიწყო მათი საოცარი სულიერი თანხვედრა. ერთმანეთს სატელეფონო მეგობარს ეძახდნენ. არაერთხელ უთქვამს ბატონი ნოდარს ჩემთვის – გაოცებული ვარ, ეს ჩვენი ბერიკაცი რა კარგად ერკვევა საოპერო ხელოვნებაში, ხოლო პეტრე ხვედელიძეს მრავალგზის ვაუზიარებია ჩემთვის, დღეს ნოდარს ველაპარაკე, მავანი კომპოზიტორის მავანი ნაწარმოები გავარჩიეთ.

ეს საუბრები კი უფრო ხანგრძლივი იყო, როცა „ვამინგტონ ოპერას“ ბატონი ნოდარის მოსწავლე ლადო ათაბაღი, ან სხვა რომელიმე ქართველი მომღერალი ესტუმრებოდა, მაშინ ბატონმა ნოდარმა დეტალურად იცოდა რა ხდებოდა სცენაზე და დარბაზში. ეს უჩვეულო მეგობრობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა. იმდენად ღრმად ვიცნობდი ჩემთვის ძვირფას ამ ორ პიროვნებას და იმდენი რამ ჰქონდათ საერთო, რომ არასოდეს გამკვირვებია მათი დისტანციური, მაგრამ, ალალი და უშუალო ურთიერთობა და არც ის გამკვირვებია, რაც მერე მოხდა...

ნოდარ ანდლულაძე 2013 წელს, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა, პეტრე ხვედელიძე 2014 წელს 95 წლისა... ერთი თბილისში, მეორე ძალიან შორს, ვამინგტონში, თუმცა უფალმა სულ სხვაგვარად განსაჯა და ოკეანის გაღმა-გამოღმა მყოფ ორ სატელეფონო მეგობარს, ორ მარტოხელად, მარტოსულად დარჩენილ ადამიანს დიდუბის პანთეონში გვერდივერდ მიუჩინა ბინა...

13 დეკემბერი ნოდარ ანდლულაძის დაბადების დღეა, დღეს ის 88 წლისა გახდებოდა.

# თელავის საერთაშორისო მუსიკის ფანსივალე

მამუკა ნაცვალაძე

გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოჩენილმა ქართველმა პიანისტმა ელისო ვირსალაძემ, აღმოსავლეთ საქართველოს კოლორიტულ ქალაქ თელავში დააფუძნა საერთაშორისო მუსიკის ფესტივალი, რომელიც ყოველ შემოდგომას იმართებოდა (მაშინ მას „ქება ვაზისა“ ეწოდებოდა). იგი თავიდანვე ესთეტიკურის გარდა შემეცნებით და აღმზრდელით მიზნებს ისახავდა — თავისი მასტერ-კლასებით, ისტორიული ძეგლების დათვალიერებით და ა.შ. ამიტომაც მას „სიხარულის კუნძულადაც“ მოიხსენიებდნენ.

ფესტივალი 2010 წელს განახლდა და მას შემდეგ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ყოველწლიურად იმართება. ტრადიციულად ფესტივალი თელავში სხვადასხვა თაობის მსოფლიო რანგის მუსიკოსს მასპინძლობს.

2015 წლის ფესტივალი მეოცე საუკუნის უდიდესი პიანისტის — სვიატოსლავ რიხტერის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. ფესტივალის ფარგლებში 7 კონცერტი ჩატარდა, წელსაც მსმენელს მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა შესთავაზეს, რომელშიც შესული იყო როგორც მსოფლიო კლასიკური მუსიკის შედეგები, ასევე, ქართული პროფესიული მუსიკა.

საერთაშორისო მუსიკალურ ფორუმზე აუღერდა პეტრე ჩაიკოვსკის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის და სიმებიანი სექსტეტი, სულხან ცინცაძის მუსიკა კამერული ორკესტრისათვის, ვიტოლდ ლუტოსლავსკის კონცერტი კლარნეტის, არფისა და სიმებიანი ორკესტრისათვის დასარტყამ ინსტრუმენტებთან ერთად, ეუენ დ'ალბერის კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის (თხზ. 20, დო მაჟორი), ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სიმფონია (5 თხზ. 67, დო მინორი), მორის რაველის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის (თხზ. 82, რე მაჟორი), ვოლფგანგ ამადეუს



ელისო ვირსალაძე, არიელ ცუკერმანი

მოცარტის საფორტეპიანო კვარტეტი, ედვარდ გრიგის სიმებიანი კვარტეტი, ნიკოლო პავანინის კაპრისები, არიები და დუეტები ვერდის, ჩილუას ოპერებიდან.

მსმენელის წინაშე წარსდგნენ: ელისო ვირსალაძე, ედუარდ ბრუნერი, ჩულ ვინ პაკი, გიორგი ქობულაშვილი, იანო ალიბეგაშვილი, ანიტა რაჭველიშვილი, დირიჟორები არიელ ცუკერმანი და ზაზა აზმაიფრაშვილი. ფესტივალში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა“, საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, დავით ოისტრახის სახელობის სიმებიანი კვარტეტი (ანდრეი ბარანოვი, როდიონ პეტროვი, ფიოდორ ბელუგინი, ალექსეი ჟილინი).

სასიხარულოა, რომ ფესტივალი გაიხსნა ქართვე-

ლი კომპოზიტორის ნაწარმოების პრემიერით – კახა ცაბაძის კონცერტით კლარნეტისა და სიმებიანი ორკესტრისათვის დასარტყამ ინსტრუმენტებთან ერთად.

**ედიშერ რუსიშვილი (პიანისტი):** „თავიდანვე არაჩვეულებრივი იყო იდეა, რომელიც ელისოს მოუვიდა: ჩაეთარებინა მუსიკის ფესტივალი თელავში, ამ გასაოცარ ქალაქში. ეს ფესტივალი ხომ მოიცავს არამარ-

ვან მოვლენად მიმაჩნია ის, რომ აქ პირველად შედგა ელისოს სოლო კონცერტი. ამით ჩვენ ვავხდით მონმე ახალი ეტაპისა მის შემოქმედებით ცხოვრებაში. საერთოდ, როგორც ვიცით, თითქმის ყველა შემსრულებელი, როდესაც მიაღწევს პიკს, ჩერდება და მოსაბეზრებელიც ხდება. ელისომ კი დიდი ხანია მიაღწია პიკს, მაგრამ გაჩერების ნაცვლად, პირიქით, სულ მაღლა და მაღლა მიდის.

საერთოდ, შემძლია ვთქვა, რომ საინტერესო იყო ფესტივალის ყველა ნომერი, ყველა მონაწილე. ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა ოისტრახის სახ. კვარტეტმა, საინტერესო იყო მათი შესრულებით პავანინის კაპრისები, გადაკეთებული კვარტეტისათვის. პირველად მოვისმინე ჩაიკოვსკის სექსტეტი, შესანიშნავი კონცერტი ჰქონდა იანო ალბერგაშვილს, თავის მეუღლესთან, ბარიტონ ვიტორიო ვიტელთან ერთად. მნიშვნელოვან ფაქტად მიმაჩნია ქართველი კომპოზიტორის, კახა ცაბაძის ნაწარმოების აუღერება.

დარწმუნებული ვარ, დამსწრეთაგან უმრავლესობას, მომავალ ფესტივალამდე გაჰყვება ეს ძლიერი შთაბეჭდილებები და ემოციები“.

**ნანა დიმიტრიადი (პიანისტი):** „თელავის მუსიკალური ფესტივალი გამორჩეულია. ეს არის ძალიან სერიოზული ფესტივალი მთელი თავისი ჩანაფიქრით: მასტერ-კლასებით, თელავს გარეთ გასვლითი კონცერტებით, უძველეს ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებთან შეხებით. და მაინც, მთელი ეს ხიბლი, მაგნეტობი მოდის ელისოსგან. ელისო არის სულ სხვა ფენომენი, მასში ჰარმონიულად არის შერწყმული დიდი მუსიკოსი და პიროვნება. როცა მას ვუსმენ, ასე მგონია, რომ დღევანდელ დღეს ასე არავინ არ უკრავს. ეს სულ სხვა მასშტაბია, სხვა განზომილება. მისი დაკვრის დროს შეგრძნება მაქვს, რომ ეს არის ნამიერება, განუმეორებელი ნამი, რომელსაც ის ქმნის. ამ დროს მისგან მოდის უჩვეულო აურა, მუსიკალური აურა.

განსაკუთრებით მიხდა ალვინიშო წელს ელინოს მიერ შესრულებული რაველის საფორტეპიანო კონცერტი მარცხენა ხელისათვის. ასეთი შეგრძნება მქონდა, რომ ერთი კი არა, რამდენიმე ხელი უკრავდა. კონცერტის ბოლოს ვკითხე – რატომ არ დაუკრა



ღავით ოისტრახის სახელობის სიმებიანი კვარტეტი: ანდრეი ბარანოვი, როდრიგო პასაროვი, ფიოდორ ბელუგინი, ალექსეი ჟილინი.

ყო თელავს, არამედ მთელ კახეთს – საქართველოს ამ დიდებულ კუთხეს. ფესტივალს, რომელიც მსმენელს მოაქცევს ბლაპრულ სამყაროში, აქვს საქმიანი მიზანიც – მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა მასტერკლასები, რაც, ფაქტობრივად, სკოლად იქცა. მასზე აღიზარდა თაობები, როგორც პედაგოგების, ისე მოსწავლეების.

წელს, სამწუხაროდ, ფესტივალს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გამოაკლდა მისი ერთ-ერთი მუდმივი მონაწილე – ნატალია გუტმანი, რამაც ჩვენ, ყველა ძალიან შეგვაშფოთა, მაგრამ ელისომ და ფესტივალის ორგანიზატორებმა ამჯერადაც მოახდინეს შესანიშნავი ძალების მობილიზება.

წლევანდელი ფესტივალის ყველაზე მნიშვნელო-



ბისზე. — მან მიპასუხა, — დავიღალე, მარჯვენა ხელი დამეღალაო. — ამ დროს მარცხენა ხელით უკრავდა და მარჯვენა დაეღალა.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ელისოს მისი ყოველი განუმეორებელი შესრულებებისათვის, არაჩვეულებრივი ფესტივალისათვის, რასაც იგი შესანიშნავ მონაწილეებთან ერთად ქმნის“.

**არიელ ცუკერმანი (დირიჟორი):** „ამ ფესტივალს თამამად შეიძლება ვუნოდოთ მსოფლიო რანგის, უმაღლესი დონის მუსიკის ფორუმი, ძალიან დიდი ხელოვანები შეკრიბა თელავმა, ფესტივალს განსაკუთრებულ ხიბლს მატებს უმშვენიერესი ქალაქი, ის კეთილგანწყობა, რასაც ყოველ წამს ვგრძნობთ მასპინძლებისგან. ძალიან სასიამოვნოა ერთი კვირა შემოქმედებითად იცხოვრო ასეთ მაღალი რანგის მუსიკალურ საზოგადოებაში, რომლის კომპეტენტურობაც კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის შემოქმედებით ცხოვრებას.

ქართულ პროფესიულ მუსიკას საკმაოდ მაღალ დონეზე ვაფასებ. მინდა აღვნიშნო კახა ცაბაძის კონცერტი, რომლითაც ფესტივალი გაიხსნა. ეს არის ვესტერნისა და ქართული ფოლკლორის მაღალი დონის მიქსი, რომელსაც კიდევ უფრო მატებს ხიბლს მელოდიურობა. ეს არის ნაწარმოები, რომელიც ძალიან სასიამოვნოდ ისმინება“.

**ედუარდ ბრუნერი (კლარნეტისტი):** „ძალიან მიყვარს თელავის ფესტივალზე ჩამოსვლა, აქ იმდენი სითბო და მაღალპროფესიული გარემოა, რომ დადებითი ემოციები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიმყვება. განსაკუთრებულად სასიამოვნოა ის რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ მუსიკოსებთან გვინვეს ურთიერთობა, რაც პროფესიული კუთხით უდავოდ საინტერესოა. მიხარია, რომ ამ საქმეში აქტიურადაა ჩართული ახალგაზრდობა.

ფესტივალის პირველ დღეს რომ შემომთავაზეს გამოსვლა, ვფიქრობდი რა დამეკრა. როდესაც ვაეცანი კახა ცაბაძის კონცერტის კლავირს, მიხვდი, რომ არჩევანი სწორედ ამ კონცერტზე უნდა შემეჩერებინა. ძალიან საინტერესო სტილია, ძალიან მელოდიური. მართლაც დიდი სიამოვნება მივიღე შესრულებისას, თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ეს არ არის იოლად დასაკრავი

ვი ნაწარმოები. ვფიქრობ, კახა ცაბაძის კონცერტს ჩემს რეპერტუარში შევიტან და ევროპის სხვადასხვა საკონცერტო დარბაზში შევთავაზებ მსმენელს“.

**მერაბ კოკოჩაშვილი (კინორეჟისორი):** „თელავმა ერთი კვირის მანძილზე უმასპინძლა შესანიშნავ ფესტივალს. ამ ერთ კვირას მე „დიდ კვირას“ დავარქმევდი არა მხოლოდ თელავისთვის, არამედ მთელი



კახა ცაბაძე, ედუარდ ბრუნერი

საქართველოსთვის, რამდენადაც ასეთი მუსიკოსების თავმოყრა არის საოცარი ამბავი და ეს გრძელდება წლები, ამისთვის უდიდესი მადლობა უნდა ვუთხრათ ორგანიზატორებს და ამ ღონისძიების ინიციატორებს, პირველ რიგში ქალბატონ ელისო ვირსალაძეს.

წარმოიდგინეთ, რამდენად საინტერესოა ერთი კვირის განმავლობაში ყველაფრის მოსმენა?! კლასიკის, საორკესტრო, ვოკალური, კამერული, თანამედროვე მუსიკის საღამო. აქ არის ყველაფერი, რაც მუსიკალურ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. დღეს საქართველოში კულტურის დეფიციტია და ის რასაც ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფი აკეთებს ქალბატონ ელისოს ხელმძღვანელობით, ეს არის უდიდესი საქმე საქართველოსთვის“.

# მედეა ფანიაშვილი



წელს გამოჩენილ პიანისტს მედეა ფანიაშვილს დაბადებიდან 70 წელი უნდა შესრულებოდა. ხანმოკლე იყო მის მიერ განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა, მაგრამ მნიშვნელოვანი და სასიკეთო საქმეებით დატვირთული.

მედეა ფანიაშვილმა ქართულ მუსიკალურ კულტურაში გამორჩეული ადგილი დაიკავა. იმთავითვე გამორჩეული გახლდათ ის ნიჭით, ტემპერამენტით, მთავონებით, შემოქმედებითი მიზნებით. მისი ნაღვანი

განძსაკუთრებით ქართული მუსიკისადმი განუელი ამაღით აღინიშნება. ის გახლდათ თითქმის ყოველი ახალი ქართული ნაწარმოების პირველი ინტერპრეტატორი და პროპაგანდისტი. ეს ეხებოდა როგორც სახელმწიფო, ისე ახალბედა ავტორებს.

მედეა ფანიაშვილმა პიანისტ მედეა ალთუნაშვილთან ერთად ჩამოაყალიბა საქართველოში | სტაბილური საფ-ნო დუეტი, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტი ბრწყინავდა ესტრადაზე. ამ დუეტის მუსიკირება შთააგონებდა კიდევ კომპოზიტორებს ახალი ნაწარმოებით გაემდიდრებინათ ეროვნული მუსიკალური მეგკვიდრობა. ეს დუეტი აცნობდა ქართველ საზოგადოებას არამხოლოდ თანამედროვე კომპოზიტორებს, არამედ XVII-XVIII ს-ების ავტორებს, მათ საკლავესინო პიესებს.

მედეა ფანიაშვილმა შექმნა შესანიშნავი კამერული ანსამბლი „კამერატა“.

მედეა ფანიაშვილის ორგანიზაციული ნიჭის გამოვლენა იყო სამუსიკო პედაგოგიური ინსტიტუტის შექმნა.

მედეა ფანიაშვილი გამორჩეული გახლდათ – გამძაფრებული ეროვნული სულისკვთებითაც, მან არამხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც შეძლო სამშობლოსადმი სიყვარულის ამოფრქვევა და თავგანწირვის უნარის გამოვლენა. სწორედ პატრიოტული სულისკვთებით იყო ნაკარნახევი საფორტეპიანო დუეტის მიერ კონცერტებითა და ლექციებით სრულიად საქართველოს შემოვლა, რათა რაიონის მოსახლეობა კლასიკური მუსიკის სიმაღლეებთან მიეახლოვებინა. რეგიონების კულტურული დონის ამაღლებას ისახავდა მიზნად მისი შექმნილი სამუსიკო პედაგოგიური ინსტიტუტიც. ეს ინსტიტუტი იქცა როგორც მუსიკალურ-კულტურულ კერად, ასევე ქველმოქმედების გამოვლენის ასპარეზადაც.

მედეა ფანიაშვილის სახელი დარჩება მუსიკის, სამშობლოს, ქართული მუსიკის უზომო სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლოდ.

პატივცემულო ეთნომუსიკოლოგებო! მსურს საპოლემიკოდ გამოვიტანო ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მესხური და კლარჯული სიმღერების მრავალხმიანობას ეხება. კლარჯულ მუსიკალურ ფოლკლორზე მე უკვე ჟურნალ მუსიკის 2015 წლის №3 ნომერში მქონდა საუბარი და ამიტომ მის დახასიათებას აქ აღარ შევედგები.

მესხურ სიმღერებთან დაკავშირებით ამ წერილში ვეყრდნობი ვალერიან მაღრაძის მიერ 1960-იან წლებში ფიქსირებულ მასალას; კლარჯულთან, როგორც 2015 წელს ჩემ მიერ, ისე 1970-80-იან წლებში თავად

ბებიდან ირკვევა, რომ მესხეთში მრავალხმიანი სიმღერის უკანასკნელი შესრულების თარიღები არ სცილდება XIX-XX საუკუნეების მიჯნას. მიუხედავად ამისა, უსათუოდ აღსანიშნავია, რომ ხმათა შეხამება თითქმის ყოველთვის სრულიად გააზრებული (და არა შემთხვე-

# თაბა განსჯისათვის

გიორგი კრავიცივილი

კლარჯული სელატინ ერგუნის (ჰაჯიოღლი) მიერ ფიქსირებულ სიმღერებს.

წერილის დაწერა გადამაწყვეტინა ერთმა ფაქტორმა: როდესაც ვალერიან მაღრაძის აუდიოარქივს ვეცნობოდი, იქ ვნახე, რომ მის მიერ 1960-იან წლებში ჩანერილ ორ და სამხიან მესხურ სიმღერებში ქართული ხალხური მუსიკისთვის დამახასიათებელი ბურდონული ბანის გარდა, ასევე წარმოდგენილი იყო კვარტებისა და კვინტების პარალელიზმი, რაც ჩვენთვის მეტად უჩვეულო ხმათასვლით გამოირჩეოდა (ცნობისთვის აქვე დავძენ, რომ სამხიან სიმღერებშიც ასევე უჩვეულო იყო ხმების ინტერვალური დამოკიდებულება). კლარჯული სიმღერებისთვის კი, როგორც ადრეც აღმინიშნავს, პარალელიზმია (განსაკუთრებით სეკუნდური) დამახასიათებელი. გავიმეორებ, რომ მესხური სიმღერებისგან განსხვავებით კლარჯული მხოლოდ ერთ და ორხმიანია. როგორც ვალერიან მაღრაძის წიგნიდან „ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები“ ვიტყობთ, მას ძალზე გაუჭირდა მრავალხმიანობის დაფიქსირება. საქმე ის გახლავთ, რომ მის მიერ მოპოვებული ცნო-



კლარჯული სიმღერების ჩამწერი სელატინ ჰაჯიოღლი (კლარჯაეთი)

ვითი! — გ.კ.) სახითაა წარმოდგენილი. ნიმუშთა ნაწილი მთლიანად ჯდება ქართული ხალხური მუსიკისთვის დამახასიათებელ ჩარჩოებში და წარმოდგენილია ბურდონული ბანით, მაგრამ ნაწილში, ვიმეორებთ, რომ საკმაოდ შეიმჩნევა ქართული მუსიკისთვის უცხო მოვლენები. შეიძლება დაისვას კითხვა — თუ რამდენი მობანე ჰყავდა ვალერიან მაღრაძეს ჩანერილი? ხომ არ იყო ისე, რომ ერთ-ერთ მოხუცს ბანი სწორად არ ახ-

სოვდა და ამიტომ მღეროდა კვინტით ან კვარტით დაბლა? ამისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ მართო ერთი მოხუცის მიერ ნათქვამი ბანის წყალობით არ ფიქსირდება არც ბურღონი და არც პარალელური კვარტები და კვინტები, ასე რომ, აქ რაიმე სახის შემთხვევითობა ყოვლად გამორიცხულია. უფრო მეტიც, ხშირად ერთი და იგივე მობანე მღერის მრავალხმიანობის აქ დასახელებულ ორივე სახეობას.



კლარჯული ოლა

აქედან გამომდინარე ისმის კითხვა – ხომ არ წარმოადგენს მესხური ქართული მუსიკისთვის არადამახასიათებელი მრავალხმიანი ნიმუშები კლარჯულ ნიმუშებთან ერთად ქართული მრავალხმიანობის დაკარგვის შედეგს, ანდა მრავალხმიანი სიმღერების გაერთხმანების გზას? ჩემი ვარაუდით ორივე ვარიანტი დასაშვებია, მაგრამ საინტერესოა თქვენ რა აზრი გვაჩნიათ?

მესხურ და კლარჯულ მუსიკას ერთ დიალექტად, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერ განვიხილავ. უმთავრესი მიზეზი კი არის ის, რომ მესხური სიმღერისგან განსხვავებით კლარჯულ ნიმუშებში ქართული მრავალხმიანი მუსიკისთვის დამახასიათებელი მოვლენები გამოვლენილი არ არის.

ვინაიდან მომავალში ამ თემაზე მუშაობას ვაპირებ, გთხოვთ გამოემხმეუროთ, რადგანაც თქვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო იქნება.

**საფორტეპიანო დუეტი** კამერული მუსიკის ერთ-ერთი პოპულარული ჟანრია. ბევრი დიდი კომპოზიტორი ხარკს უხდოდა ამ ჟანრს. საფორტეპიანო დუეტი განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს დღეს მსოფლიოში.

ამ მხრივ არც ქართველები ჩამოვრჩებით. 1980–90-იან წლებში დიდ ინტერესს იწვევდა მედეა ფანიაშვილის და მედეა ალთუნაშვილის საფორტეპიანო დუეტი. ისინი ბევრს ასრულებდნენ როგორც დასავლეთის კლასიკას, ასევე ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებსაც. უნდა აღვნიშნოთ მაია მშვილდაძის და ნუნუ ჭელიძის ღვანლიც საქართველოში ამ ჟანრის პოპულარიზაციაში.

დღეს საქართველოში აღსანიშნავია ინტერესი ამ ჟანრისადმი. მსოფლიოში აღიარებული ხატია ბუნიათიშვილი ხშირად უკრავს დუეტებს თავის დასთან, გვანცა ბუნიათიშვილთან; ასევე დები თამარ და ნათია ბერაიები წარმატებით მოღვაწეობენ დასავლეთში. ლალი სანიკიძის მოსწავლეები – დები ნია და ანი სულხანიშვილები, რომლებმაც ამ განხრით მიუნხენის ჰოჰშულე დაამთავრეს. ძალზე საინტერესოა დასავლეთში აღიარებული, ავსტრიაში, ვენაში მცხოვრები პიანისტის, დოქტორის, პროფესორის გიორგი ლაცოლაცაბიძის და მისი მეუღლის ანა ფიოდოროვა-ლაცოს საფორტეპიანო დუეტი.

ძალზე აქტიურობდა რუსუდან ხოჯავას ორი მოსწავლე, საფორტეპიანო დუეტების ჟანრში, მაია მშვილდაძის მოწაფეები – ია კენკებაშვილი და თამუნა კვარაცხელია. ისინი გახდნენ ნოვომოსკოვსკის დუეტების საერთაშორისო კონკურსის ფინალისტი-დიპლომანტები. 2007წ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრედმოს და ბუონოს საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვეს, | პრემია და ლაურეატების წოდება დაიმსახურეს და ნიუ-იორკში, კარნეგი-ჰოლში გამართულ გალა კონცერტშიც მიიღეს მონაწილეობა. 2010 წელს რომში შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსში, ორ როიალზე დუეტების ნომინაციაში მესამე პრემია და ლაურეატის წოდება მოიპოვეს, ხოლო ოთხ ხელში დუეტებში დიპლომანტების წოდება. ძალიან სამწუხაროა, რომ თბილისის პირობებში მათ ფუნქციონირება ვეღარ გააგრძელეს.

# საფორტეპიანო დუეტი

თამარ ზურჯანაძე

დღეს თბილისში ძალზედ აქტიურობს რუსუდან ხოჯავას მონაფეების — დები რეგინა და კრისტინა მეირაბოვების საფორტეპიანო დუეტი. გასაკვირი არაა მათი პროფესიონალიზმის მაღალი დონე. ჯერ ის, რომ მათი მშობლები კარგი პიანისტები იყვნენ. ბავშვობიდან მათ საუკეთესო პიანისტური სკოლა გაიარეს. თავდაპირველად სწავლობდნენ პროფესორ მადლენ ევთიშვილთან, რომელიც თავად კარგი პიანისტი იყო და დამწყებ მონაფეებს პიანისტი საფუძვლებს აზიარებდა, აკადემიური პიანისტი გზაზე აყენებდა მათ. შემდგომ იყო საუკეთესო პედაგოგთან, დოლო ცინცაძესთან სწავლის წლები. მოგვიანოთ რეგინა მეირაბოვა სწავლობს პროფესორ ედგარ დავლიანიძესთან, ხოლო კრისტინა მეირაბოვა — დავლიანიძესთან და დახვეწილ პიანისტ-მუსიკოსთან ნინო ჭირაქაძესთან. 2007 წლიდან დღემდე დები მეირაბოვები რუსუდან ხოჯავასთან მეცადინეობენ. ხოჯავასთან მოსვლამდე ისინი უკვე არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები გახლდნენ — იტალია, საფრანგეთი, სომხეთი. რუსუდან ხოჯავასთან სწავლის პერიოდშიც საკმაო წარმატება მოიპოვეს.

2011 წ. რეგინამ ქ. გიუმრის საერთაშორისო კონკურსში “Renaissance” სოლო ნომინაციაში ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება მოიპოვა. შემდეგ 2012 წელს დები მეირაბოვების დუეტმა გიუმრისში გრანპრი დაიმსახურა, ხოლო პედაგოგმა რუსუდან ხოჯავამ ორივე-ჯერ სომხეთის პირველი ლედის მადლობის სიგელები მიიღო.

დები მეირაბოვები ხშირად სტუმრობენ ერევანს და მონაწილეობას იღებენ Pan armenian cultural festival “One nation, one culture” და საპატიო სიგელებით ჯილდოვდებიან.

2014წ. მეირაბოვების დუეტი წარმატებით გამოდის სიცილიაში “Ibla Grand Prize” საერთაშორისო კონკურსზე და ჯილდოვდება Most Distinguished სერტი-



საფორტეპიანო დუეტი: რეგინა და კრისტინა მეირაბოვები.

ფიკატით და სპეციალური პრიზით. 2015 წლის მაისში საფრანგეთში, ტულუზის ფესტივალის ფარგლებში გამოვიდნენ სოლო კონცერტით. სადაც აგრეთვე წარმატება ხვდათ წილად.


დები მეირაბოვების დუეტი თბილისშიც გამოდის კონცერტებით სხვადასხვა ღონისძიებებში, რუსუდან ხოჯავას კლასის კონცერტებში.

ამჟამად კონსერვატორიის ხმის ჩამწერ სტუდიაში მიმდინარეობს მათი ორ-დისკიანი ალბომის ჩანერა (ვაჟა აზარაშვილის დუეტები).

წინ ბევრი საინტერესო გამოსვლა ელოდებათ, მათ შორის მოსკოვში, ალექსანდრე გოლდენვეიზერის სახელ-მუზეუმში კონცერტი, სადაც დაკვრა ყველასათვის ძალზედ საინტერესო და საპატივცემულოა.

# ქართული ხელოვნების სამსახურში

თამარ მისინი- მოქაბაძე



ლარისა რამკოვა- ჩნიკვიციანი

დღევანდელი ნომრის სტუმარია საქართველოს დამსახურებული არტისტი ქალბატონი ლარისა რამკოვა-ჩნიკვიციანი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი გახლდათ. ამჟამად ნაყოფიერად მოღვაწეობს პედაგოგიურ სარბიელზე – ვ. ჭაბუკიანის

სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.

დედა ოცნებობდა თავისი ქალიშვილის მუსიკოსობაზე. ყველანაირად ხელს უწყობდა, რომ მისგან კარგი პიანისტი დამდგარიყო. მათი მეზობელი, ოპერის თეატრის სოლისტი, ბალერინა ნატალია პაპინაშვილი იყო. ერთ მშვენიერ დღეს ნატალიამ ლარისას ხელი მოჰკიდა და ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე მიიყვანა. დედა დარწმუნებული იყო, რომ სასწავლებელში არ მიიღებდნენ და როდესაც მისი ქალიშვილი სასწავლებელში ჩარიცხეს, ძალიან განანწყნდა, გაებუტა და არ ელაპარაკებოდა. მერე ხელ-ნელა შეეგუა თავისი ქალიშვილის ბალერინობას, რაღას იზამდა. 10 წლის გოგონა ბალეტის ჯადოსნურ სამყაროში მოხვდა. ძალიან გაუმართლა, ლეგენდარული პედაგოგები ჰყავდა. პირველ კლასში – ვივი მეტრეველი, შემდეგ ქალბატონი ანა წერეთელი, მოგვიანებით კი – ქალბატონი ვერა წიგნაძე. მსახიობის ოსტატობას ქალბატონი ირინა ალექსიძე ასწავლიდა. ასეთ გარემოში სწავლობდნენ და იზრდებოდნენ ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეები. პატარა გოგონასათვის დაუვიწყარია პირველი გამოსვლა ოპერის თეატრის სცენაზე. ერთი მხრივ, ბალეტის სამყარო ლამაზი და ზღაპრულია, მეორე მხრივ, ეს ზღაპრული სამყარო კატორღულ შრომას მოითხოვს. თუ შრომა არ გიყვარს, რაც არ უნდა კარგი მონაცემები გქონდეს, ბალეტში წარმატებას ვერ მიიღწევ. ქალბატონი ლარისა ყველანაირად ცდილობს, რომ ეს თავის მოსწავლეებს შთაუწეროს და ბავშვებს შრომა შეაყვაროს.

როდესაც ოპერის თეატრში მიიღეს, იმ წელს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად გოგი ალექსიძე დანიშნეს. ბატონმა გოგიმ თეატრში განსხვავებული ხელწერა მოიტანა. ერთაქტიან ბალეტებს ქმნიდა სიმფონიურ მუსიკაზე: მოცარტი, ბახი, პროკოფიევი, შნიტკე. ეს ტექნიკურად რთული და განსხვავებული ქორეოგრაფია იყო, რაც ძალიან საინტერესო გახლდათ. ამავე დროს, ბატონმა გოგიმ პეტრე ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“ დადგა, რომელშიც ქალბატონმა ლარი-

ბატონმა გოგიმ კომპოზიტორების: რიმსკი-კორსაკოვის, მორის რაველის და ვახტანგ კახიძის მუსიკაზე შექმნა ბალეტი „შეპერება“, დამდგმელი მხატვარი კვლავ მურაზ მურვანიძე. სპექტაკლს დირიჟორობდა ვახტანგ კახიძე. ერთ-ერთ მთავარ პარტიაზე მონვეული იყო მაია ზლისეცკაია. დაუვინყარია გასტროლები იტალიასა და ესპანეთში, სადაც სპექტაკლს თვით კომპოზიტორი ფრანკო მანინი დაესწრო. ამ გასტროლებს დიდი წარმატება ხვდა წილად. მის ცხოვრებაში



საბალეტო სტუდია. ცენტრში ვახტანგ ჯაბუკიანი, მარჯვნიდან მესამე ლარისა რაჰკოვა-ჩხიკვიციანი.

სამ მაშას პარტია იცეკვა. ცნობილმა პროდიუსერმა, ვალენტინ პროჩინსკიმ იტალიელი კომპოზიტორის ფრანკო მანინის მუსიკაზე თბილისის ოპერის თეატრს შეუკვეთა ბალეტი „კოლუმბიდან ბროდვეიმდე“. დამდგმელი ბალეტმეისტერი გოგი ალექსიძე იყო, დამდგმელი მხატვარი მურაზ მურვანიძე. ასევე დაკვეთით

წარუშლელი კვალი დატოვა ურთიერთობამ უდიდეს ბალერინა — მაია ზლისეცკაიასთან.

დიდი პაუზის შემდეგ, თეატრში დადგმაზე მოიწვიეს ბატონი ვახტანგ ჯაბუკიანი. მან კრეინის ბალეტი „ლაურენსია“ განახორციელა, სადაც პასკუალას როლი იცეკვა. ბატონი ვახტანგი უდიდესი ავტორიტეტი

გახლდათ, ცოცხალი ლეგენდა, „ადამიანი ზევისი“. მისი რამდენადაც ემინოდათ, იმდენად უსაზღვროდ უყვარდათ. თუ რეპეტიციაზე რამე არ გამოსდიოდათ, საკმარისი იყო, რომ ბატონი ვახტანგი დაენახათ, თითქოს რაღაც ჯადოსნური ძალა მოქმედებსო, ყველაზე რთულ ილეთსაც კი თავისუფლად ართმევდნენ თავს. რა ბედნიერი იყო ქალბატონი ლარისა, როდესაც ბატონმა ვახტანგმა „ბაიადერა“ დადგა და ნიკიას როლი მას შესთავაზა.

მიხეილ ლავროსკის მოსვლით, ოპერისა და ბალეტის თეატრში ახალი ეტაპი დაიწყო. ბატონმა მიშამ გერშვინის ოპერის „პორგი და ბესის“ მუსიკაზე საბალეტო ვერსია შექმნა (მუსიკალური ვერსია ეკუთვნის მიხეილ ოძელს), დამდგმელი მხატვარი – მურაზ მურვანიძე, დირიჟორი ირაკლი ჭიაურელი. ქალბატონი ლარისა – თეთრ ბეს ცეკვავდა. თვითონ გერშვინის მუსიკიდან გამომდინარე, სპექტაკლი გააზრებული იყო როგორც შერწყმა, ასე ვთქვათ, ჯაზ-მოდერნ-ბალეტისა, განსაკუთრებით პირველი მოქმედება. ბატონმა მიშამ ჩამოიყვანა ოლგა სმოკი, რომელიც სპეციალურ ილეთებს ასწავლიდა მოცეკვავეებს. პრემიერამ ტრიუმფი, დიდი ბუმი გამოიწვია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მაშინდელ საბჭოთა კავშირში. ბატონმა მიშამ თბილისში ჩამოიყვანა და ბალეტის დასის გამგედ დანიშნა მაია პლისიუკაიას ძმა – ალექსანდრე პლისიუკი, რომელმაც ოპერის თეატრში გადმოიტანა ჯორჯ ბალანჩინის მიერ დადგმული პეტრე ჩაიკოვსკის „სერენადა“. „პორგი და ბესით“ დაინტერესდა დიდი თეატრი და ფინეთის ბალეტის თეატრი და გასტროლებზე მიიწვიეს ჩვენი დასი. ყველა ბალერინასათვის ერთხელ მაინც დიდი თეატრის სცენაზე გამოსვლა სანუკვარი ოცნებაა. გასტროლებზე ტრიუმფი და ბუმი განმეორდა. მოსკოვისა და ფინეთის მაყურებლის ოვაციები არ ცხრებოდა. ფინეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, ქალაქ ჰელსინკში დიდი საკონცერტო დარბაზი ქართულმა ბალეტმა გახსნა. პირველ მოქმედებაში იყო პეტრე ჩაიკოვსკის „სერენადა“, მეორე მოქმედებაში – გალა კონცერტი. ბატონი მიშა, ბატონი ალექსანდრე კი, პირიქით – მკაცრი, მომთხოვნი, ისინი ძალიან ავსებდნენ ერთმანეთს.

ქალბატონმა ლარისამ ოპერის თეატრში უფრო ახლოს გაიწვინო თავისი მომავალი მეუღლე, სახასიათო ცეკვის სოლისტი – პაატა ჩხიკვიშვილი. შეეძინათ ქალიშვილი – თეა. უკვე შვილიშვილები ჰყავთ – ანი და ელენე. ისინი ორმოცი წელია ერთად არიან.

ბალერინას შემოქმედებითი გზა ძალიან ხანმოკლეა. ქალბატონ ლარისას ძალიან უნდოდა, რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება ბავშვებისათვის გადაეცა. ამ მიზნით პედაგოგიკის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები დაამთავრა. რა მისცა ამ კურსებმა? ის, რომ მან უფრო დაკვირვებით დაიწყო მეყადინეობა, უფრო ღრმად დაფიქრდა ყოველ მოძრაობაზე, მის სანყისზე და განვითარებაზე. ეს იყო შეჯამება იმ ცოდნისა და გამოცდილებისა, რაც მას გააჩნდა. ყველა პარტია, რაზედაც ოცნებობდა, თითქმის ნაცეკვი აქვს. ეს სცენური გამოცდილება უმნიშვნელოვანესია, რაც ძალიან ეხმარება მას პედაგოგიურ სარბიელზე.

ქალბატონი ნინო ანანიაშვილი ყველანაირად ცდილობს, რომ თეატრის საბალეტო დასი და ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეები საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანოს. ქალბატონი ნინო ძალიან უყვართ და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საზღვარგარეთ. მისი ავტორიტეტის წყალობით და უშუალო ხელმძღვანელობით სასწავლებლის მოსწავლეები მრავალ საერთაშორისო კონკურსში იღებენ მონაწილეობას და რა სასიხარულოა, რომ იქიდან ჩვენი აღზრდილები გამარჯვებულები ბრუნდებიან. ესენი არიან პედაგოგ-რეპეტიტორ ქალბატონ ლარისას მონაფეები: **ნუსა ჩეკურაშვილი** (პეკინის და დონეცკის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი), **ნინო ხახუტაშვილი**, **სალომე ლევერაშვილი** (იტალიის ქ. ბარნის საერთაშორისო კონკურსის პროზიორები), **მაია მახათელი** (ჰოლანდიის ჰეტ ნაციონალური ბალეტის წამყვანი ბალერინა. მას ზედიზედ მეორე წელია ენიჭება ჟურნალ „დანს მაგაზინის“ ბალეტის კრიტიკოსების საერთაშორისო პრემია. წელს მიენიჭა ალექსანდრა რადიუსის ყოველწლიური პრესტიჟული საერთაშორისო პრემია, როგორც წლის საუკეთესო ბალერინას), **ნინო გოგუა** (მორის ბეჟარის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი), **ნინო სამადაშვილი** (ზაქა-



რია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი).

**ნინო ხახუტაშვილი, სალომე ლევერაშვილი:** „რუმინელმა ქორეოგრაფმა, ვალენტინ ბარდემმა გადაწყვიტა დაედგა ინტერნაციონალური ბალეტი ქალაქ ტიმიშუარაში. რუმინელმა, იაპონელმა, იტალიელმა და ქართველმა მოცეკვავეებმა ერთობლივად განახორციელეს შერტელის ბალეტი „ბებია და შვილიშვილი“. ჩვენმა მოსწავლეებმა ღირსეულად წარმოაჩინეს თავი ამ სპექტაკლში და წარმატებას მიაღწიეს“.

**მაია მახათელი:** „ბალეტის სამყაროში მეხუთე თაობა ვარ. ეს ჩემთვის დიდად საპასუხისმგებლოა. ქალბატონი ლარისა და მამაჩემი ოპერის თეატრის სოლისტი, ნუგზარ მახათელი პარტნიორები იყვნენ. მრავალი პარტია ერთადა აქვთ ნაცეკვი. ეს შემოქმედებითი ურთიერთობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობთ. როდესაც ქალბატონი ლარისა ჩემი პედაგოგი გახდა, ჩემს მიმართ ძალიან მკაცრი და დაუნდობელი იყო. ჩემგან ძალიან ბევრს მოითხოვდა გაკვეთილებზე. არასოდეს არაფერს მპატიობდა. ბევრი პა-დე-დე და ვარიაცია შემასწავლა. მე მადლიერი ვარ მისი და ჩემს აღმზრდელს დიდ მადლობას ვუხდით ყველაფრისათვის. ჩვენ, მისი მოსწავლეები, უკვე მისი კოლეგები და უძეგროსი მეგობრები ვართ“.

**ნინო გოგუა:** „მე ოპერაში გავიზარდე. მამაჩემი ოპერის თეატრის მოცეკვავე, აბესალომ გოგუა გახლდათ. კარგად მახსოვს ქალბატონი ლარისა ოპერის თეატრის სკენაზე. მე მისი პატარა თაყვანისმცემელი ვიყავი. გავიდა დრო და ქალბატონი ლარისა ჩემი პედაგოგი გახდა. მე მან აღმზარდა და როგორც ბალერინა ფეხზე დამაყენა. დიდი მადლობა მას ყველაფრისათვის“.

**ნინო სამადაშვილი:** „ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სანამ ჩავაბარებდი, იქამდე ვიცოდი, რომ სასწავლებლის ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგი ქალბატონი ლარისა ჩხიკვიშვილია და ჯერ კიდევ მაშინ ვნატრობდი მის კლასში მოხვედრას. ჩავაბარე და ჩავირიცხე ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.

კარგად მახსოვს პირველი დღე, როგორ ვღელავდი და ველოდებოდი – როდის შემოვიდოდა დარბაზში, როგორი იქნებოდა პირველი გაკვეთილი და თვითონ ქალბატონი ლარისა. იგი შემოვიდა – მომხიბვლელი,



მონაფაეხათან ერთად.


გაბრწყინებული თვალებით, ენერგიით სავსე. მასთან მუშაობა საოცრად საინტერესო იყო. იმდენად მიყვარდა გაკვეთილი და რეპეტიციები, რომ ეს არ იყო უბრალო გაკვეთილი, ეს იყო დიდი შემოქმედებითი პროცესი. ის ცდილობდა, რომ კლასში ერთი და ორი გამორჩეული ბავშვი კი არ ჰყოლოდა, არამედ მთელი კლასი ყოფილიყო ძლიერი. ცდილობდა, რომ ყველა თანაბრად ვყოფილიყავით დაკავებული, ყველას ჰქონოდა სოლო და ამიტომაც თეატრში სოლისტების უმეტესობა მისი მოსწავლეები ვართ. უბედნიერესი ვარ იმით, რომ ასეთი თბილი, მოსიყვარულე, ერთგული, მეგობრული, სამართლიანი, მუდამ გვერდში მდგომი ადამიანი ჩემი პედაგოგია, ვისივ დღემდე მადლიერი ვარ.

ქალბატონ ლარისას კლასში იმედის მომცემი, პერსპექტიული გოგონები ჰყავს. იმედია, ეს ბავშვებიც ასევე ასახელებენ ქართულ ხელოვნებასა და კულტურას თავიანთ საყვარელ პედაგოგთან ერთად“.

მუსიკალური საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია რიმა ბუჩუკურისა და ნათელა თავხელიძის ახლადგამოცემულმა წიგნმა „არტურ შნაბელი“. წიგნი ბილინგვისტურია (ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა) და მიეძღვნა თბილისის კონსერვატორიის 100 წლისთავს.

# არტურ შნაბელი

რეკავ თაჰაძე



არტურ შნაბელი

ნისტად მიიჩნევენ (და ეს მართლაც ასეა), რადგან მის მიერ ბეთჰოვენის ნაწარმოებების შესრულებამ და რედაქტირებამ ახალი ეპოქა დაიწყო პიანისტიკის ისტორიაში. გარდა ამისა, მან ახალი სივრცე მისცა ფრანც შუბერტის საფორტეპიანო შემოქმედებასაც, პირველმა დაწერა რა მისი საფორტეპიანო სონატების შესრულება დიდ ესტრადაზე. ბეთჰოვენისა და შუბერტის ინტერპრეტაციისათვის ფუნდამენტური და ქრესტომატიული მნიშვნელობა აქვს შნაბელის შემოქმედების ცოდნას.

დღემდე არ არსებობდა ქართულ ენაზე დაწერილი ნაშრომი შნაბელის შემოქმედების შესახებ. საბედნიეროდ, ეს დანაკლისი (ვფიქრობ ნარმატებით) შეავსო რ. ბუჩუკურისა და ნ. თავხელიძის მონოგრაფიამ „არტურ შნაბელი“. ამ წიგნს შნაბელის ცხოვრებისეული და საკონცერტო მოღვაწეობის ფაქტების გარდა, აშშ-კენებს ავტორების მიერ შეკრებილი შნაბელის ღრმა და გონებამახვილური 50 აფორიზმი (ე.წ. „შნაბელიზმები“) და გამოჩენილ მუსიკოსთა მრავალი გამონათქვამი, რომლებიც იძლევა წარმოდგენას შნაბელის უნიკალურ შემოქმედებით სტილზე. ძალზედ საინტერესოა ბოლო თავი — „შნაბელი და ბეთჰოვენი“, რომელშიც დღემდე საკამათო მოსაზრებების განხილვა, ამავდროულად ავლენს ბეთჰოვენისა და შნაბელის სულიერ ნათესაობას. ამ ნაშრომმა, ვფიქრობ, უნდა დააინტერესოს ახალგაზრდა პიანისტები, და საერთოდ, მუსიკის მრავალი თაყვანისმცემელი, რადგან, როგორც წერდა აკადემიკოსი ბორის ასაფიევი, „გაიგო შნაბელი, ნიშნავს გაამდიდრო საკუთარი მე“. სიამოვნებით ვულოცავ რიმა ბუჩუკურსა და ნათელა თავხელიძეს ამ საინტერესო და საჭირო წიგნის გამოცემას.

არტურ შნაბელი პიანისტიკის ისტორიაში შევიდა როგორც XX საუკუნის გამოჩენილი ნოვატორი ხელოვანი. მან დიდი ვაკლენა მოახდინა საფორტეპიანო შემსრულებლობასა და პედაგოგიკაზე. მას ლეგენდარულ პია-

# რიმა ბუჩუკური, ნათელა თავხელიძე არტურ შნაბელი

## ამონარიდები წიგნიდან

„ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე გერმანიაში დაწყებულმა ჰუმანიტარულმა კრიზისმა მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალი გამოჩენილი მოღვაწე იძულებული გახადა ქვეყნიდან ემიგრირებულიყო. შნაბელისთვის, როგორც მოქალაქისა და მხატვრისათვის უცხო იყო მხოლოდ „სუფთა ხელოვნების“ იდეებით გატაცებული კონფორმისტის პოზიცია. 1939 წელს იგი იღებს აშშ-ს მოქალაქეობას. უნდა ითქვას, რომ უკვე 1933 წელს მანჩესტერის უნივერსიტეტმა შნაბელს მინიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. საზეიმო ცერემონიაზე პიანისტის მიერ წარმოთქმული სიტყვა მოგვიანებით გამოიყა ცალკე ბროშურის სახით, სათაურით „მუსიკის სიყვარულის დეკლარაცია“ („Reflection on Musik“ Manchester, 1933). ამ მოვლენამ, ჩვენი აზრით, სიმბოლური ხასიათი მიიღო. მას შემდეგ მუსიკოსის შემოქმედებითი, ენერგიული ბუნება ვლინდება მის ახალ გატაცებაში – მას უჩნდება აუდიტორიასთან ვერბალური ურთიერთობის მოთხოვნილება. თავისი გულდია ხასიათის გამო შნაბელი ადვილად ეკონტაქტებოდა ინტელექტუალებს. საუბრებსა და დისკუსიებში იგი ამყვანებდა ერუდიციასა და დიდ კულტურას, რომელიც მან შეიძინა „დაუოკებელი, თავდაუზოგავი, დაჟინებული კითხვის შედეგად. მისთვის დამახასიათებელი იყო აზრის წვდომის უნარი, კარგი მეხსიერება და ნათლად გამოხატული დიალექტიკური ნიჭი...

ომის დროს შნაბელი ხშირად ურთიერთობდა

რიმა ბუჩუკური, ნათელა თავხელიძე

არტურ შნაბელი



Рима Бучукури, Натела Тавхелидзе

АРТУР ШНАБЕЛЬ

მეცნიერებსა და ქალაქ ჩიკაგოს უნივერსიტეტის მან-ნავლებლებთან. მათ შორის თბილი და მეგობრული ურთიერთობა წარმოიშვა, იქვე შედგა მისი დებიუტი ლექტორის ამბულაში. მან წაიკითხა სამი ბრწყინვალე ლექცია, მიძღვნილი სამუსიკო ხელოვნების განვითარებისა და გენეზისისადმი. 1942 წელს მისი ლექციების ტექსტი დაიბეჭდა პრინსტონის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ სათაურით „მუსიკა და უძლიერესი წინააღმდეგობის ხაზი“ („Music and the Line of Most Resistance“, Princeton, 1942). 1945 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტის მიწვევით იგი ატარებს 12 საუბარს სტუდენტებთან. უკვე შნაბელის სიკვდილის შემდეგ ამ საუბრების სტენოგრამა მისმა ვაჟმა – კარლ ულრიხ შნაბელმა გამოსცა. ამ საუბრების დროს პიანისტი ყვებოდა თავის ბიოგრაფიას და პასუხობდა სტუდენტების შეკითხვებს. ასე დაიბადა მასალა წიგნისთვის „ჩემი ცხოვრება და მუსიკა“, რომელიც გამოქვეყნდა უდიდესი მუსიკოსის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ („My life and Music“, London, 1961).

ყველა, ვინც ურთიერთობდა და მეგობრობდა შნაბელთან, ყოველთვის აღნიშნავდა მისი ლექსიკის ორიგინალურობას: ის გამოირჩეოდა ლაკონიურობით, ნათელი აზრითა და მხატვრული გამომსახველობით. თავად იგი ასე ხსნიდა თავის ნიჭს: „ხასიათით მე მოსაუბრე ვარ. მაგრამ, როგორც მოსაუბრეს, არა მაქვს საკმაო დრო ლაპარაკისთვის. მე ყოველთვის დროს ძირითადად მუსიკალურ ბგერებზე ვხარჯავდი და არა სიტყვებსა და საუბრებზე. და, სწორედ ამ მიზეზის გამო, განმივითარდა მისწრაფება გამოთქმების მოკლე ფორმისადმი, აფორიზმის სტილში“. საინტერესოა, რომ მისი მოსწავლეები მის მახვილგონივრულ გამონათქვამებს უწოდებდნენ „შნაბელიზმებს“, ხოლო ზოგი მისი თანამედროვე და მეოცე საუკუნის მკვლევარი ხშირად ხაზს უსვამდა მისი აფორიზმების პარადოქსულ ხასიათს. ჩვენ გავეცანით რა შნაბელის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მივიჩნიეთ, რომ იგი მუსიკოსთა ახალი თაობისთვის ძალიან თანამედროვედ, ღრმად, სასარ-

გებლოდ და სრულიად არაპარადოქსულად ჟღერს. მკითხველს ვთავაზობთ სხვადასხვა ტექსტებიდან ჩვენ მიერ შერჩეულ აფორიზმებს (წიგნში 50-ია – რედაქცია):

„მოცარტის მუსიკის შესრულება არ შეიძლება სანთლების შექმნა, ვინაიდან მოცარტი თვითონ მზეა“.

„მოცარტის მუსიკა უნივერსალურია. იგი წარმოადგენს როგორც ადამიანის სიმბოლოს სამყაროში, ისე მის რეაქციას მასზე. იგი საუკეთესოა ადამიანის შესაძლებლობების ფარგლებში შექმნილ ქმნილებათა შორის“.

„ბავშვებს ხშირად აძლევენ შესასრულებლად მოცარტის მუსიკას მასში ნოტების სიმცირისთვის, დიდები კი ერიდებიან მოცარტის თხზულებათა შესრულებას ნოტების უდიდესი მნიშვნელობის გამო“.

„ფორტეპიანოზე დაკვრის ტრადიცია ცუდი ჩვეულების კრებულს წარმოადგენს“.

„როცა უკრავთ სოლოს, თქვენ იგი ისე უნდა წარმოიდგინოთ, როგორც საანსამბლო მუსიკა“.

„შემსრულებელი, ისევე როგორც მსმენელი, მუსიკის სამსახურშია. თუ ორივე გარკვეულწილად მუსიკითაა შეპყრობილი, როგორღაც გაუგებენ ერთმანეთს და მათ თანაგანცდა დაეუფლებათ“.

როცა შნაბელს ჰკითხეს, თუ რომელ სკოლას მიეკუთვნება – იმას, რომელიც ასწავლის რიტმულად დაკვრას, თუ რომელიც ასწავლის დაკვრას ისე, როგორც თვითონ ვრძნობს, შნაბელმა უპასუხა: „რატომ არ შეგვიძლია ვიგრძნოთ რიტმულად“? (А. Шнабель. Моя жизнь и музыка. М., 1967, с.160-161).

30 ოქტომბერს ჯ. კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა კონცერტი, ლადო ათანელი – 25 წელი მსოფლიო საოპერო სცენაზე. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს იანო ალიბეგაშვილმა, ლ. ათანელის სახ. კონკურსის გამარჯვებულმა ირაკლი კახიძემ, თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა და საქართველოს სახელმწიფო კაპელამ ვახტანგ კახიძის დირიჟორობით.

# „ორფეოსის“ რჩეული

საქმილი ხავესურიანი

გერმანიის საერთაშორისო გამოცემა „ორფეოსმა“ შემდეგნაირად წარადგინა ქართველი მომღერალი ლადო ათანელი: „უმაღლესი კატეგორიის ბარიტონი საქართველოდან, ელეგანტური ფრაზირებითა და ვაჟკაცური ტემბრით, წარმოსადეგი და მშვენიერი გარეგნობით!“. მართლაც, ლადო ათანელმა, შეიძლება ითქვას, აღაფრთოვანა მსოფლიო მუსიკალური სამყარო და დახვეწილი გემოვნების ევროპელ მსმენელს ათქმევინა: „ეს ის ხელოვანია, რომელმაც პატარა საქართველოდან ხმელეთი გადაანათა“.

ლადო ათანელი სწავლობდა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ჯემალ ლორთქიფანიძის კლასში. შემდგომ მას ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული მომღერალი და პედაგოგი ნოდარ ანდლულაძე. ელვარე ნიჭით, თვითგანვითარებისა და თვითჩამოყალიბების დიდი უნარის, ასევე ხელმძღვანელის თავდაუზოგავი შრომის შედეგად, იგი დაადგა მსოფლიო ვოკალური ხელოვნებისაკენ მიმავალ გზას.

ლადო ათანელის წინსვლა დაიწყო მაშინ, როდესაც დიდმა მანქანებმა დაიწყეს მისი სიმღერის პირველი მოსმენისთანავე საოპერო დასში ჩარიცხვა და ოპერა „ბალ-მასკარადში“ რენატოს პარტია შესთავაზა. ეს იყო მომღერლის დებიუტი, რომელიც შედგა თბილისის საოპერო თეატრში. ქართველმა საზოგადოებამ სიხარულით მიიღო ლადო ათანელის გამოსვლა სცენაზე, უკვე აშკარა იყო



ლადო ათანელი

მისი ბრწყინვალე მომავალი. მართლაც, სულ მალე ლადო ათანელს მსოფლიო ასპარეზი გადაეშალა. მას აღტაცებით უსმენენ, ხოლო მუსიკალური ელიტა აღნიშნავს, რომ „ლადო ათანელის დარი ხმა საუკუნეში ერთხელ იბადება“.

ლადო ათანელმა სამ საერთაშორისო ვოკალურ კონკურსში მიიღო მონაწილეობა: ბელვედერეს კონკურსში (ავსტრია, ვენა), ფრანცისკო ვინიასის სახ.

კონკურსში (ესპანეთი, ბარსელონა), „ინესტელის“ პირველ კონკურსში (გერმანია, კიოლნი). მან სამივე კონკურსში გაიმარჯვა, გრან-პრი და პირველი პრემიები დაიმსახურა, კონკურსების ყიურისა და პრესას არ დაუშურებია უმაღლესი შეფასებები. ყოველივე ამან კი განაპირობა მსოფლიოში სახელგანთქმული საოპერო თეატრების მიერ ლადო ათანელის მიწვევა საოპერო სპექტაკლებსა და კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად. მაგალითად, ბელვედერეს კონკურსის მერე მიიწვიეს მსოფლიოს უპირველეს საოპერო თეატრ ლა-სკალაში, სადაც შეხვდა თეატრის მთავარ დირიჟორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს, რიკარდო მუტის. ლადო ათანელმა შესრულა მაკბეტის არია ვერდის ოპერიდან „მაკბეტი“. არიის დასრულებისას დირიჟორი ავიდა სცენაზე გახარებულ-გაოცებულ: „Prima“, „Bravo“ ამ სიტყვებით შესთავაზა მას ლა-სკალას სპექტაკლ „მაკბეტში“ მთავარი პარტიის შესრულება.

ლადო ათანელი რამდენჯერმე ესტუმრა პარიზის ბასტილიის ოპერას. ნაბუქოსა და რიგოლეტოს პარტიების შესრულებამ (ვერდის ოპერებიდან „ნაბუქო“ და „რიგოლეტო“) აღტაცებაში მოიყვანა მსმენელ-მაყურებელი, ოვაციები არ წყდებოდა, პარიზის პრესამ მას „ასკარატინი ბრილიანტი“ უწოდა.

იტალიის ქალაქ ტრიესტში ოპერა „ტოსკას“ პრემიერაზე ლადო ათანელმა იმღერა სკარპიას პარტია. პრემიერას ესწრებოდა დიდი მომღერალი პიერო კაპუჩილი. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ კაპუჩილი მიულოცა ლადო ათანელს ტრიუმფალური გამარჯვება და „ოქროს ყელი საქართველოდან“ უწოდა. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ მოიძებნება ისეთი ცნობილი საოპერო თეატრი, რომლის სცენაზეც არ ემღერა ლადო ათანელს დიდი წარმატებით.

მიმდინარე წლის მაისის თვეში ბათუმში ჩატარდა ლადო ათანელის ვოკალურ-სამემსრულებლო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კონცერტი. კონცერტს ესწრებოდა თბილისისა და ბათუმის ფართო საზოგადოება, მონაწილეობდნენ ბათუმის მუსიკალური ცენტრის სოლისტები, ლ. ათანელის კონკურსის გამარჯვებულები. ორკესტრს დირიჟორობდა დავით მუქერია. კონცერტმა დიდი

ტრიუმფით ჩაიარა, აღსანიშნავია, რომ აქ აჟღერდა პონკიელის ოპერა „ჯიოკონდა“, რაც საქართველოში პირველი შესრულება იყო.

ქართველი საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა ამავე წლის აპრილის თვეში ლადო ათანელის ჩასვლამ მშობლიურ ქალაქ დედოფლისწყაროში. ქალაქის მოსახლეობა დიდ სიხარულს განიცდიდა თავისი თანამემამულის ყოფნის გამო.

ლადო ათანელს, როგორც ყველგან და ყოველთვის აქაც მხარს უმშვენებდა მისი მეუღლე, ჰიანისტი, ქალბატონი მანანა ჩიქოვანი.

მშვენიერი ქალბატონი მანანა ჩიქოვანი შესანიშნავი ოჯახის შვილია (დედა მომღერალი, მამა მხატვარი შალვა ჩიქოვანი გახლდათ), იგი მეუღლის ყველა კონცერტის ხელმძღვანელი, მისი მუსიკალური მოღვაწეობის პირველი შემფასებელი და მრჩეველია. სწორედ ქ-ნი მანანა დიდ ყურადღებას აქცევს მეუღლის პროფესიულ ვარჯიშებს, რაც ვოკალური ხელოვნების სფეროში წარმატების საწინდარია. მისი ინიციატივითა და პროექტებით გამოიყვა „ლადო ათანელისა და მანანა ჩიქოვანის მოგონებები“, რომლებიც ნოველებად ჩაინერა მწერალმა გივი სიხარულიძემ. თავად მომღერალი ამბობს: „მანანა რომ გვერდით არ მყოლოდა, შეიძლება ლადო ათანელი დღეს მსოფლიოში აღიარებული მომღერალი არ ყოფილიყო“. უნიკალური მაგალითია მანანა ჩიქოვანისა და ლადო ათანელის თანაცხოვრება, ისინი უნისონში ცხოვრობენ!

ლადო ათანელმა 2009 წელს დააარსა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „თანადგომა“. მის შექმნაშიც დიდი წვლილი შეიტანა ქალბატონმა მანანა ჩიქოვანმა. ფონდის თავჯდომარედ არჩეულ იქნა პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი – ქალბატონი ციცო ჯაფარიძე. ფონდი ეხმარება ნიჭიერ ახალგაზრდებს, რათა მათ გაიკაფონ გზა საერთაშორისო ვოკალურ ასპარეზზე. ფონდმა გაუწია დახმარება აგრეთვე სკოლა-ინტერნატის უსინათლო მოსწავლეებს ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში ჩასარიცხად, ავადმყოფ ვოკალისტებს, ხელმოკლე მუსიკოსების ოჯახებს. ფონდის დახმარებით ბევრმა ნიჭიერმა ვო-

კალსიტმა განახორციელა მნიშვნელოვანი მიზანი: არმაზ დარაშვილი მოღვაწეობდა იტალიაში, მიშა ქირიამ დაამთავრა ლასკალას აკადემია, ირაკლი კა-

ხი, მეუღლე, პატივს სცემს ღირსეულ ადამიანებს და თვითონაც პატივცემულია მათგან. მისი სიმღერა, ანუ ძლიერი შემართებითი ბარიტონი, გაჯერებული ლი-



ხიძე და სულხან ჯაიანი მოღვაწეობენ საფრანგეთში, სალომე ჯიქია კი იტალიაში. ფონდი ეხმარება ახალგაზრდებს სწავლის გადასახადის დაფარვაშიც. „თანადგომა“ განაგრძობს მუშაობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან იბადება კითხვა – ვინ არის ლადო ათანელი? პასუხი ასეთია: მომღერალი, სახელწოდებებით: „ოქროს ყელი“, „ოქროს საბადო“, „ასკარატიანი ბრილიანტი“, „პლანეტის ბარიტონი“, შოთა რუსთაველი სახელობის პრემიის ლაურეატი, „სიკეთის რაინდის“ წოდების მატარებელი.

ლადო ათანელი პატრიოტია, ქველმოქმედი, მას უყვარს თავისი სამშობლო, ქართველი ხალხი, ოჯა-

რიზმით, სიცოცხლის, ცხოვრების ხალისს მათებს ადამიანს.

ამავე დროს თავს უფლებას მივცემ ბ-ნ ლადოს მივმართო თხოვნით, რომელსაც ალბათ გაიზიარებს ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი:

ბატონო ლადო! თქვენდამი სიამაყისა და სიყარულის გრძნობით განმსჭვალული გთხოვთ. საქართველოს დაუბრუნდეთ მუდმივად. თქვენ დიდ წვლილს შეიტანთ მის კულტურულ ცხოვრებაში, ქართველი ხალხი მიიღებს თქვენს დაბრუნებას დიდი იმედით, სიხარულით და „დაგვეფინებათ ყვავილი გზასა და კვალზედა“ მუდმივად, მარადიულად!


# რობერტ ბარძიმაშვილი

ნია ზახტაძე

განუზომლად დიდია საქართველოს სახალხო არტისტის, ღირსების ორდენის კავალერის, რობერტ ბარძიმაშვილის ღვაწლი ქართულ საესტრადო ხელოვნებაში. უნიჭიერესი მუსიკოსი, ნოვატორი, პირველი ქართველი მენეჯერი არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში. მის სახელთანაა დაკავშირებული რამდენიმე მაღალმხატვრული საესტრადო ანსამბლის დაარსება: ვოკალურ – ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“, ანსამბლები „ვია 75“, „ფორჯია“, ჯგუფი „ბარძიმი“, საბავშვო ანსამბლი „ლახტი“.

რობერტ ბარძიმაშვილი ფართო დიაპაზონის ხელოვანი იყო. მას ჰქონდა საოცარი ინტუიცია და დროის შეგრძნება. რობერტ ბარძიმაშვილმა აღმოაჩინა და გზა გაუკვალა შემდგომში უკვე საყოველთაოდ ცნობილ კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს.

1958 წელს უცხო ენათა ინსტიტუტში რ. ბარძიმაშვილმა ჩამოაყალიბა ანსამბლი „ორერა“, თუმცა მისი ოფიციალურ შექმნის თარიღად 1961 წელია მიჩნეული. იგი იყო პირველი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი მთელ საბჭოთა კავშირში, რომელმაც უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. მათ წარმატებული გასტროლები ჰქონდათ და მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტი შემოიარეს. 1964 წელს „ორერა“ ლონდონის სახელგანთქმულ დარბაზებში „როიალ ალბერტ ჰოლსა“ და „პალადიუმში“ მართავდა კონცერტებს. ანსამბლმა სრულიად დაამსხვრია საბჭოთა სტერეოტიპები. მისი შოუ-პროგრამები არამხოლოდ მუსიკალურად იყო განსაკუთრებული და ახალი, არამედ ყურადღებას იპყრობდა ანსამბლის წევრების დახვეწილი და ლაღი მანერით, მოდური ჩაცმულობით, შოუს ელემენტებით; უცხო ენაზე შესრულებული სიმღერები



რობერტ ბარძიმაშვილი

სრულიად ახალი სიტყვა იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის საესტრადო ხელოვნებაში. პირველ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს უამრავი მიმდევარი გაუჩნდა. ისინი „ორერას“ ყველაფერში ბაძვდნენ. „ორერამ“ სათავე დაუდო ვოკალურ-ინსტრუმენტული ჟანრის განვითარებას ქართულ საესტრადო ხელოვნებაში.

რ. ბარძიმაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ანსამბლის ქართულ რეპერტუარს. „ორერასთვის“ სპეციალურად ქმნიდნენ სიმღერებს სახელოვანი კომპოზიტორები: გ. ცაბაძე, შ. მილორავა, ს. ცინცაძე, რ. ლალიძე, ვ. აზარაშვილი და სხვები. მდიდარი ქართული მრავალხმიანობის ტრადიციების შერწყმამ თანამედროვე მუსიკალურ ენასთან, ანსამბლის სტილი და ხელწერა უნიკალურად აქცია.

„ორერა“ ყოველ წელს ახალ პროგრამას ამზადებდა. ანსამბლის წევრებს პოპულარული მხატვრული ფილმების გასახმოვანებლადაც იწვევდნენ (ფილმები: „წარსული ზაფხული“, „თოფინები იციანიან“, „რაც გი-



ნახავს ვედარ ნახავ“ და სხვა). 1968 წელს საქართველოს ტელევიზიაში რეჟისორმა ზაალ კაკაბაძემ გადაიღო ფილმი „ორერა სრული სვლით“, რომლის სცენარიც ეკუთვნის რ. ბარძიმაშვილს და ა. გელოვანს. ამ ფილმს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. რობერტ ბარძიმაშვილის ინიციატივით გადაიღეს პირველი მუსიკალური კლიპი „მეფუნთუშე გოგონა“.

1975 წელს რობერტ ბარძიმაშვილმა დააარსა „ვია 75“. მან შემოიკრიბა ნიჭიერი ახლგაზრდები, პრო-



ვოკალურ- ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“

ფესიონალები, მათი უმრავლესობა კონსერვატორიის სტუდენტი იყო და შექმნა სტილისტურად სრულიად განსხვავებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი.

რობერტ ბარძიმაშვილის ძიება უსასრულო იყო და ყოველთვის სიახლე შემოჰქონდა ქართულ სამუსიკო ხელოვნებაში. მან „ვია 75“-ის რეპერტუარში შემოიტანა უცნობ ავტორთა სიმღერები. ისინი შემდგომში ცნობილი კომპოზიტორები გახდნენ: ვაჟა დურგლიშვილი, ნუგზარ ერგემლიძე, ზურაბ მანაგაძე. მათ შორის იყო ახალგაზრდა იოსებ ბარდანაშვილი, რომელმაც 1977 წელს შექმნა პირველი როკ-ოპერა „ალტერნატივა“ (რეჟისორი რობერტ სტურუა, მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი). ამ სპექტაკლმა სცენაზე სამი წელი იცოცხლა.

1979 წელს ანსამბლი გამოვიდა ქ. იალტაში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სიმღერების | საკავშირო კონკურსზე და მიიღო ლაურეატის წოდება.



როზარს ბარძიმაშვილი, ნანი ზრეზვაძე

1985–1992 წლებში რ. ბარძიმაშვილი სათავეში ედგა ანსამბლ „ჯორჯიას“. სიცოცხლის ბოლო წლები მან პედაგოგიურ მოღვაწეობას მიუძღვნა და დაარსა საკუთარი სტუდია „ლახტი“, სადაც აღიზარდნენ ლევან ლაზარიშვილი, დათო ოძელაშვილი, დათო ხუჯაძე და სხვები. ეს სტუდია დღესაც განაგრძობს რ. ბარძიმაშვილის დანერგულ საქმეს.

**სოსო ბარდანაშვილი:** „ქართულ ხელოვნებაში არიან პიროვნებები, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს ჩვენს მუსიკალურ კულტურაზე. ამ მხრივ რობერტ ბარძიმაშვილს განსაკუთრებული ადგილი უკავია. რობერტი ინტერესების ძალზედ ფართო სპექტრს ფლობდა. მას ჰქონდა საოცარი ინტუიცია და დროის შეგრძნება. მისი მოღვაწეობა „ორერასთან“, შემდეგ ანსამბლი „75“ და თუნდაც როკ-ოპერა „ალტერნე-



კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი, როზარს ბარძიმაშვილი

ტივა“ (კომპოზიტორი მე ვიყავი). მაშინ ჩვენი საზოგადოება არ იყო მზად ამ უანრისთვის, მაგრამ რობერტ ბარდიმაშვილის ძიება უსასრულო იყო და ყოველთვის უნდოდა სიახლის შემოტანა ქართულ სამუსიკო ხელოვნებაში. დღესაც მიკვირს, რა ნიშნით ამირჩია მან სრულიად ახალგაზრდა და ჯერ კიდევ გამოუცდელი კომპოზიტორი. როკ-ოპერის რეჟისორად რობერტმა მოიწვია რობერტ სტურუა, მხატვარი გოგი ალექსიმესხიშვილი და ქორეოგრაფი იური ბარუცკი. ფილარმონიის დირექცია და მთელი თეატრალური ელიტა მის გარშემო ტრიალებდა. შემოქმედებითი პროცესი ძალიან საინტერესოდ წარიმართა და პრემიერაც საკმაოდ წარმატებული იყო. ოპერამ 3 წელი იცოცხლა. ამ სპექტაკლით ანსამბლმა „75“-მა მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირი შემოიარა. რობერტ ბარდიმაშვილს განსაკუთრებული გემოვნება ჰქონდა. როდესაც მისი თხოვნით ჩემი სიმღერები მოვასმენინე. ოთხიდან ორი შეარჩია, ერთ კვირაში ჩანერა და მაშინვე ეს სიმღერები საოცრად პოპულარული გახდა. მათ შორის „რამ შემქმნა ადმიანად“ ვაჟა-ფშაველას ლექსზე.

რობერტ ბარდიმაშვილმა აღმოაჩინა ვაჟა დურგლიშვილი, ნუგზარ ერგემლიძე, გურამ მანაგაძე, თუ გნებავთ, სოსო ბარდანაშვილი, არაერთი ახალგაზრდა მომღერალი და მუსიკოსი და ცნობილი სახელები გახდა. ჩემს სამუშაო ოთახში განსაკუთრებული ადამიანების სურათებს რობერტის სურათი ამშვენებს. ჩემს ცხოვრებაზე მან ძალიან დიდი გავლენა იქონია, ალბათ, ვადაძმევეტიც კი. აი, ასეთი იყო რობერტ ბარდიმაშვილი“.

**რობერტ სტურუა:** „რობერტ ბარდიმაშვილი არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. მისმა მოღვაწეობამ ძალიან დიდი როლი ითამაშა არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირში. რობერტმა ფრანგული ენის ფაკულტეტი დაამთავრა უცხო ენათა ინსტიტუტში და პირველივე ფრანგული სიმღერა, რომელიც მან შეასრულა, ძალიან პოპულარული გახდა და მთელ საქართველოს მოედო. შემდეგ უკვე ანსამბლი „ორერა“. ისინი უცხოეთშიც მოგზაურობდნენ. ეს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი შეიქმნა მაშინ, როდესაც „ბითლსები“ ყოფილ საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. „ორერა“ ასრულებდა

სიმღერებს მათი რეპერტუარიდან და ამიტომაც მათ „საბჭოთა ბითლსებს“ უწოდებდნენ.

რობერტი არასოდეს არ ისვენებდა, სულ ახალ-ახალ იდეებს აფრქვევდა. ძალიან აქტიური კაცი იყო. ამიტომაც მიყვარდა და ვაფასებდი. რობერტი კონცერტებისთვის ყოველთვის კარგ თემებს ირჩევდა. ანსამბლი „75“ არამარტო იმის გამო გახდა პოპულარული რომ ბიტლები კარგად უკრავდნენ და მღეროდნენ, არამედ რეპერტუარის გამოც. რობერტს განსაკუთრებული თვისება ჰქონდა სიმღერების არჩევის და გუსტად იცოდა რა მოეწონებოდა ხალხს. მე ვიყავი ანსამბლ „75“-ის პირველი კონცერტის რეჟისორი. ასევე როკ-ოპერის ლიბრეტო მე დავწერე. ძალიან საინტერესო იყო რობერტ ბარდიმაშვილთან მუშაობა. მას დიდი გამოცდილება ჰქონდა, ჭკვიანი ადამიანი იყო. ჩვენ ოჯახებითაც ვმეგობრობდით და ფაქტობრივად სულ ერთად ვიყავით“.

**რომა რეხილაძე:** „ჩემი განვლილი ცხოვრების ყველაზე ლამაზი, ყველაზე ბარაქიანი და ყველაზე ჰარმონიული წლები დაკავშირებულია რობერტ ბარდიმაშვილთან და ანსამბლ „75“-თან. რობერტმა ძალზედ ვაბედული ნაბიჯი გადადგა, რასაც ხშირად სპორტში აკეთებენ: მან დატოვა „ორერა“ სწორედ იმ დროს, როდესაც ეს ანსამბლი ბენიტში იმყოფებოდა. ეს ყველასთვის დიდი შოკი იყო. მან შეკრიბა ახალგაზრდები, პროფესიონალი მუსიკოსები და ახალი ანსამბლი ჩამოაყალიბა, რაც სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართულ ესტრადაში. ფაქტობრივად. რევოლუცია მოახდინა. რობერტი ძალიან მომთხოვნი იყო. ბიტლები ღამეებს ვატენებდით. მე არანაირი დაძვეალა და ხშირად ოთახშიც მკეთავდნენ. ბევრს ვმუშაობდით. დიდი პატივისცემა იყო იმ საქმის მიმართ, რასაც ვემსახურებოდით. მე მაღლობას ვუხედი უფაღს, რომ ჩემს ცხოვრებაში იყო ასეთი მასტრო, ასეთი დიდი მენეჯერი და ასეთი პიროვნება, რომელმაც თავის კოლეგებთან ერთად შექმნა ისტორია. ეს ჩვენი შთამომავლობისთვის იქნება დიდი მაგალითი, თუ როგორ უნდა ჩამოაყალიბდეს გემოვნება. სულ ყურში მაქვს რობერტის რჩევები, მისი ხმა... თუ ჯანსაღი ამბიცია გვაქვს ვემსახუროთ მუსიკას, ეს რობერტ ბარდიმაშვილის დამსახურებაა“.

**გიგა ბათიაშვილი:** „რობერტ ბარძიმაშვილი განსაკუთრებული პიროვნება იყო. მან თავისი, განუმეორებელი ხაზი შექმნა ქართულ სამუსიკო ხელოვნებაში. ისეთი ტექნიკური თბილისელი, მთანმინდელი, როგორც რობერტი იყო, ბევრი არ შერჩენია ჩვენს ეპოქას. ამიტომ ის ინტონაციები, რომელიც მისი ხმის ტემპრისათვის და შესრულების მანერისათვისა დამახასიათებელი, სწორედ ამით არის განპირობებული. ჩვენ კლასიკური ვიყავით. რობერტი უნიჭიერესი ბიჭი იყო. ის არაჩვეულებრივად ხატავდა და ვფიქრობდით, რომ ხატვას გაყვებოდა, მაგრამ მან მუსიკა აირჩია. რობერტმა, ფაქტობრივად, „არაფრისგან“ დაიწყო. ინსტიტუტში ტიროლურ სიმღერებს მღეროდა. შემდეგ უკვე პროფესიული ანსამბლი შექმნა და წევრებიც ისეთი აირჩია, რომ ბოლოს ყველა ვარსკვლავებად აქცია. რობერტი ცხოვრებაში ვერანაირ ნაგებს ვერ



ჰოპალურ- ინსტრუმენტული ანსამბლი „30+ 75“



საგავაშვილო ანსამბლი „ლასტი“

გვეუბოდა. ეს თვისებაც მას ბავშვობიდან გამოყვა. მის „გემს“ ეს აძლევდა გემს. გამოკვეთილად ჰქონდა ლიდერის თვისებები და მან გარკვეულწილად ეპოქა შექმნა ქართულ მუსიკალურ კულტურაში“.

**ჯანსუღ კახიძე:** „რობერტ ბარძიმაშვილი გახლდათ მუსიკოსი და პიროვნება, რომელმაც ჩვენს საზოგადოებას თავი დაამახსოვრა საესტრადო მუსიკის უნარში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ტაბუკი, დაფილდოვებული მუსიკალური და ამავე დროს ძლიერი ორგანიზატორული ნიჭით, უცხო ენათა ინსტიტუტში ქმნის ანსამბლს, რომელიც შემდგომში პროფესიულ სახეს ღებულობს და ჩვენთვის ყველასათვის ცნობილი და საამაყო ანსამბლი „ორერა“, მისი ნიჭიერების წარმოსაჩენი სარბიელი გახდა. თავად რობერტი ძალიან საინტერესო მომღერალი იყო. მთელი შინაგანი არსებით მღეროდა და აფრქვევდა საკუთარ შინაგან სამყაროს. მე მომწონდა მისი სულიკვეთება, ძალიან საინტერესო სახეებს ქმნიდა საესტრადო მუსიკაში. ამავე დროს, მან გამოამყვანა დიდი ნიჭიერება, როგორც ხელმძღვანელმა: ანსამბლების შექმნა, მათი რეპერტუარის ჩამოყალიბება, საუკეთესო ახალგაზრდების მიზიდვა და ის საყოველთაო სახელი, რომელიც მათ მოიპოვეს ჯერ საქართველოში, შემდეგ ყოფილ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ. დიდ პატივს ვცემ მას, როგორც პიროვნებას და როგორც მუსიკოსს. რობერტმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართული საესტრადო მუსიკის განვითარებაში“.

**ყველა დროის ყველაზე წარმატებულ კინოს კომპოზიტორად წოდებულმა ჯონ უილიამსმა, რეჟისორ ჯონ ფორლთან და მსახიობ ელიზაბეტ ტელიორთან ერთად, მოიპოვა AFI-ს ჯილდო.** უილიამსისა და რეჟისორ სტივენ სპილბერგის შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგი გახლავთ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე შექმნილი მალაშატერული ფილმები: „ყბები“, სერიალები „ალიანა ჯონსი“ და „იურსკის პარკი“. იგი გახლდათ ხუთი ოსკარის მფლობელი და იყო ნომინირებული 49-ჯერ; „Star Wars“-ის („ვარსკვლავური ომები“) მუსიკა დღემდე ყველას ახსოვს. 2005 წელს „Star Wars“-ისათვის ლონდონის სიმფონიურმა ორკესტრმა ჩაწერა საუნდტრეკი (ისევე, როგორც არაერთი საუნდტრეკი). ის დაასახელეს AFI მიერ ტრანსლირებული ყველა დროის საუკეთესო ფილმად. როგორც წერენ „უილიამსის გენიამ თავისი დიდი გაქანებით მეტი მაგიურობა შესძინა კინემატოგრაფს“.

**ავსტრალიაში, ქიუში მოიპარეს \$150000-ის ღირებულების ვიოლინოები, ალტები, ვიოლონჩელები.** ნაქურდალი საკრავების საერთო ფასი შეადგენს \$166300. ქურდმა ეს მოახერხა კლასიკური შემფასებლების თვალწინ. ძვირფასი ინსტრუმენტები ეწყო თეთრ ფორდში, ჰაი სტრიტზე. როგორც პოლიცია იტყობინება, ქურდმა ჩა-

ამტერია მანქანის გვერდითი მინა, რომ მოუპოვებინა საკრავები. მოპარულ ინსტრუმენტებს შორის იყო – 1960 წელს ლეანდრო ბისჩის მიერ შექმნილი ალტი, შეფასებული \$90000-ად, კრემონის სერიის საკრავი შექმნილი 1913 წელს რომეო ანტონიეზის მიერ, შეფასებული \$550004-ად; \$12500 ღირებულების 1840 წელს ფრანგი კლოდ ლებლანის მიერ დამზადებული ალტი, \$6000-ის ღირებულების ფრანსუა ბრეტონის ვიოლინო და \$2800-ის ღირებულების ჩარლზ რესურის ალტი. ყველა ეს საკრავი ზედმინვენით აღადგინა ოსტატმა ლუსერ ჯონ ფერვერდამ – ნიდრის სამუსიკო სკოლისათვის. მაღაზიის მუპატრონემ დანა კაზარსკომ სთხოვა ამ სკოლის ერთ-ერთ ასისტენტს დაეხმებინა საკრავები სიდნეის უნივერსიტეტში. ამასობაში მუპატრონემ ინსტრუმენტები დატოვა მანქანაში მთელი ღამის განმავლობაში. ვერჯურობით უცნობია რამდენი ადამიანი მონაწილეობდა ამ ქურდობაში.

**91 წლის ასაკში გარდაიცვალა რიჩარდ ჰოროვიცი, ტიმპანისტი და „სადირიურო ნკეპლების სტრადივარად“ წოდებული.** მეტროპოლიტენ ოპერის ორკესტრის ლიტავრისტი რიჩარდ ჰოროვიცი ცნობილი მუსიკოსი გახლდათ. მან სახელი გაითქვა თავისი მეორე და შემდგომში უკვე, შეიძლება ითქვას, ძირითადი საქმიანობით. მისთვისვე მოულოდნელად ის იქცა სადირიურო ნკეპლების ოსტატად. ეს

ამბავი კი შემდეგნაირად მოხდა: გასული საუკუნის 60-იან წლებში მეტროპოლიტენ-ოპერაში ერთ-ერთი საორკესტრო რეპეტიციის დროს, როდესაც ჰოროვიცს მისი კუთვნილი ლიტავრისტის ადგილი ეკავა, დირიჟორმა კარლ ბომმა გატეხა თავისი სადირიურო ნკეპლა, შემდგომ მოისროლა მეორეც და დასძინა, რომ აღარ არსებობს ხარისხიანი სადირიურო ნკეპლა. ჰოროვიცმა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ხელმარჯვეობით, აიღო დამტვრეული ნკეპლა და მიაშურა საქვავე ოთახს. გარკვეული ხნის შემდეგ მან საქვავედან გამოიტანა გატეხილი ჯოხის ასლი, რომლის ხარისხიანობაც შემდგომში დადასტურდა. ასე დაიწყო მისი მეორე კარიერა.

ჰოროვიცი ნკეპლებს დირიჟორებისათვის ინდივიდუალურად ქმნიდა. შეკვეთის მიღების შემდეგ თავის კლიენტს უზომავდა სიგრძეს იდაყვიდან თითების ბოლოებამდე, ასინჯინებდა კანსა და ხელისგულს. მთლიან ჯოხს არყის ხისგან თლიდა, ტარი კი საცობის ხის უნდა ყოფილიყო.

„სადირიურო ნკეპლების სტრადივარის“ ოსტატობას ემადლიერებოდნენ XX ს-ის გამოჩენილი დირიჟორები: ჯეიმს ლივინი, ლეონარდ ბერნსტაინი, კარლ ბომი, სარა კოლდუელი, კოლინ დევისი, კრისტოფ ფონ დონანი, ხოსე სერუბრიერი და სხვ. ბერნსტაინი იმდენად შეყვარებული იყო მის სადირიურო ნკეპლაზე, რომ გარდაცვალების შემდეგ საფლავში ჩაატანეს.

**12 ნოემბერს ტექნიკოსთა გაფიცვამ „ლა სკალას“ თეატრი იძულებული გახადა „მანონის“ პირველი წარმოდგენა გაუქმებინა.** ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში თეატრმა მოიბოდიშა მომხდარის გამო. განცხადებაში აგრეთვე ვკითხულობთ, რომ მოლოდინის მიუხედავად, ყველა მუშათა გაერთიანებამ წარმოდგენისათვის აუცილებელი სამუშაოების შესრულებაზე უარი განაცხადა. უკანასკნელ ხანებში განვითარებული რეცესიის გამო იტალიის მთავრობამ ხელოვნების სფეროს დაფინანსება შეუკვეცა. ჟურნალ „ოპერა ახლა“-ს რედაქტორის, აშუტო შქანდერაკის განცხადებით, იმდენად, რამდენადაც „ლა სკალას“ ძირითადად ზედა სოციალური ფენის წარმომადგენლები სტუმრობენ, პროფკავშირების ეს ქმედება მიზანმიმართული სვლაა პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების წინააღმდეგ.

**ეჯინ ხფოლვაკი, ავღანეთის მუსიკის ეროვნული ინსტიტუტის სტუდენტი, ქვეყნის პირველი ქალი დირიჟორია.** ქვეყანაში, სადაც რამდენიმე წლის წინ თალიბანმა მუსიკა აკრძალა, ქალმა სტუდენტებმა პირველი კონცერტი გამართეს. ავღანეთის მუსიკის ეროვნული ინსტიტუტი, რომელშიც ავღანელთა გარდა ამერიკელი, ავსტრალიელი, რუსი და ინდოელი პედაგოგები არიან დასაქმებულნი, 2010 წელს დაარსდა. დღეს აქ 200 სტუდენტი

სწავლობს, აქედან 50 გოგონაა. ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორია ჰმადნა სერ სარმასტი, რომელიც არაერთხელ გახდა თავდასხმის ობიექტი. შარშან, დეკემბრის თვეში, კინალამ თვითმკვლელი ტერორისტის მსხვერპლი შეიქნა. მისი განცხადებით, იგი ძალადობასა და ტერორიზმს კულტურითა და ხელოვნებით, განსაკუთრებით კი მუსიკით უპირისპირდება.

**გასული საუკუნის პოპ-კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი დევიდ ბოუი, 68 წლის ასაკშიც არ კარგავს აქტუალობას.** ათწლიანი პაუზის შემდეგ, 2013 წელს მან მოულოდნელად საზოგადოებას აუწყა მორიგი ალბომის “Blackstar” შექმნა, რომელიც მის 69-ე დაბადების დღეს, 8 იანვარს გამოვა. მანამდე კი ინტერნეტში ამავე სახელწოდების კომპოზიციამ გაღაღებული 10 წუთიანი ვიდეო-გოლი გამოჩნდა. ბოუი კვლავინდებურად მიუბრუნდა 1969 წელს მის მიერ შექმნილ ფიქციურ პერსონაჟს, მაიორ ტომს. სავარაუდოდ, ვიდეოში ნაჩვენები ასტრონავტი, რომელიც უცხო პლანეტაზე ახალ კულტს უდებს სათავეს, სწორედ ის არის. ბოუიმ არ უღალატა ტრადიციას და ექსპერიმენტებს მიმართა. კვლავ შეიმჩნევა ელექტრონული მუსიკის პიონერის – Kraftwerk-ის გავლენა, რომლის ნევრებთანაც მას, დასავლეთ ბერლინში გატარებული წლების მანძილზე, ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

**Google-მა აღნიშნა ადოლფ საქსის 201-ე დაბადების დღე.** Google-ის საოჯახო გვერდზე ცნობილი გახდა ის ხუთი ხელოვნების ნიმუში, რითაც დაჯილდოებული იქნა საქსოფონის ბელგიელი გამომგონებელი. თავისთავად აღსანიშნავია Google-ის იდეა, აღნიშნა 201 წლის წინ მოვლენილ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გამომგონებლის დაბადების დღე. Google -ის საჩუქრებს წარმოადგენენ: ნახატები, ანიმაციები, რისი ნახვაც შესაძლებელია საძიებელი სისტემის მთავარ გვერდზე. გამომგონებლის კარიკატურის – მისივე ინსტრუმენტით და აგრეთვე Google-ის საკულტო ლოგოს ავტორი ამჯერად გახლავთ ლიდია ნიკოლსი.

საქსის გამომგონებებს აგრეთვე მიეკუთვნება. საქსოტრომბა, საქს-ჰორნი და საქსტუბა (Saxotromba, Saxhorn, Saxtuba).

XX ს-ში საქსოფონი იქცა ჯაზური მუსიკის სიმბოლოდ და დიდი მუსიკოსების – ლესტერ იანგის, ჩარლ პარკერისა და ჯონ კოლტრენის ცხოვრების თანამგზავრად. ეს საკრავი ფიგურირებს კლასიკური მუსიკის არაერთ მნიშვნელოვან პარტიტურაში, მათ შორის რაველის „ბოლეროში“.

საქსოფონი ჩართული ძალიან პოპულარულ კლასიკურ ჩანანერებში. მაგ., სულ ახლახან საქსოფონისტების – ბრენფორდ მარსალისის და ემი დიკსონის ჩანანერები იქცა კლასიკური მუსიკის მოყვარულთა ბესოსელერად.

## SUMMARY

---

### THE EPOCHAL PORTRAITS

*Gulbat Toradze*

*Rusudan Tsurtsumia*

**Sulkhan Tsintsadze – 90**

The publications are dedicated to the famous Georgian composer, Sulkhan Tsintsadze's 90<sup>th</sup> anniversary since his birth.

S. Tsintsadze's creative work is distinguished by its genre variety. His musical works of various genre have been recognized but the string quartets and plays were the "Renome" of the virtuoso master and the artist of the refined aesthetical culture. That is the music, living forever, the music that was and will be worthily represented at any international forum.

The co-editor of the magazine Tamar Tsulukidze met and talked with those who had intensive creative or personal relations with the composer: the members of Sulkhan Tsintsadze string quartet: Nodar Zhvania and Otar Chubinishvili, Irakli Tsintsadze, the son of the composer Sulkhan Tsintsadze.

### THE FESTIVAL

*Tamar Mukeria*

**"The Night Serenades" is Tbilisi-Batumi Festival**

The world famous violinist Liana Isakadze is one of the first beginners of the classic music festival life in Georgia. On her initiative, in 1982, in Bichvinta, the International Festival "The Night Serenades" was held for the first time.

The festival was being held in every summer until since 1991 the well-known events in Georgia did not cease its existence. The interval lasted for 18 months and in 2009, Liana Isakadze renewed "The Night Serenades". For a certain period it was held in Borjomi, later Batumi became its hostess. This year, "The Night Serenades" was held for the seventh time. Since 2013, the addition of the conclusive concerts was conditioned by the great interest towards the festival.

### THE FAMILY ARCHIVE

*Ketevan Bakradze*

**In memoriam: Anna Tulashvili and Nana Kiladze**

The article is dedicated to two musicians: Anna Tulashvili, a famous piano teacher, one of the founders of school of pianism in Georgia and Nana Kiladze, her student and relative, who served as guardian of Anna Tulashvili's unique archive for decades. Last year Nana Kiladze's family donated the archive to Tbilisi State Conservatory. On this occasion the Museum of Conservatory organized an event to pay tribute to these two persons and acknowledge their contribution.

Anna Tulashvili was an incredibly gifted and intuitive teacher. Throughout her 62-year long career she raised a cadre of piano performers who gained international recognition and set up highest standards of teaching at Tbilisi Conservatory. Tulashvili taught Rudolph Kerer, Tengiz Amirejibi, Vanda Shiukashvili, Margarita Chkheidze, Gulnara Kavtaradze and many other talented pianists. The event featured young musicians: Tsofne Tsoskhalashvili, Irma Gigani, Soso Jugashvili and Gvanca Kobalia, who can be regarded as Tulashvili's "great - grand children" as their professors studied in Tulashvili's class and continue her tradition of teaching.

The article highlights the most memorable moments of this event, including recollections of Anna Tulashvili's students and Nana Kiladze's colleagues who created vivid portraits of two remarkable musicians.

### UNFORGETFULNESS

*Maia Tabliashvili*

**To the Remembrance of Devil Arutinov-Jincharadze**

The article is dedicated to the recently passed prof. of Tbilisi State Conservatoire, one of the active authors of this magazine – Devil Arutinov-Jincharadze. His scientific, pedagogical-creative activity may be divided into two periods. The first period was connected with Moscow Conservatoire (1961-1991) and the second one with Tbilisi State Conservatoire (1991-

2015). He led the main musical-theoretical disciplines – the analysis of the musical works, the courses of polyphony and harmony with the students of various specialities from various countries. His scientific heritage consists in monographs, textbooks, program-synopsis, collections, articles, in the whole over 100 scientific works. Actually he formed the school of his own. At Moscow and Tbilisi conservatoires, musical-pedagogical institute, more than 40 works were written and defended.

D. Arutinov-Jincharadze was distinguished by his sincerity, care, the wonderful ability of inspiration and generosity of distributing knowledge.

#### FROM THE VIEW OF THE YEARS

*Gvantsa Ghvinjilia*

##### **The Portrait**

The Gifted High School, Conservatoire, post-graduate studentship, the starting of the pedagogical activity at school and Conservatoire, qualification work, academic degree, the direction of the music history chair, holding the post of pro-rector, broad public activity at the Composer's Union, making a speech publicly, the organization and leading of the musical evenings, the active collaboration with Media, such are the main lines of the musicologist Dodo Gogua, the specialist of high professional rank. The whole panorama of this varied activity of hers was spread in spring 2015, at the jubilee concert at the Conservatoire where she was awarded the Degree of the Honorary Doctor of Conservatoire. Now the collection of Dodo Gogua's scientific research works are being prepared, which will play the role of some kind of guide for the musicologists of the future generation.

CASE №...

*Mzia Japaridze*

##### **“Whatever has happened with me, Shouldn't be Repeated”**

Ketevan Nadareishvili – prima ballerina, the star,

great Vakhtang Chabukiani's partner was born in the aristocratic family. The article tells us about the tragic love story of Ketevan and her husband – Gordon Redvers (Jimmy) Way. At that time, Way was working in Tbilisi, he led the military mission of Britain in the USSR. This mission was known as “Way's Mission” in Britain.

According to the author, this is the story of Romeo and Juliet where in the role of discord between the Montagues and Capulets is the Soviet Empire of evil, KGB, the State Institutes with their interests, the State ideology, war and violence.

#### THE PORTRAIT

*Lali Kakulia*

##### **The Best Beam of the Past**

Vakhtang Tschulukhadze is the Georgian composer of the seventieth. It was the generation who attracted attention as the team having bright creative individualism. Their activity was directed towards the introduction of new technologies on the national soil and their submission for the creative interests, towards the formation of their creative style and on this way they were making first successful steps. Vakhtang was also on this way but with some corrective amendment. He tried to renew the language without neglecting the melodious gift given by God. He carefully introduced the novelty. He immediately occupied the special place of the melodic composer among the composers of his generation.

He died suddenly (1985) at the age about 40. He passed away and left us grief and sorrow.

#### THE GEORGIAN CLASSICS

*Tamar Chinchaladze-Mari*

##### **Zakaria Paliashvili's Birthday**

On the 3<sup>rd</sup> August at the great Georgian composer's Zakaria Paliashvili Home-Museum, the concert-meeting dedicated to the composer's birthday was held. In the evening the director of the museum, the

## SUMMARY

---

composer Kakha Tsubadze announced that the new publication of the clavier of Zakaria Paliashvili's opera "Abessalom and Eteri" is being prepared, which will be distinguished from the previous publication by its Latin transcription and the libretto for this publication will be translated into English (up to-day it was translated only in French, German and Russian languages). The evening was also remarkable because the conductor Revaz Takidze handed the archives of the museum the notes printed long time ago. The inscription on the notes tells us that they were given by Zakaria Paliashvili to the great scientist – Ivane Javakhishvili and his daughter (1926).

### FROM THE REGION

*Ketevan Razmadze*

#### **The Present to the Musical Society**

The article gets us acquainted with the foundation of "Georgian International Association of the Young Musicians" by the young pianist Shorena Tsintsabadze. The Main mission of the Association is to help the Georgian musicians to grow the motivation in them and to support their creative and career advance. The organization plans various arrangements with this aim.

The project has the cognitive character and is polyhedral. The sharing of knowledge is takes place in various directions: by the concerts of the professional pianists, by the master classes and lectures. The ordinariness and creativity of these arrangements and already revealed results should be noted.

### THE GEORGIAN MUSIC ABROAD

*Baram Baramidze*

#### **From October till October**

The article is dedicated to the author concert of the famous Georgian composer Vazha Azarashvili, held in Dubna by the Nuclear Research Institute within the limits of the Classic Instrumental Music festival – "The Sound of the Soul" that has become traditional.

It is well-known that Dubna is one of the significant centers of the world physicists where many famous Georgian astrophysicists research the problem in nuclear sphere and the abovementioned concert was held on their initiative.

The author also underlines Vazha Azarashvili's popularity abroad and brings as an example the sonata for violoncello by the composer, performed in Japan by the violoncellist Hayami Yutaki with great success.

### THE FESTIVAL

*Mamuka Natsvladze*

#### **At Telavi International Festival**

In the eightieth of the last century, the famous Georgian pianist Eliso Virsaladze founded the International Festival in the picturesque city of Eastern Georgia – Telavi. From the very beginning, the festival had except aesthetical, also cognitive and educational aims – with its master-classes, seeing the historical monuments etc. That's why it was called "The Island of Glee".

The Festival of 2015 was dedicated to the 100<sup>th</sup> anniversary since the birth of the greatest pianist of the XX century – Sviatoslav Richter. The Festival was various from both epochal and genre point of view. 7 concerts were held. It is nice to say that the Festival was open by the premiere of the musical work by Georgian composer – Kakha Tsubadze – the concert for the clarinet and string orchestra with the percussion instruments.

### DISPUTE

*Giorgi Kraveishvili*

#### **For the Discussion**

One factor has made the author write the article:

While getting acquainted with the audio archives of the passed Georgian musicologist Valerian Maghradze, in the Meskhuri two and three polyphonic songs he came across the unusual phenomena for



the Georgian folk music. Besides, the burdon joining in singing, the parallelism of the quarts and quintets represented by the unusual motion of voices turned out to be there.

Hence, he author puts the question – whether the Meskhuri and the Klarjuli polyphonic specimens, unusual for the Georgian music, are the result of the loss of the Georgian polyphony, or whether it is the way of making monophonic songs out of the polyphonic ones? The author supposes that both variants are to be considered but the opinion of other ethno-musicologists is interesting for him with regard this

#### NEW FACES

*Tamar Burjanadze*

##### **The Piano Duet**

The author represents us the successful piano duet of the sisters – Regina and Christina Meirabov. The best teachers of the sisters were: Prof. Madlen Evtshvili, Dodo Tsintsadze. Later Regina Meirabova's teacher was Edgar Davlianidze and Christina's - Davlianidze and Nino Chirakadze. Since 2007 up to-day, the teacher of the sisters Meirabov is Prof. of the Tbilisi State Conservatoire – Rusudan Khojava. During the years, they have become the laureates of many International Competitions.

In 2014, the Meirabov duet appears successfully in Sicily in IBLA Grand Prize International Competition and was rewarded with the “Most Distinguished” certificate and the special prize. In May 2015, they appeared with the solo concert in France at Toulouse Festival etc.

Now, at the record studio of the Conservatoire their two-disk album is being recorded.

#### THE BALLET

*Tamar Meskhi-Modebadze*

##### **Larisa Rashkova Chkhikvishvili**

Being in the service of the Georgian culture, Mrs. Larisa Rashkova was the soloist of Z. Paliashvili Op-

era and Ballet Theatre for decades. She had the mutual relation with Bakhtang Chabukiani, Gogi Aleksidze, Mikheil Lavrovski. Now, she is the leading teacher of B. Chabukiani's Choreographic School. Her pupils beautify the leading world theatres and are the laureates of various International Competitions, e.g. Maia Makhateli – in Holland (Amsterdam National Ballet), Nino Gogua (France), she is the star of the Lausanne Maurice Bejart's ballet group.

#### NEW PUBLICATIONS

*Revaz Tavadze*

##### **Artur Schnabel**

Recently published book “Artur Schnabel” arose the great interest in the musical society. Artur Schnabel is the famous innovator artist of the XX century in the history of pianism. He made a great influence upon the piano performance and pedagogics. He is considered to be the legendary pianist. There was no work is Georgian about Schnabel's creation. Fortunately, this lack has been (I think successfully) supplemented with the monograph “Artur Schnabel” by R. Buchukuri and N. Tavkheldidze.

#### VARIETY SHOW

*Nia Bakhtadze*

##### **Inculcator of Novelty**

The article is dedicated to Robert Bardzimashvili who entered into the history of variety show by novelties as the gifted musician, innovator, the first Georgian manager not only in Georgia but in the ex-Soviet Union space. The foundation of many variety show ensembles of high artistic value are connected with his name: “Orera”, the ensembles “Via 75”, “Georgia”, the group “Bardzimi”, the ensemble for the children “Lakhti”.

Robert Bardzimashvili was the person with broad interests. He had wonderful intuition and sense of time. Robert Bardzimashvili found and paved the way to many famous composers and performers.

---

*A CD enclosed with the magazine contains a sound track for each feature. Since its format is insufficient for all the details: the titles of the pieces and features and performers, only the title of a musical piece and the page of the corresponding article are specified. Here is a complete list of the CD recorded material:*

1. S. Tsintsadze. "Miniatures". Performed by the Georgian State String Quartet;
2. S. Prokofiev. "The Concert for the Violin #1", part III. Performed by L. Isakadze; "The World Virtuosos". Conductor M. Tortilier;
3. Z. Paliashvili. Kiazos aria from the opera "Daisi". Performed by E. Getsadze;
4. V.A.Motsart "The Concert for the Violin, e-moll", Performed by G. babuadze and Y.Ukon
5. V. Azarashvili. "On the Dance Floor";
6. K. Tsabadze. "The Concert for the Clarinet". Performed by E. Brunner. Conductor A. Zuckerman;
7. D. Brubeck, The Waltz Limp. Medea Paniashvili& Medea Altunashvili;
8. 9. 10. Klarjuli "Gelino". Performed by N. and O. Yavuz (Varshanidze); Meskhuri "Mumli Mukhasa";  
Meskhuri "Shavlego". Performed by I. Aspanidze and D. Beridze;
11. V. Azarashvili. "Gashaireba". Performed by R. and K. Meirabov;
12. E.Fusco. "Dicitencello Vuie". Performed by L. Ataneli;
13. A. Sharvadze. "Jikhvi Karapze Khtis" (the song). Performed by R. Bardzimashvili.

## The editorial board

88

Editor-in-Chief: MIKAHEL ODZELI  
Editors: MZIA JAPARIDZE, TAMAR TSULUKIDZE  
Design: VAKHTANG RURUA, VANO KIKNADZE  
Translated by: KETEVAN TUKHARELI

Address:  
123, D. Agmashenebeli str., Tbilisi  
Tel: (+995 32) 295 41 64  
Fax: (+995 32) 296 86 78



საქართველოს კულტურისა  
და სპორტის დაცვის სამინისტრო



საქართველოს  
კონსერვატორია ქავერი

## კონკურსის შედეგები

ნომინაცია – „დანუბითი კლასებისთვის  
განკუთვნილი დიდი ფორმის ნაწარმოები სოლო  
საკრავისა და ორკესტრისთვის“

### I პრემია

კახა ცაბაძე – კონცერტო ფორტეპიანოსა და  
სიმუზიანი ორკესტრისთვის.

### II პრემია

თამარ ვაშაკიძე – კონცერტი ფორტეპიანოსა  
და ორკესტრისთვის.

ალექსანდრე მწარიაშვილი – კონცერტი  
ფორტეპიანოსა და სიმუზიანი ორკესტრისთვის.

### III პრემია

გიორგი მკვერზაშვილი – კონცერტი  
ფორტეპიანოსა და სიმუზიანი ორკესტრისთვის.

რამაზ კეჭულარია – კონცერტი ვიოლინოსა  
და სიმუზიანი ორკესტრისთვის.

ნომინაცია – „ნაწარმოები ორი ან სამი  
ინსტრუმენტისთვის ფორტეპიანოს გარეშე“

### I პრემია

კახა ცაბაძე – „პატარა თემა თეატრალური  
ნიღბებით“.

### II პრემია

კახა ცაბაძე – „სარკე სარკეში“;

გიორგი მკვერზაშვილი – „პიესა ვიოლინოს,  
ალტის და კონტრაბასისთვის“;

ალექსანდრე მწარიაშვილი – „ჩრდილები“.

### III პრემია:

კახა ცაბაძე – „Rondino“;

კახა ცაბაძე – „ეკლემიკი“ გასეორება“.

ნომინაცია – „წლის საუკეთესო მუსიკალური  
ნაწარმოები“

გიორგი ჩლაიძე – „თემები, ვარიაციები და  
ბოლოთქმა“, ჯალთა გუნდისთვის.

ნომინაცია – „წლის საუკეთესო  
სამუსიკისმცოდნეო ნაშრომი“

ნინო კალანდაძე-მახარაძე – „პოლიკარპე  
ბუბულავა“ (მონოგრაფია).



მანანა აფხილაშვილი.  
გალობის ქუთხას ნაზარეთშილი პირანოზი (პანანოზი). 2014